F-133
1959

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 4 1959 წ.

F-2347

## შ ი ნ ა ა რ ს ი

### საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

77. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოების საქმეში მტკიცე წესრიგის დამყარების ღონისძიებათა შესახებ.

78. საქართველოს სს რესპუბლიკაში პროფესიულ-ტექნიკური განათლებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ.

### საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

79. საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო-სამშენებლო და საავარაკო-სამშენებლო კოოპერატივების განვითარების შესახებ.

80. ორსართულიანი ოთხბინიანი საცხოვრებელი სახლის ტიპობრივი პროექტის საპროექტო მოცულობის დამტკიცების შესახებ.

81. სამრეწველო საწარმოების მიერ წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულების დროს მათთვის ხელფასის სახსრების მიცემის წესის შესახებ.

82. სამეურნეო მშენებლობის ზოგიერთ საკითხებზე, რომლებიც დამატებით გადაეცათ გადასაწყვეტად სამინისტროებსა და უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს.

83. საქართველოს სს რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოებისათვის ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა უფასო საკონტროლო ეგზემპლარების გაგზავნის წესის შესახებ.

84. ქალაქ თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის მოსამარაგებლად გარეუბნის რაიონების საბჭოთა მეურნეობებისა და ზოგიერთი კოლმეურნეობის მიერ ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების ჩაბარების წესის შესახებ.

85. საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის წარმოების გაუმჯობესების შემდგომი ზომების შესახებ.

86. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლმმართველობების გამსხვილებისა და სახლმმართველობათა მუშაკების შრომის ანაზღაურების შესახებ.

87. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკთა საშტატო ნორმატივებისა და შრომის ანაზღაურების შესახებ.

88. საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებისათვის სამრეწველო პროდუქციის დაგეგმვის წესის შესახებ.

89. ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის მუშა-მოსამსახურეებისათვის ნისიად მიყიდვის შესახებ.

90. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა მედლებით დაჯილდოების შესახებ.

91. სასოფლო-სამეურნეო არტელის საკასო ოპერაციების წარმოების წესების, ბუღალტრისა და სარევიზიო კომისიის დებულებათა დამტკიცების შესახებ.

92. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ.

93. იმ მშობელთა და მათ შემცვლელ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ, რომლებიც არ უზრუნველყოფენ ბავშვთა და მოზარდთა გაგზავნას საქართველოს სსრ საყოველთაო სავალდებულო რვაწლიან განათლების სკოლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

**77** საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოების საქმეში მტკიცე წესრიგის დამყარების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივლისის № 710 დადგენილება დაევგზავნოთ სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, საქართველოს კპ საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ ხელმძღვანელობა და ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ საწარმოებს, მშენებლობებს, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებს იმ მხრივ, რომ გადაჭრით დაამყარონ წესრიგი საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოების და მათი ინიციატივის ყოველმხრივ განვითარების საქმეში, ინიციატივისა, რომელიც მიმართულია შვიდწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისაკენ.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს, დაჯილდოების ახალი წესის შემოღებასთან დაკავშირებით, წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს 1959 წლის 25 აგვისტოსათვის გაანგარიშებანი ხელფასის ფონდის 1959 წლის გეგმების შემცირების ოდენობისა და თვითღირებულების შემცირების დავალებათა გადიდების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ, სახალხო მე-

ურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების მიერ აღნიშნული განგარიშებათა წარდგენის შემდეგ, ათი დღის ვადაში განიხილონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინონ წინადადებანი 1959 წლის დამტკიცებულ გეგმაში საჭირო ცვლილებების შეტანის შესახებ, რათა წარედგინოს ისინი სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს.

| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
|---|---|
| **პ. კოვანოვი** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1959 წლის 8 აგვისტო, № 648

ა ს ლ ი

# საბჭოთა კავშირის კპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## დადგენილება № 710

**1959 წლის 2 ივლისი**

მოსკოვი, კრემლი

### სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოების საქმეში მტკიცე წესრიგის დამყარების ღონისძიებათა შესახებ

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოების საქმეში ადგილი აქვს დიდ ნაკლოვანებებსა და ზედმეტობას.

მრავალი წლის განმავლობაში შექმნილი დაჯილდოების სისტემა მეტად მოუქნელი და აბნეულია. საწარმოებსა და ორგანიზაციებში ერთსა და იმავე დროს იყენებენ მრავალ დებულებას დაჯილდოების შესახებ. სარგებლობს რა ამით, ბევრი ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი საწარმოების ცუდი მუშაობის დროსაც კი იღებს გაუმართლებლად მაღალ პრემიას. მთელ რიგ შემთხვევებში პრე-

მუხ. 71

მიები ეძლევათ ისეთ მუშაკებს, რომლებსაც პირდაპირი დამოკიდე-ბულება არა აქვთ საწარმოო დავალებების შესრულებასთან.

დაჯილდოების პრაქტიკა, უმთავრესად პროდუქციის გამოშვების გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის დაჯილდოების პრაქტიკა, ხელს ვერ უწყობს ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ძალების მობილიზაციას წარმოების რეზერვების უფრო სრულად გამოყენებისა და იმისათვის საბრძოლველად, რომ გაუმჯობესდეს ხარისხობრივი მაჩვენებლები — შრომის ნაყოფიერების ზრდა, პროდუქციის თვითღირებულების შემცირება და საწარმოთა რენტაბელობის გადიდება.

საწარმოთა ზოგიერთი ხელმძღვანელი არ იჩენს საქმისადმი სახელმწიფოებრივ დამოკიდებულებას, უშვებს ზედმეტობას დაჯილდოების სახსრების ხარჯვაში, ცდილობს შეამციროს წარმოების გეგმები და ამით უზრუნველყოს დიდი პრემიების მიღება.

საწარმოო გეგმების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის დასაჯილდოებლად დახარჯული სახსრების ოდენობა არ ეფარდება პროდუქციის თვითღირებულების შემცირებით მიღებული ეკონომიის თანხას. იშვიათი როდია ფაქტები, როდესაც საწარმოები, რომლებსაც არა აქვთ ეკონომია თვითღირებულების შემცირებით და რომლებიც არარენტაბელურად მუშაობენ, დიდძალ სახსრებს ხარჯავენ დაჯილდოებაზე.

იმ მიზნით, რომ მტკიცე წესრიგი დამყარდეს ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოების საქმეში და გაძლიერდეს მათი დაინტერესება რეზერვების უფრო სრულად გამოყენებით წარმოების გასადიდებლად და საწარმოთა მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გასაუმჯობესებლად, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს, რომ მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოება წარმოებს თვითღირებულების შემცირების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ხოლო მრეწველობის ცალკეულ დარგებში აგრეთვე პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის იმ პირობით, თუ შესრულებულია დავალებული ნომენკლატურით, პროდუქციის წარმოების (მშენებლობის, ტვირთზიდვის) გეგმა, შრომის ნაყოფიერების გეგმა, აგრეთვე სხვა ეკონომიური ადმინისტ-

რაცული რაიონების საწარმოებისათვის პროდუქციის მიწოდების, კოოპერირებულ მიწოდებათა და საერთო სახელმწიფოებრივი საჭიროებისათვის მიწოდებათა დავალებანი.

ქვანახშირის, ნავთობის, სამთამადნო, მეტალურგიული, ქიმიური, ცემენტის, გაზის, ელექტროტექნიკური მანქანათმშენებლობის და საკაბელო წარმოების, ხე-ტყის დამზადების, არამადნეული მასალების, შაქრის, თევზის, საფეიქრო და ფეხსაცმლის მრეწველობის დარგებში, აგრეთვე ქიმიური, ნავთობის, მეტალურგიული და სამთოგამამდიდრებელი მანქანათმშენებლობის სპეციალიზებულ საწარმოებში ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაჯილდოება წარმოებს, გარდა ამისა, წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებში ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა დაჯილდოება წარმოებს ზეგეგმითი მოგების მიღებისა და სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის.

2. საწარმოების, მშენებლობების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მმართველობის ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს პრემიები მიეცემათ კვარტალის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით. თუ წარმოებისა და მშენებლობის კვარტალის ერთი ან ორი თვის გეგმა შესრულებული არ არის, კვარტალისათვის გასაცემი პრემიების ოდენობა შემცირდება.

საამქროების (უბნების) ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს პრემიები მიეცემათ თვის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით.

3. დაწესდეს, რომ ერთი მუშაკისათვის ყველა მაჩვენებლის მიხედვით (გარდა სოციალისტური შეჯიბრების პრემიებისა) მისაცემი პრემიების თანხა არ უნდა აღემატებოდეს თვეზე გაანგარიშებით 0.6 თვიურ თანამდებობრივ განაკვეთს ქვანახშირის, ნავთობის, სამთამადნო, მეტალურგიულ და ქიმიურ მრეწველობაში და 0,4 თვიურ თანამდებობრივ განაკვეთს — მრეწველობის დანარჩენ დარგებში, მშენებლობაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებში.

4. პრემიები ყველა ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკს დაერიცხოს განაკვეთის ერთნაირი პროცენტით, მიუხედავად იმისა, თუ რა თანამდებობა უჭირავთ მათ.

იმ ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა თანამდებობა-თა სიები, რომლებიც დაჯილდოებულ უნდა იქნან ამ დადგენილების შესაბამისად, დაწესდება ტიპობრივი დებულებებით.

5. დაწესდეს, რომ ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, რომლებიც არ არიან გათვალისწინებული ამ დადგენილების მე-4 მუხლში აღნიშნული სიებით, აგრეთვე მრეწველობაში, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებსა და ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში დასაქმებული მოსამსახურეები, რომლებიც აქტიურად ხელს უწყობენ გეგმურ დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას, შეიძლება დააჯილდოონ საწარმოების (ორგანიზაციების) ხელმძღვანელებმა პროფკავშირულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით ერთჯერადი წესით, მაგრამ არა უმეტეს ერთი დაჯილდოებისა კვარტალში, მათი 0,5 თვიური თანამდებობრივი განაკვეთის ფარგლებში. მუშაკთა ამ ჯგუფის დასაჯილდოებლად დასახარჯავი სახსრების საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს შესაბამის პერიოდში მათი თანამდებობრივი განაკვეთების ფონდის 10 პროცენტს.

6. ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოება თვითღირებულების შემცირებისა და წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის მოხდეს მხოლოდ საწარმოს (ორგანიზაციის) ხელფასის ფონდის ხარჯზე და მის ფარგლებში.

7. გაუქმდეს ყველა ამჟამად მოქმედი გადაწყვეტილებანი და დებულებანი იმ ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოების შესახებ, რომლებიც დასაქმებული არიან მრეწველობის საწარმოებში, მშენებლობაში, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებში, 1959 წლის 1 ოქტომბრიდან, ხოლო მძიმე მრეწველობის დარგებში, სადაც გატარებულია ან ტარდება ხელფასის მოწესრიგება, — 1960 წლის 1 იანვრიდან. ამ დადგენილების მე-3 მუხლის შესაბამისად გასაცემი პრემიების ზღვრული ოდენობა შემოღებულია ყველა საწარმოსა და ყველა ორგანიზაციაში 1959 წლის 1 ოქტომბრიდან.

8. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტმა და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურმა საბჭომ შეიმუშაონ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის, სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების მონა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წილეობით და 1959 წლის 15 სექტემბრამდე დაამტკიცონ ტიპობრივი დებულებანი მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოების, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოების და ორგანიზაციების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაჯილდოების შესახებ.

სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მიხედვით ტიპობრივ დებულებათა შემუშავების დროს მხედველობაში იქნას მიღებული შემდეგი:

### ა. მრეწველობაში

ა) ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაჯილდოება პროდუქციის თვითღირებულების შემცირების გეგმის შესრულებისათვის წარმოებს თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 15 პროცენტამდე, ხოლო თვითღირებულების ზეგეგმითი შემცირების ყოველი მეათედი პროცენტისათვის თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 1,5 პროცენტამდე, წარმოების დარგის მიხედვით.

ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაჯილდოება ქვანახშირის, ნავთობის, სამთამადნო, მეტალურგიული, ქიმიური, ცემენტის, გაზის, ელექტროტექნიკური მანქანათმშენებლობისა და საკაბელო წარმოების, ხე-ტყის დამზადების, არამადნეული მასალების, შაქრის, თევზის, საფეიქრო და ფეხსაცმლის მრეწველობის დარგებში, აგრეთვე ქიმიური, ნავთობის, მეტალურგიული და სამთოგამამდიდრებელი მანქანათმშენებლობის სპეციალიზებულ საწარმოებში გარდა ამისა, წარმოებს წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 5 პროცენტამდე გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველ პროცენტში.

იმ საწარმოების მუშაკებს, რომლებისთვისაც გეგმით არ არის გათვალისწინებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირება, თვითღირებულების დავალების შესრულებისათვის პრემიები დაუწესდებათ მათი თანამდებობრივი განაკვეთის 10 პროცენტამდე და გეგმურთან შედარებით თვითღირებულების შემცირების ყოველ მეათედ პროცენტში—1 პროცენტამდე.

ხელმძღვანელობენ რა ტიპობრივი დებულებებით, სახალხო მეურნეობის საბჭოები, პროფკავშირთა საბჭოებთან ერთად, დააწესებენ პრემიების ოდენობას წარმოების ცალკეული დარგების საწარმოებისათვის.

ბ) საწარმოს მმართველობის მუშაკთა დაჯილდოება წარმოებს

მუზ 77 ბიბლიოთეკა

მთლიანად საწარმოს მუშაობის შედეგების მიხედვით კვარტალის განმავლობაში მუშაობის შედეგებისათვის.

ძირითადი საწარმოო საამქროების (უბნების) მუშაკები დაჯილდოვდებიან ყოველთვიურად საამქროს (უბნის) მუშაობის მაჩვენებლების მიხედვით. უკეთუ ძირითად საწარმოო საამქროში (უბანში) არ მოიპოვება პროდუქციის თვითღირებულების მაჩვენებლები, საამქროს (უბნის) მუშაკთა დაჯილდოება ხდება პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების უმნიშვნელოვანესი ელემენტების (მასალების, ხელფასის, ენერგიის და სხვ. ხარჯვა) ხარჯზე მიღებული ეკონომიის მაჩვენებლების მიხედვით.

დამხმარე საამქროების მუშაკები დაჯილდოვდებიან ყოველთვიურად მთლიანად საწარმოს ან მათი სამომსახურეო ძირითადი საამქროების მუშაობის მაჩვენებლების მიხედვით, უკეთუ შესრულებულია გეგმური დავალებანი თავიანთი საამქროს მუშაობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით.

### ბ. მშენებლობაზე

ა) სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოებისა და ტრესტების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაჯილდოება წარმოებს სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის კვარტალების განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით და მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ობიექტების გადაცემისათვის საექსპლუატაციოდ დაწესებულ ვადაში და ვადამდე.

პრემიები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების დავალებათა შესრულებისათვის დაწესდება თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 15 პროცენტამდე და ამ სამუშაოთა თვითღირებულების ზეგეგმითი შესრულებისათვის თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 1,5 პროცენტამდე თვითღირებულების ზეგეგმითი შემცირების ყოველ მეათედ პროცენტში.

მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ობიექტების დანიშნულ ვადაში და ვადამდე გადაცემისათვის საექსპლუატაციოდ პრემიების ოდენობა დაწესდება ობიექტების მნიშვნელობისა და მათი სახარჯთაღრიცხვო ღირებულების მიხედვით.

პრემიები სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა თვითღირებულების შემცირების დავალებათა მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის გაიცეს იმ პირობით, თუ შესრულებულია სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის, შრომის ნაყოფიერების გეგმა

და მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმა.

ბიბლიოთეკა

პრემიები მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ობიექტების დანიშნულ ვადაში და ვადამდე გადაცემისათვის საექსპლუატაციოდ გაიცეს იმ პირობით, თუ დაცულია მშენებლობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება და სამუშაოთა ხარისხის ყველა მოთხოვნა.

სამმართველოების, მექანიზაციის ტრესტების, მანქანათგასაქირავებელი ბაზების, ავტოსატრანსპორტო მეურნეობების, მშენებლობების, ამმუშავებელგამწყობი ორგანიზაციებისა და მშენებლობათა დამხმარე საწარმოების ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს სამუშაოთა ღირებულების შემცირებისათვის პრემიების ნაცვლად მიეცეთ პრემიები მანქანათა ექსპლუატაციის, ტვირთზიდვის, ამუშავება-გაწყობის და სხვა სამუშაოების თვითღირებულების შემცირებისათვის;

ბ) მშენებლობების სახაზო ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაჯილდოება წარმოებს სამუშაოთა მწარმოებლის უბანზე შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულებისათვის თანამდებობრივი განაკვეთის 15 პროცენტამდე და შრომის ნაყოფიერების გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველ პროცენტში — განაკვეთის 3 პროცენტამდე. გარდა ამისა, სახაზო მუშაკებს მიეცეთ პრემიები მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ობიექტების დანიშნულ ვადაში და ვადამდე გადაცემისათვის საექსპლუატაციოდ.

შრომის ნაყოფიერების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის დაჯილდოება მოხდეს იმ პირობით, თუ გეგმა შესრულებულია სამუშაოთა მოცულობის მიხედვით, მიღებულია ხელფასის ფონდის ეკონომია და არ მომხდარა გადახარჯვა ძირითად მასალებზე, თუ სამუშაოები დამთავრებულია დანიშნულ ვადაში და შესრულებულია გრაფიკები მშენებლობის იმ ობიექტების მიხედვით, რომლებიც საექსპლუატაციოდ უნდა გადაეცეს მიმდინარე წელს;

გ) მშენებლობათა სახაზო ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს პრემიები შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულებისათვის მიეცეთ თვის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით, ხოლო შრომის ნაყოფიერების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის — კვარტალის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით;

დ) მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის გეგმის შესრულებისათვის პრემიების თანხა განისაზღვრება საექსპლუატაციოდ გადაცემული ობიექტების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების პროცენტულად;

ე) მშენებლობაში ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის პრემიების საერთო თანხა ყველა მაჩვენებლის მიხედვით არ უნდა აღემატებოდეს კვარტალში მუშაობის შედეგების გამო მუშაკის 1,2 თვიურ თანამდებობრივ განაკვეთს;

ვ) ტიპობრივ დებულებაში მშენებლობის ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაჯილდოების შესახებ გათვალისწინებულ იქნას წესი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულ მუშაკებისათვის დადგენილი დაჯილდოების პირობების შეფარდებისა იმ მუშაკებისადმი, რომლებიც დასაქმებული არიან შენობების, ნაგებობებისა და აგრეგატების კაპიტალური რემონტის ძირითად სამუშაოებზე.

### გ. სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებში

ა) საბჭოთა მეურნეობებისა და დამხმარე მეურნეობების ხელმძღვანელი მუშაკები და სპეციალისტები დაჯილდოვდებიან ზეგეგმითი მოგების მიღებისა და სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, ხოლო განყოფილებებსა და ფერმებში — პროდუქციის წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის, ამ მუშაკთა დაჯილდოება ხდება წლის განმავლობაში საწარმოთა მუშაობის შედეგების მიხედვით.

პრემიები ზეგეგმითი მოგების მიღებისათვის გაიცეს იმ პირობით, თუ მეურნეობამ შეასრულა სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების გეგმა. პრემიები სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ჩაბარების წლიური გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის (ხოლო განყოფილებებსა და ფერმებში — საერთო პროდუქციის წარმოების გეგმის შესრულებისათვის) გაიცეს იმ პირობით, თუ მეურნეობამ შეასრულა მარცვლის, ხორცის ჩაბარების დაწესებული დავალებანი ნატურით, ხოლო სპეციალიზებულ მეურნეობებში, გარდა ამისა, ძირითადი დარგის პროდუქციის ჩაბარების გეგმაც. ამასთან, სავალდებულოა აგრეთვე პროდუქციის თვითღირებულებისა და შრომის ნაყოფიერების გეგმის შესრულებაც.

ზეგეგმითი მოგების მიღებისათვის დასაჯილდოებლად დახარჯული სახსრების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ზეგეგმითი მოგების მიღებული თანხის 10 პროცენტს. პრემიების განაწილება საბჭოთა მეურნეობებსა და დამხმარე სასოფლო მეურნეობების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა შორის წარმოებს თვითეულის

ეროვნული

წლიური საანგარიშო განაკვეთის (თანამდებობრივი განაკვეთის) პროპორციულად.

სახელმწიფოსათვის პროდუქციის ჩაბარების გეგმის გადაჭარბებით შესრულების დროს ხელმძღვანელი მუშაკები და სპეციალისტები დაჯილდოვდებიან საანგარიშო თვიური განაკვეთის (თანამდებობრივი განაკვეთის) 10 პროცენტამდე პროდუქციის ჩაბარების (წარმოების) გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველ პროცენტში.

წლის განმავლობაში ყველა მაჩვენებლის მიხედვით ერთი მუშაკისათვის მისაცემი პრემიების საერთო ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს საბჭოთა მეურნეობებსა და დამხმარე სასოფლო მეურნეობებში 5 თვის საანგარიშო განაკვეთებს (თანამდებობრივ განაკვეთებს), ხოლო ყაზახეთის, ციმბირის, ურალისა და ვოლგისპირეთის ყამირი მიწების საბჭოთა მეურნეობებში — 6 თვის საანგარიშო განაკვეთებს (თანამდებობრივ განაკვეთებს);

ბ) სარემონტო-ტექნიკური სადგურების ხელმძღვანელ მუშაკთა და სპეციალისტთა დაჯილდოება წარმოებს თვითღირებულების ან მოგების გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის სარემონტო-ტექნიკური სადგურების საქმიანობის სახეობათა მიხედვით (სარემონტო სახელოსნოების სამუშაოები, ავტოგადაზიდვა, მექანიზებული სამუშაოები, რომლებიც კოლმეურნეობებთან ხელშეკრულებებით სრულდება, მანქანების გაქირავება და სხვა სამუშაოები) იმ პირობით, თუ შესრულებულია ამ სახის საქმიანობის სამუშაოების გეგმა და არ არის წარდგენილი რეკლამაციები შესრულებულ სამუშაოთა ხარისხზე.

პრემიების განაწილება წარმოებს კვარტალის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით სარემონტო-ტექნიკური სადგურების მუშაკთა ხელფასის პროპორციულად. ერთი მუშაკისათვის მისაცემი პრემიის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს კვარტალში 1,2 თვიურ თანამდებობრივ განაკვეთს.

დებულებაში სარემონტო-ტექნიკური სადგურების იმ დირექტორებისა და სპეციალისტების დაჯილდოების შესახებ, რომლებიც ეწევიან სარემონტო-ტექნიკური სადგურების არა მარტო საწარმოო, არამედ გასაღების საქმიანობასაც, შეტანილ უნდა იქნას მანქანების, სათადარიგო ნაწილების, საწვავის და სხვ. რეალიზაციის გეგმის შესრულების შესაბამისი მაჩვენებლები;

გ) სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოებსა და ორგანიზაციებში მუშაკთა დაჯილდოების მაჩვენებლებსა და პირობებს

დააწესებს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან ერთად ზემოაღნიშნულის შესაბამისად, ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის თავისებურებათა გათვალისწინებით;

დ) დაჯილდოების ახალი წესი სოფლის მეურნეობის სახელმწიფო საწარმოებში შემოღებულ იქნას 1960 წლიდან, ხოლო 1959 წლის შედეგების მიხედვით ერთი მუშაკისათვის მისაცემი პრემიების ოდენობა განისაზღვროს 5 თვის საანგარიშო განაკვეთებით (თანამდებობრივი განაკვეთებით), ხოლო ყაზახეთის, ციმბირის, ურალისა და ვოლგისპირეთის ყამირი მიწების საბჭოთა მეურნეობებში — თვის საანგარიშო განაკვეთებით (თანამდებობრივი განაკვეთებით).

## დ. ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში

ა) ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამმართველოების და საწარმოების ხელმძღვანელ და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა დაჯილდოება მოხდეს კვარტალის განმავლობაში მუშაობის შედეგების გამო პროდუქციის თვითღირებულების (სატრანსპორტო მომსახურების) გეგმის შესრულებისათვის, ხოლო საქმიანობის ცალკეულ სახეობებში — შემოსავლის გეგმის შესრულებისათვის განაკვეთის 15 პროცენტამდე და პროდუქციის თვითღირებულების (სატრანსპორტო მომსახურების) ზეგეგმითი შემცირების ან შემოსავლის გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველ პროცენტში—5 პროცენტამდე. საამქროების (უბნების) მუშაკები დაჯილდოებულ იქნან ამავე მაჩვენებლებისათვის თვის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით.

იმ საწარმოების (საამქროების) მუშაკებს, რომლებისთვისაც არ არის გათვალისწინებული თვითღირებულების შემცირება ან შემოსავლის ზრდა წინა წელთან შედარებით, პრემიების ოდენობა თვითღირებულების (ან შემოსავლის) დავალებათა შესრულებისათვის დაუწესდებათ მათი თანამდებობრივი განაკვეთის 10 პროცენტამდე და გეგმასთან შედარებით თვითღირებულების შემცირების ყოველ პროცენტში — 3 პროცენტამდე.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საექსპლუატაციო საწარმოების, სახაზო ქვეგანაყოფებისა და საამქროების მუშაკები, რომლებისთვისაც არ არის დაწესებული თვითღირებულების (შემოსავ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის) დავალებანი, დაჯილდოვდებიან გეგმით გათვალისწინებული ძირითადი საწარმოო-ტექნიკური მაჩვენებლების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისათვის, რომლებიც თვითღირებულებას განსაზღვრავენ.

პრემიები გაიცეს იმ პირობით, თუ საწარმოებმა შეასრულეს მთლიანად წარმოების (ტვირთზიდვის, დატვირთვა-გადმოტვირთვის და სხვ.), აგრეთვე ძირითადი ნომენკლატურისა და შრომის ნაყოფიერების გეგმა;

ბ) საექსპლუატაციო საწარმოთა დამხმარე საამქროებისა და ქვეგანაყოფების მუშაკები დაჯილდოებულ იქნან მთლიანად საწარმოს ან მათი სამომსახურეო ძირითადი დარგების (საამქროების) მუშაობის შედეგების მიხედვით იმ პირობით, თუ შესრულებულია გეგმური დავალებანი თავიანთი საამქროს მუშაობის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით.

ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამრეწველო და სარემონტო საწარმოების მუშაკები დაჯილდოებულ იქნან იმ მაჩვენებლებისა და პირობების მიხედვით, რაც დაწესებულია მრეწველობის მუშაკებისათვის.

9. დაევალოს პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან ერთად, შეიმუშაოს და ერთი თვის ვადაში წარმოადგინოს წინადადებანი სოციალისტური შეჯიბრებისათვის დაჯილდოების პირობების შესახებ ამ დადგენილების გათვალისწინებით.

10. დაევალოთ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოს სამი თვის ვადაში წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად სსრ კავშირის მთავრობის იმ დადგენილებათა სია, რომლებმაც ძალა დაკარგეს ან შეცვლილ უნდა იქნან ამ დადგენილების მიღებასთან დაკავშირებით.

დაევალოთ საშუალო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ატომის ენერგიის გამოყენების მთავარ სამმართველოს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საავიაციო ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავდაცვის ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს რადიოელექტრონიკის სახელმწიფო კომიტეტს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქიმიის სახელმწიფო კომიტეტს

 მუხ. 77

ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ სსრ კავშირის მინისტრთა [illegible] სია სსრ კავშირის მთავრობის იმ დადგენილებებისა და გან[illegible]ბებისა ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოების შესახებ, რომლებიც ძალაში უნდა დარჩნენ 1959 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ.

11. დაწესდეს, რომ დაჯილდოებაში ზედმეტობის აღმოფხვრასთან დაკავშირებით შექმნილი ეკონომია გამოყენებულ უნდა იქნას მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მოსაწესრიგებლად და შემცირებულ სამუშაო დღეზე გადასაყვანად იმ წესით, რასაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო განსაზღვრავს.

12. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა, სსრ კავშირის სამინისტროებმა და უწყებებმა ორი თვის ვადაში წარუდგინონ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს გაანგარიშებანი 1959 წლისათვის ხელფასის ფონდის გეგმების შემცირების ოდენობისა და თვითღირებულების შემცირების დავალებათა გადიდების შესახებ.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ ერთობლივად განიხილონ წარდგენილი ანგარიშები და საჭირო ცვლილებანი შეიტანონ 1959 წლის გეგმაში.

* *
*

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ავალდებულებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სახალხო მეურნეობის საბჭოებს, სამინისტროებსა და უწყებებს, პარტიულ და პროფკავშირულ ორგანოებს უზრუნველყონ ხელმძღვანელობა და ყოველმხრივი დახმარება გაუწიონ საწარმოებს, მშენებლობებს, სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებს იმ მხრივ, რომ მტკიცე წესრიგი დამყარდეს დაჯილდოების საქმეში, ყოველნაირად გაიშალოს საწარმოების მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა ინიციატივა, მიმართული შვიდწლიანი გეგმის მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებისაკენ.

| | |
|---|---|
| **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი** | **სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო** |

## 78 საქართველოს სს რესპუბლიკაში პროფესიულ-ტექნიკური განათლებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ

„სსრ კავშირში პროფესიულ-ტექნიკური განათლებისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების შესახებ“ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 11 ივლისის № 844 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. რესპუბლიკაში პროფესიულ-ტექნიკური განათლებისადმი ხელმძღვანელობის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, გარდაიქმნას შრომითი რეზერვების საქართველოს რესპუბლიკური სამმართველო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოდ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს ორი კვირის ვადაში მიიღოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ შრომითი რეზერვების ყოფილ მთავარ სამმართველოსაგან სასწავლებლები, მომარაგების თბილისის საოლქთაშორისო კანტორა, კულტურის სახლი, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ფონდები, კადრების მომზადების ასიგნობანი და კაპიტალური მშენებლობისა და შრომის, ხელფასის და იმ თანამდებობრივი განაკვეთების პერსონალური დანამატების ლიმიტები, რომლებიც დაწესებულია რესპუბლიკის შრომითი რეზერვების სამმართველოებისა და სასწავლებლების მუშაკებისათვის.

3. დაეკისროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს:

ა) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში კვალიფიციურ მუშათა მომზადების გეგმების შემუშავება;

ბ) პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში ახალგაზრდობის მიღების ორგანიზაცია და რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობისა და სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობის განხორციელება;

გ) იმ გეგმის პროექტის შემუშავება, რომლითაც მოხდება რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მომზადებული კვალიფიციური მუშების განაწილება სახალხო მეურნეობის საბჭოსა, მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივ საბჭოებსა, რესპუბლიკურ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკავშირო-რესპუბლიკურ და საერთო-საკავშირო სამინისტროებსა, უწყებებსა და საწარმოებს შორის;

დ) პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგება, ახალი სასწავლებლების მოწყობა მთავრობის დადგენილებების შესაბამისად და კაპიტალური მშენებლობის განხორციელება რესპუბლიკის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში;

ე) იმისადმი კონტროლის განხორციელება, რომ სწორად იქნან გამოყენებული სასწავლებლების დამთავრების შემდეგ სამუშაოდ გაგზავნილი ახალგაზრდა მუშები.

4. დაევალოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარ სამმართველოს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პროფესიულ-ტექნიკური განათლების მთავარი სამმართველოს დებულება და ფინანსთა სამინისტროსთან ერთად — სამმართველოს სტრუქტურა და შტატები.

| | |
|---|---|
| საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი | საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე |
| **ვ. მჟავანაძე.** | **გ. ჯავახიშვილი.** |

ქ. თბილისი, 1959 წლის 15 აგვისტო, № 662

**79** საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო-სამშენებლო და სააგარაკო-სამშენებლო კოოპერატივების განვითარების შესახებ

იმ მიზნით, რომ წახალისებულ იქნას და განვითარდეს საქართველოს სს რესპუბლიკაში საბინაო და საავარაკო მშენებლობა სამშენებლო კოოპერატივების მეშვეობით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საცხოვრებელი სახლების მშენებლობას ქალაქ სოხუმში, ბათუმსა და ქუთაისში უნდა ახორციელებდეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო, ამასთან შეტანილი იყოს იგი საიჯარო სამუშაოთა სახელმწიფო გეგმაში.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას გამოუყოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს საშენი მასალები სახელმწიფო საბინაო მშენებლობის თანაბრად იმ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საცხოვრებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლების ასაშენებლად ქალაქ სოხუმში, ბათუმსა და ქუთაისში, რომლებმაც თავიანთ მიმდინარე ანგარიშზე შეიტანეს საკუთარი სახსრები მშენებლობის სრული ღირებულების ოდენობით.

3. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს მიიღონ ზომები, რათა წახალისდეს და ყოველმხრივ განვითარდეს საბინაო მშენებლობა საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების მეშვეობით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 11 ივლისის № 436 დადგენილების შესაბამისად, და ყოველწლიურად 1 ივლისამდე წარუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას იმ საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების საბინაო მშენებლობის შემდგომი წლის გეგმები, რომლებმაც 1 ივლისამდე შეიტანეს თავიანთ მიმდინარე ანგარიშზე მშენებლობის სრული ღირებულება.

4. გავრცელდეს ქ. თბილისის გარეუბნის კურორტების საავარაკო-სამშენებლო კოოპერატივების მშენებლობაზე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 30 მაისის № 435 დადგენილების მოქმედება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 8 აგვისტო, № 641

## 80 ორსართულიანი ოთხბინიანი საცხოვრებელი სახლის ტიპობრივი პროექტის საპროექტო მოცემულობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს ინსტიტუტ სახსოფლმშენპროექტის მიერ შემუშავებული საპროექტო მოცემულობა საქართველოს სსრ შვიდბალიანი სეისმურობის არაკანალიზებული რაიონებისათვის ორსართულიანი სახლის ტიპობრივი პროექტისა შემდეგი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით:

| | |
|---|---|
| საერთო მოცულობა (კუბ. მეტრი) | 710,0 |
| საერთო საცხოვრებელი ფართობი (კვ. მეტრი) | 111,3 |
| ბინის საშუალო საცხოვრებელი ფართობი (კვ. მეტრი) | 27,8 |

ბინის ღირებულება (მან.) 24,325
ერთი კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობის ღირებულება (მან.) 875,0

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 14 აგვისტო, № 650

**81 სამრეწველო საწარმოების მიერ წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულების დროს მათთვის ხელფასის სახსრების მიცემის წესის შესახებ**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 ივლისის № 736 დადგენილება „სამრეწველო საწარმოების მიერ წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულების დროს მათთვის ხელფასის სახსრების მიცემის წესის შესახებ“ დაეგზავნოთ განუხრელ სახელმძღვანელოდ და შესასრულებლად საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

2. უფლება მიენიჭოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამმართველოებს და ცეკავშირს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებთან შეთანხმებით, მოახდინონ საწარმოებისათვის ხელფასის სახსრების გაცემის ნორმატივების დიფერენციაცია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მრეწველობის დარგებისათვის დაწესებული საშუალო ნორმატივების ფარგლებში იმ ანგარიშით, რომ ცალკეული საწარმოსათვის მისაცემი ხელფასის სახსრების ოდენობა არ აღემატებოდეს წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველ პროცენტში ხელფასის ფონდის 0,9 პროცენტს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 25 ნოემბრის № 736 დადგენილება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟირაძაძე.

ქ. თბილისი, 1959 წლის 14 აგვისტო, № 651

ასლი

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## დადგენილება № 736

**1959 წლის 10 ივლისი**

მოსკოვი, კრემლი

**სამრეწველო საწარმოების მიერ წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულების დროს მათთვის ხელფასის სახსრების მიცემის წესის შესახებ**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს 1959 წლის 1 აგვისტოდან, რომ საერთო პროდუქციის წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულების დროს ხელფასის სახსრებს სამრეწველო საწარმოებს, მათი დაქვემდებარების მიუხედავად, მისცემენ სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებანი სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ხელფასის გეგმური ფონდის გადამეტებით გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველ პროცენტში შემდეგი ოდენობის (საშუალოდ მრეწველობის დარგების მიხედვით) საფუძველზე:

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | პროცენტი, სამრეწველო-საწარმოო პერსონალის ხელფასის გეგმიური ფონდის მიმართ |
|---|---|
| დონეცის, კუზნეცკის, ყარაგანდის, პეჩორისა და კიზელოვის აუზების ქვანახშირის შახტები . . . . . . . | 0,9 |
| დანარჩენი აუზების ქვანახშირის შახტები, ფიქალის შახტები, ქვანახშირის ჭრილები და სამთამადნო მრეწველობის და არამადნეულ წიაღისეულთა საწარმოები . . . | 0,35 |
| მეტალურგიული მრეწველობის საწარმოები . . . | 0,8 |
| საშენებელ მასალათა მრეწველობის, ქიმიური, ნავთობმომპოვებელი, ტორფმომპოვებელი, ხე-ტყის დამამზადებელი (ხე-ტყის დაცურების ჩათვლით), საფეიქრო, შუშისა და ფაიფურ-ქაშანურის მრეწველობის საწარმოები . . | 0,7 |
| მრეწველობის დანარჩენი დარგების საწარმოები . . . | 0,6 |

2. უფლება მიენიჭოთ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებთან შეთანხმებით, მოახდინონ საწარმოებისათვის ხელფასის სახსრების გაცემის ნორმატივების დიფერენციაცია ამ დადგენილების 1 მუხლით მრეწველობის დარგებისათვის დაწესებული საშუალო ნორმატივების ფარგლებში იმ ანგარიშით, რომ ცალკეული საწარმოსათვის მისაცემი ხელფასის სახსრების ოდენობა არ აღემატებოდეს წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულების ყოველ პროცენტში ხელფასის ფონდის 0,9 პროცენტს. აღნიშნული ნორმატივების დიფერენციაციის წესს დაადგენენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები, სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები, სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკთან შეთანხმებით.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს 1959 წლის 1 აგვისტოდან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 19 ოქტომბრის №1227 დადგენილება „სამრეწველო საწარმოების მიერ წარმოების გეგმის გადაჭარბებით შესრულების დროს მათთვის ხელფასის სახსრების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიცემის წესის შესახებ“ (სსრკ დადგ. კრებული, 1957 წ., [illegible] მუხ. 135).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. მიქოიანი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **გ. სტეპანოვი.**

**82** **სამეურნეო მშენებლობის ზოგიერთ საკითხზე, რომლებიც დამატებით გადაეცათ გადასაწყვეტად სამინისტროებსა და უწყებებს, ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

I. დამატებით გადაეცეთ სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კომისიებს, კომიტეტებსა და სამმართველოებს გადასაწყვეტად სამეურნეო მშენებლობის შემდეგი საკითხები:

1. გადაწყვიტონ საკითხები დაქვემდებარებულ საწარმოებში არსებული არალიკვიდო მასალებისა და მოწყობილობის გამოყენების შესახებ.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით გაანაწილონ დაქვემდებარებულ საწარმოთა წარმოების ნარჩენები.

3. განახორციელონ ერთეულ შეფასებათა მიხედვით (უხარჯთაღრიცხვებოდ) ისეთი ობიექტების მშენებლობის დაფინანსება, რომელთა ღირებულება 100 ათას მანეთამდეა და კაპიტალური რემონტის ისეთი ობიექტებისა, რომელთა ღირებულება 50 ათას მანეთამდეა.

4. მოახმარონ დამატებით კაპიტალდაბანდებებს იმ მასალების რეალიზაციით შემოსული სახსრები, რომლებიც მიღებულია უვარგისი შენობებისა და ნაგებობების აღების შედეგად.

5. ჩამოწერონ რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ბალანსებიდან შეწყვეტილ კაპიტალურ სამუშაოთა დანახარჯები და გეო-

მუხ./82

ლოგიურ-საძიებო სამუშაოთა ხარჯები, აგრეთვე განუხორციელებელი მშენებლობის საძიებო და საპროექტო სამუშაოთა დაფინანსება მას შემდეგ, რაც საკითხი შეთანხმებული იქნება საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და ფინანსთა სამინისტროსთან.

6. დაიტოვონ თავიანთ განკარგულებაში რეზერვი იმ კრედიტების თანხების 5 პროცენტამდე, რომლებიც დაწესებული იქნება საკრედიტო გეგმებით.

7. დააწესონ არასაშტატო (არასიობრივი) შემადგენლობის მუშაკთა ხელფასის ფონდი ხელფასის დამტკიცებული საერთო ფონდის ფარგლებში, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით.

8. ხარჯონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში ცენტრალური აპარატის შესანახად ხელფასის ფონდის 1 პროცენტამდე მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლების ღონისძიებებისათვის.

9. ნება დართონ, რომ გადაეცეს თავიანთი სისტემის ერთი ორგანიზაციიდან სხვა ორგანიზაციებს შენობები, ნაგებობანი, მოწყობილობა, სატრანსპორტო საშუალება და სხვა ქონება ბალანსიდან ბალანსზე, მათი ღირებულების მიუხედავად.

10. ჩამოსწერონ ჯართად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, გაცვეთილი და სახალხო მეურნეობაში შემდგომ გამოსაყენებლად გამოუსადეგარი მოწყობილობა და სატრანსპორტო საშუალებანი, აგრეთვე დაუმთავრებელ წარმოებაში არსებული ნაკეთობანი, წარმოებიდან მოხსნილი პროდუქციის შეჭურვილობა და ინსტრუმენტი, მათი გამოყენების შეუძლებლობის შემთხვევაში.

11. დაამტკიცონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით არასამრეწველო საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების დირექტორის (უფროსის) ფონდი, თუ შესრულებულია ის პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მთავრობის დადგენილებებით ამ ფონდის შექმნის შესახებ.

12. მოახდინონ, საჭირო შემთხვევებში, დაქვემდებარებულ ორგანიზაციათა და საწარმოთა ზეგეგმითი მოგების იმ ანარიცხების ცენტრალიზაცია, რომლებიც საბინაო მშენებლობას ხმარდება.

13. ნება დართონ რესპუბლიკური და ადგილობრივი დაქვემდებარების საწარმოებსა და ორგანიზაციას აწარმოონ შენდებადი საცხოვრებელი ფონდის ნორმალური ექსპლუატაციისათვის საჭირო საინჟინერო კომუნიკაციებისა და ელექტრომომარაგების ხაზების

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობა იმ ზეგეგმითი მოგების ხარჯზე, რაც საბინაო მშენებლობას ხმარდება ამ საწარმოებისა და ორგანიზაციების კაპიტალური სამუშაოთა გეგმის გადამეტებით.

14. შეიტანონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით ცენტრალური აპარატის შტატებში ცვლილებანი დამტკიცებული შტატისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, სტრუქტურის შეუცვლელად.

15. დაამტკიცონ საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დადგენილი წესით უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებელთა და სასწავლო-დამხმარე პერსონალის შტატები და ფაკულტეტთა დეკანებისა და მათი მოადგილეების საშტატო თანამდებობანი მუშაკთა იმ რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში, რაც დაწესებულია მათი სისტემის უმაღლესი სასწავლებლებისათვის.

16. გადაანაწილონ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, წლიური საბიუჯეტო ასიგნობანი რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებათა შესანახად და შეიტანონ ცვლილებანი ქსელსა და შტატებში.

17. ნება დაერთოს საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს გამოიყენოს თეატრებისა და კინოთეატრების ზეგეგმითი დაგროვებანი ამ თეატრებისა და კინოთეატრების შენობათა კაპიტალური რემონტისათვის და მათთვის საჭირო ინვენტარისა და მოწყობილობის შესაძენად.

18. უფლება მიენიჭოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს შეიტანონ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებისა და უწყებების წარმოების გეგმებში, შრომის გეგმებში, ხელფასის ფონდებსა და შემოსავალ-გასავლის ბალანსებში სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებიდან გამომდინარე ცვლილებები.

19. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს გასცეს საჭიროების შემთხვევაში ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომისა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების შუამდგომლობებით რესპუბლიკური ბიუჯეტიდან სესხი ადგილობრივი ბიუჯეტებით დროებითი გეგმური

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკასო გარღვევების დასაფარავად იმ ანგარიშით, რომ ეს სესხი დაიფაროს კალენდარული წლის ფარგლებში.

20. უფლება მიენიჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიას გაანაწილოს და გადაანაწილოს ნედლეულის, მასალების და მოწყობილობის ფონდები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის საბჭოსა, სამინისტროებსა და უწყებებს შორის, გარდა უმნიშვნელოვანესი სახის ნედლეულისა, მასალებისა და მოწყობილობისა, რომელთა განაწილება სსრ კავშირის მთავრობის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით წარმოებს.

II. გადაეცეს ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, საოლქო აღმასკომის, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქების აღმასკომებისა და რაიაღმასკომების გადასაწყვეტად შემდეგი საკითხები:

1. წარმართონ ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების დროს დამატებით მიღებული შემოსავალი სახალხო მეურნეობის და სოციალურ-კულტურულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად (კაპიტალურ დაბანდებათა ჩათვლით) ავტონომიური რესპუბლიკის, ოლქის, ქალაქისა და რაიონის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ასიგნობათა ზევით, ადმინისტრაციულ-სამმართველო ხარჯების გაუდიდებლად.

2. გაათავისუფლონ ცალკეული კოლმეურნეობები განუყოფელი ფონდების შენატანების დავალიანების დაფარვისაგან სტიქიურ უბედურებასთან ან სხვა განსაკუთრებულ გარემოებასთან დაკავშირებით.

3. დაამტკიცონ ადგილობრივი დაქვემდებარების ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის ხელფასის ფონდი და მუშაკთა რაოდენობა იმ სამუშაოებზე, რომლებიც თვითდაბეგვრის წესით ხორციელდება.

4. მოახდინონ საჭირო შემთხვევებში მათდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ზეგეგმითი მოგების იმ ანარიცხების ცენტრალიზაცია, რომლებიც საბინაო მშენებლობას ხმარდება.

5. გაანაწილონ ადგილობრივი დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა წარმოების ნარჩენები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **რ. შანიძე.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 20 აგვისტო, № 663

## 83 საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოებისათვის ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა უფასო საკონტროლო ეგზემპლარების დაგზავნის წესის შესახებ

პოლიგრაფიული საწარმოებისა და გამომცემლობების მიერ ბეჭდვითი სიტყვის იმ ნაწარმოებთა უფასო საკონტროლო ეგზემპლარების დაგზავნის მოწესრიგების მიზნით, რომლებსაც საქართველოს სსრ გამომცემლობები და სხვა ორგანიზაციები უშვებენ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ ყველა პოლიგრაფიული საწარმო მოვალეა გაუგზავნოს ბეჭდვითი სიტყვის მათ მიერ დამზადებული ნაწარმოებების (გარდა გამოცემებისა, რომლებსაც აქვთ გრიფი საიდუმლო) საკონტროლო ეგზემპლრები რესპუბლიკურ და ადგილობრივ ორგანოებს, დანართის თანახმად.

2. დაწესდეს, რომ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა საკონტროლო ეგზემპლარები გაეგზავნებათ დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს უფასოდ გამოცემათა გამოშვების გაფორმებამდე.

3. დაეკისროს საქართველოს სსრ მთავლიტს პოლიგრაფიული საწარმოების მიერ უფასო საკონტროლო ეგზემპლარების დროულად მიტანისადმი კონტროლი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 28 აგვისტო, № 677

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 28 აგვისტოს № 677
დადგენილების დანართი

## ს ი ა

### საქართველოს სსრ რესპუბლიკური და ადგილობრივი ორგანოებისა, რომლებსაც უფასოდ ეგზავნებათ ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებთა საკონტროლო ეგზემპლარები

| დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დასახელება | გამოცემათა ჩამოთვლა და ეგზემპლარების რაოდენობა |
|---|---|
| 1. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პრესაში სამხედრო და სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის მთავარი სამმართველო — მთავლიტი. | რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო, მრავალტირაჟიანი გაზეთები, საკოლმეურნეო ნაბეჭდი გაზეთები — ორ-ორი ცალი |
| 2. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებთან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომთან არსებული პრესაში სამხედრო და სახელმწიფო საიდუმლოებათა დაცვის სამმართველოები | ყველა გამოცემა, რომლებსაც უშვებენ მოცემული რესპუბლიკის, ოლქის გამომცემლობები და სხვა ორგანიზაციები — თითო ცალი |
| 3. საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს პოლიგრაფგამომცემლობის მთავარი სამმართველო | ყველა გამოცემა, გარდა გაზეთებისა, — თითო ცალი |
| 4. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი | ყველა წიგნი, ბროშურა, ჟურნალი — თითო ცალი |
| 5. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილება | რესპუბლიკური, საოლქო, რაიონული, საქალაქო და მრავალტირაჟიანი გაზეთები, საკოლმეურნეო ნაბეჭდი გაზეთები — თითო ცალი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დასახელება | გამოცემათა ჩამოთვლა და ეგზემპლარების რაოდენობა |
|---|---|
| | ყველა გამოცემა, მათ შორის პლაკატები, გარდა აფიშებისა, გამოცემებისა უსინათლოებისათვის, წვრილნაბეჭდი გამოცემებისა — თითო ცალი |
| 6. საქართველოს კპ საოლქო კომიტეტები | ყველა გამოცემა, რომლებსაც უშვებენ რესპუბლიკური (ასსრ) და საოლქო გამომცემლობები და მოცემული რესპუბლიკის, ოლქის სხვა ორგანიზაციები — თითო ცალი |
| 7. საქართველოს კპ საქალაქო და რაიონული კომიტეტები | მათ მიერ გამოცემული გაზეთები, აგრეთვე მრავალტირაჟიანი გაზეთები, საკოლმეურნეო ნაბეჭდი გაზეთები, რომლებიც გამოდის მოცემულ ქალაქში, რაიონში — თითო ცალი |
| 8. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო | ყველა წიგნი, ბროშურა, ჟურნალი და გაზეთი — თითო ცალი |
| 9. საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტი | გამომცემლობა საბლიტგამის, გაზეთ „მოლოდოი სტალინეცის“, „ახალგაზრდა კომუნისტის“, „ნორჩი ლენინელის“ გამოცემები, ჟურნალები „ცისკარი“, „პიონერი“, „დილა“, „ამცაბაზი“—თითო ცალი |
| 10. საქართველოს სსრ სამინისტროები და უწყებები | ყველა გამოცემა, რომლებსაც უშვებენ საქართველოს სსრ შესაბამისი სამინისტროსადმი ან უწყებისადმი დაქვემდებარებული გამომცემლობები და ორგანიზაციები — თითო ცალი |
| 11. ყველა გამომცემლობა | გამოცემანი, რომლებსაც ისინი უშვებენ ხუთ-ხუთი ცალი |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დასახელება | გამოცემათა ჩამოთვლა და ეგზემპლარების რაოდენობა |
|---|---|
| 12. საქართველოს სსრ სახელმწიფო წიგნის პალატა | ყველა გამოცემა — თითო ცალი |
| 13. კ. მარქსის სახელობის რესპუბლიკური საჯარო ბიბლიოთეკა | ყველა გამოცემა, გარდა აფიშებისა, გამოცემებისა უსინათლოებისათვის და გამოცემათა მეორე წყებებისა — თითო ცალი |
| 14. საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი | სამეცნიერო-ისტორიული (წიგნები, ბროშურები, ჟურნალები, და ოფიციალური გამოცემები, რომლებსაც უშვებენ რესპუბლიკური გამომცემლობები — თითო ცალი |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## 84 ქალაქ თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის მოსამარაგებლად გარეუბნის რაიონების საბჭოთა მეურნეობებისა და ზოგიერთი კოლმეურნეობის მიერ ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების ჩაბარების წესის შესახებ

ქალაქ თბილისსა და რუსთავში ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების ვაჭრობის მოწესრიგების, ჩასაბარებელი და სარეალიზაციო პროდუქციის წარმოების გადიდების, ასორტიმენტის გაფართოებისა და ხარისხის გაუმჯობესების საქმეში საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების დამამზადებელი და სავაჭრო ორგანიზაციების პასუხისმგებლობის გაძლიერების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ 1959 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს სისტემის ყველა საბჭოთა მეურნეობა, რომლებიც გარეუბნის რაიონებში იმყოფებიან, ბოსტნეულს, კარტოფილს, ხილს, ყურძენსა და ბაღჩეულ კულტურებს თავისი სატრანსპორტო საშუალებებით მიიტანენ უშუალოდ ქალაქ თბილისისა და რუსთავის სავაჭრო ორგანიზაციების მათზე მიმაგრებულ მაღაზიებში, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, ბაზებსა და კომბინატებში, მათ შორის დადებული პირდაპირი ხელშეკრულებების საფუძველზე.

ხილბოსტნეულის პროდუქციის ჩაბარების ასეთივე წესი შემოღებულ იქნას შემდეგ კოლმეურნეობებში:

სამგორის რაიონის სოფელ ქესალოს „პრავდის“ სახელობის კოლმეურნეობა;

მცხეთის რაიონის სოფელ ძალისის ლენინის სახელობის კოლმეურნეობა;

მარნეულის რაიონის სოფელ ყაჩაღანის კოლმეურნეობა „კომუნიზმი“.

2. დამტკიცდეს გარეუბნის რაიონების საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიერ ბოსტნეულის, ხილისა და ბაღჩეული კულტურების ჩაბარების დავალება, დაწყებული 1959 წლის 1 სექტემბრიდან მიმდინარე წლის დამლევამდე, №№ 1 და 2 დანართებში აღნიშნული ასორტიმენტით.

დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და სახალხო მეურნეობის საბჭოსთან ერთად:

ა) დაამტკიცოს დავალება ბოსტნეულის, ხილის, ბაღჩეული კულტურების და ყურძნის ჩაბარებისა თბილისის და რუსთავის სავაჭრო ორგანიზაციებისათვის, საბჭოთა მეურნეობების მიხედვით 1959 წლის დარჩენილ პერიოდში;

ბ) 5 დღის ვადაში დაამტკიცოს ქალაქ თბილისისა და რუსთავის სავაჭრო ორგანიზაციებისათვის ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების მიწოდების კალენდარული ვადები.

3. დამტკიცდეს ძირითადი წესები გარეუბნის რაიონების ყველა სისტემის საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიერ კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების მიწოდების ქალაქ თბილისის და რუსთავის ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის, № 3 დანართის თანახმად.

დაევალოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და დაინტერესებულ უწყებებთან ერთად, სამი დღის ვადაში დაამტკიცოს ტიპობრივი ხელშეკრულება საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიერ სავაჭრო ორგანიზაციებისათვის ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების ჩაბარების და მიღების შესახებ.

4. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, სამგორის, მცხეთის, მარნეულისა და საგარეჯოს რაიაღმასკომებმა დაავალონ საბჭოთა მეურნეობებს და ურჩიონ კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) უზრუნველყონ ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების დროულად აღება და მოკრეფა, არ დაუშვან მათი ძირზე გადამწიფება, გულმოდგინედ დაახარისხონ და შეფუთონ მხოლოდ და მხოლოდ სტანდარტულ ტარაში და მიიტანონ ეს პროდუქტები ქალაქ თბილისისა და რუსთავის სავაჭრო ორგანიზაციათა მაღაზიებში, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, ბაზებსა და კომბინატებში, მიწოდების დამტკიცებული ძირითადი წესების შესაბამისად;

ბ) განუმარტონ საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებსა და კოლმეურნეობათა გამგეობებს ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების მიწოდების მიღებული ძირითადი პირობების მნიშვნელობა.

5. დაევალოთ თბილისისა და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

ა) ქალაქ თბილისისა და რუსთავის მოსახლეობის ხილბოსტნეულით მომარაგების დამტკიცებული საბაზრო ფონდების შესაბამისად,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხუთი დღის ვადაში მიამაგრონ გარეუბნის რაიონების საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები ქალაქ თბილისისა და რუსთავის სავაჭრო ორგანიზაციების ხილბოსტნეულის მაღაზიებს, სასადილოებს, რესტორნებს, ბაზებსა და კომბინატებს;

ბ) ერთი კვირის ვადაში უზრუნველყონ პირდაპირი სამეურნეო ხელშეკრულებების დადება ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს შორის, ამასთან აღინიშნოს ამ ხელშეკრულებებში პროდუქციის რაოდენობა, ასორტიმენტი და ჩაბარების ვადები;

გ) გადაჭრით გააუმჯობესონ კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების ვაჭრობა, რისთვისაც გამოიყენონ ქ. მოსკოვისა და სხვა ქალაქების სავაჭრო ორგანიზაციათა ხილბოსტნეულით ვაჭრობის მოწინავე გამოცდილება;

დ) აკრძალონ არასტანდარტული ხილის ვაჭრობა მსხვილ სპეციალიზებულ ხილბოსტნეულის მაღაზიებში.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს გამოუყოს მიზნობრივი დანიშნულებით ქ. თბილისისა და რუსთავის ამ დადგენილების 1 მუხლში აღნიშნულ 3 კოლმეურნეობას ხილბოსტნეულის მისაზიდად ავტოსაბურები თვითეულს 18 კომპლექტის რაოდენობით.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სტატისტიკურ სამმართველოს სასწრაფოდ დააწესოს გარეუბნის რაიონების იმ საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მიერ ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების დამზადების გეგმების შესრულების აღრიცხვის გარკვეული წესი, რომლებსაც უშუალოდ მიაქვთ პროდუქცია ქალაქ თბილისისა და რუსთავის საზოგადოებრივი კვების და ვაჭრობის საწარმოებში.

8. დაევალოს ცეკავშირის გამგეობას მიყიდოს ხილბოსტანვაჭრობას 300 ათასი კომპლექტი ახალი ყუთის ტარა № 38.

9. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, თბილისისა და რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების, სამგორის, მცხეთის, მარნეულისა და საგარეჯოს რაიონული საბჭოების აღმასკომებს სისტემატური კონტროლი გაუწიონ ამ დადგენილების

შესრულების მიმდინარეობას და ყოველდღიური საჭირო დახმარება აღმოუჩინონ საბჭოთა მეურნეობებს, კოლმეურნეობებს, დამამზადებელ და სავაჭრო ორგანიზაციებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 31 აგვისტო, № 682

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 31 აგვისტოს № 682
დადგენილების დანართი № 1

# დ ა ვ ა ლ ე ბ ა

## გარეუბნის რაიონების საბჭოთა მეურნეობების მიერ 1959 წლის მოსავლის სტანდარტული ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის და ბაღჩეული კულტურების ჩაბარებისა ქ. თბილისის და ქ. რუსთავის ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის 1959 წლის 1 სექტემბრიდან

(ტონობით)

| კულტურები | კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა | გარდაბნის ხილბოსტნეულის საბჭოთა მეურნ. | თელეთის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა | თბილისის ღორის გასასუქებელი მეურნეობა | მუხროვანის საბჭოთა მეურნეობა | სსრკ სოფლის მეურნ. სამინისტროს დიღმის სასწავლო მეურნეობა | ავჭალის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| კომბოსტო თეთრთავიანი | 30 | 100 | 30 | 19 | 600 | 65 | 35 | 879,0 |
| „ ყვავილოვანი | — | 15 | — | — | — | — | — | 15 |
| კოლრაბი | 40 | 5 | — | — | — | — | 10 | 55,0 |
| წითელი პამიდორი | 300 | 700 | 30 | 40 | 5 | 250 | 118,5 | 1443,5 |
| ბადრიჯანი | 10 | 200 | 10 | — | — | 12 | 0,5 | 232,5 |
| სუფრის ჭარხალი | 600 | 170 | 70 | 33 | 190 | 150 | 110 | 1323,0 |
| სტაფილო | 59 | 10 | 15 | 4 | 47 | 13 | 7 | 155,0 |
| კიტრი | 2 | 6 | — | — | 4 | — | 0,5 | 12,5 |
| თავიანი ხახვი | — | 10 | 2 | — | 35 | 31 | — | 78,0 |
| ბულგარული წიწაკა | 2 | 20 | — | — | — | — | 0,2 | 22,2 |
| მწარე წიწაკა | 2 | 15 | — | 0,2 | — | 0,4 | 0,2 | 17,8 |
| მწვანე ლობიო | 3 | 5 | — | — | — | — | — | 8,0 |
| ჩინური ბოლოკი | 200 | 50 | 6 | 8 | — | 40 | 25 | 329,0 |
| თვის ბოლოკი | 45 | 30 | — | 1,5 | — | 10 | 5 | 91,5 |
| ოხრახუში | 8 | 2,5 | 0,4 | 0,1 | — | 1,3 | 3 | 15,3 |
| ქინძი | 10 | 8,5 | 0,2 | 0,1 | — | — | 3 | 21,8 |
| კამა | 5 | 2 | — | — | — | — | — | 7,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

შიფრ. 84
ეროვნული ბიბლიოთეკა

| კულტურები | კრწანისის მებოსტნე-ობის საბჭოთა მეურნეობა | გარდაბნის ბოსტნე-ულის საბ-ჭოთა მეურნ. | თელეთის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა | თბილისის ღორის გასა-სუქებელი მეურნეობა | მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობა | სარკ. სოფლის მეურნ. სამი-ნისტრის ლე-ლბის საცდე-ლი მეურნეო-ბა | ავჭალის მერძევეობის საბჭოთა მეურ-ნეობა | ს უ ლ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რეჰანი | 14 | 1,5 | — | — | — | 0,6 | 0,1 | 16,2 |
| ოხრახუში | — | 2,8 | — | — | — | — | 0,5 | 3,3 |
| პიტნა | — | 0,4 | — | — | — | — | — | 0,4 |
| წიწმატი | 15 | 20 | — | 0,1 | — | 1,2 | 3 | 39,3 |
| პრასა | — | 2 | — | — | — | — | — | 2,0 |
| ისპანახი | 15 | 30 | 2,5 | 3 | — | 6 | 3 | 59,5 |
| სიმინდი (რძისებრი სიმწიფ-ის) | 10 | 10 | — | — | — | — | — | 20,0 |
| მწვანე ხახვი | 4 | 20 | — | — | — | — | — | 24,0 |
| მწვანე პამიდორი | 300 | 60 | 10 | 10 | 2 | — | 30 | 412,0 |
| სულ ბოსტნეული და მწვა-ნილი | 1674 | 1495,7 | 176,1 | 119,0 | 883 | 580,5 | 354,5 | 5282,8 |
| საზამთრო | — | 40 | — | — | — | — | — | 40 |
| გოგრა | — | 30 | — | — | — | — | — | 30 |
| ყაბაყი | — | 1 | — | — | — | — | — | 1 |
| პატისონი | — | 5 | — | 2,5 | — | — | — | 7,5 |
| სულ ბაღჩეული | — | 76 | — | 2,5 | — | — | — | 78,5 |
| ვაშლი | — | — | 4 | 0,2 | 3 | — | 1 | 8,2 |
| მსხალი | — | — | 2,0 | — | — | — | 1 | 3,0 |
| ბროწეული | 1 | — | — | — | — | — | — | 1,0 |
| ატამი | 1 | — | 1 | — | — | — | 3 | 5,0 |

| კულტურები | კრწანისის მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა | გარდაბნის ხილ-ბოსტნეულის საბჭოთა მეურნ. | თელეთის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა | თბილისის ღორის გასასუქებელი მეურნეობა | მუხროვანის საბჭოთა მეურნეობა | სსრკ სოფლის მეურნ. სამინისტრის დიღმის საცდელი მეურნეობა | ავჭალის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა | სულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ქლიავი | — | — | — | — | — | 2 | — | 2,0 |
| ლეღვი | 1 | — | 15 | 1,5 | — | — | 3 | 20,5 |
| სუბტროპიკული ხურმა | 15 | — | — | 0,5 | — | — | 6 | 21,5 |
| სულ ხურმა | 18 | — | 22 | 2,2 | 3 | 2 | 14 | 61,2 |
| სუფრის ყურძენი | 57 | 60 | 12 | 2 | 5 | 30 | 3 | 169 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟირაძაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 31 აგვისტოს № 682
დადგენილების დანართი № 2

# დ ა ვ ა ლ ე ბ ა

## გარეუბნის რაიონების კოლმეურნეობების მიერ 1959 წლის მოსავლის სტანდარტული ბოსტნეულის, ხილის, ყურძნის და ბაღჩეული კულტურების ჩაბარებისა ქ. თბილისის ვაჭრობის და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისათვის 1959 წლის 1 სექტემბრიდან

(ტონობით)

| კულტურები | სამგორის რაიონის სოფ. ქესალოს „პროგრესის“ სახ. კოლმეურნეობა | მარნეულის რაიონის სოფ. ყაჩაღანის კოლმეურნეობა „კომუნიზმი“ | მცხეთის რაიონის სოფ. ძალისის ლენინის სახ. კოლმეურნეობა | სულ სამ კოლმეურნეობაში |
|---|---|---|---|---|
| კომბოსტო თეთრთავიანი | 150 | 40 | 250 | 440 |
| პამიდორი . . . . . | 40 | 30 | 100 | 170 |
| თავიანი ხახვი . . . | 290 | 40 | 60 | 390 |
| სტაფილო . . . . . | 15 | 5 | — | 20 |
| კიტრი . . . . . | — | 6 | — | 6 |
| სუფრის ჭარხალი | 145 | 50 | 10 | 205 |
| ბადრიჯანი . . . . . | 15 | 25 | — | 40 |
| სიმინდი რძისებრი სიმწიფისა . . . . . | 5 | — | 10 | 15 |
| მწვანე პამიდორი . | — | — | 20 | 20 |
| სულ ბოსტნეული | 660 | 196 | 450 | 1306 |
| სუფრის ყურძენი . . | 10 | — | 8 | 18 |
| ვაშლი, მსხალი . . | 5 | 15 | — | 20 |
| ხურმა . . . . . . | — | 1 | — | 1 |
| სულ ხილი . | 5 | 16 | — | 21 |
| საზამთრო . . . . | 140 | 50 | — | 190 |
| გოგრა . . . . . | 80 | 5 | — | 85 |
| სულ ბაღჩეული . | 220 | 55 | — | 275 |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჟირაძაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 31 აგვისტოს № 682
დადგენილების დანართი № 3

## ძირითადი წესები

### გარეუბნის რაიონების ყველა სისტემის საბჭოთა მეურნეობებისა და ზოგიერთ კოლმეურნეობის მიერ კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების ჩაბარებისა ქ. თბილისის და რუსთავის მაღაზიებისა, სასადილოებისა, რესტორნებისა, კომბინატებისა და სავაჭრო ორგანიზაციათა ბაზებისათვის

### I. ზოგადი დებულებანი

1. ჩაბარების ამ ძირითადი წესების მიზანია: შეასრულოს სახელმწიფო გეგმა ქ. თბილისის და ქ. რუსთავის მოსახლეობის მომარაგებისა ბოსტნეულით, კარტოფილით, ხილით, ყურძნითა და ბაღჩეული კულტურებით, გარეუბნის რაიონების ყველა სისტემის საბჭოთა მეურნეობებისა და ზოგიერთი კოლმეურნეობის წარმოების ხარჯზე.

მიაწოდოს მაღალი ხარისხის ბოსტნეული, კარტოფილი, ხილი, ყურძენი და ბაღჩეული კულტურები იმ რაოდენობითა და ისეთი ასორტიმენტით, რაც უფრო სრულად აკმაყოფილებს ქ. თბილისისა და ქ. რუსთავის მოსახლეობის მოთხოვნილებებს;

დაამყაროს, ხელშეკრულებათა დადების გზით, სწორი სამეურნეო ურთიერთობანი საბჭოთა მეურნეობებსა, კოლმეურნეობებსა და ქ. თბილისისა და რუსთავის სავაჭრო ორგანიზაციებს შორის.

მიწოდების ძირითადი წესები არეგულირებენ გარეუბნის რაიონების ყველა მიმწოდებელი საბჭოთა მეურნეობისა და ზოგიერთი კოლმეურნეობისათვის და ქ. თბილისისა და რუსთავის მყიდველი მაღაზიებისა, სასადილოებისა, რესტორნებისა, ხილბოსტნეულის ბაზებისა და კომბინატებისათვის საერთო საკითხებს; სავალდებულოა სახელმძღვანელოდ ხელშეკრულებათა დადებისა და შესრულების დროს, განუყრელია მათგან და მიმწოდებელი საბჭოთა მეურნეობის — კოლმეურნეობის მიერ დაერთვის თვითეულ დადებულ ხელშეკრულებას.

2. მიწოდების ძირითადი წესების დარღვევა და დადებულ ხელშეკრულებათა შეუსრულებლობა განხილული იქნება სახელმწიფო

დისციპლინის დარღვევად და გამოიწვევს ხელშეკრულებ[illegible]
მხარეთა ქონებრივ პასუხისმგებლობას, ამ წესების შესაბ[illegible]

3. მთელი ბოსტნეული, კარტოფილი, ხილი, ყურძენი და ბაღჩეული კულტურები მიეწოდება ქალაქ თბილისსა და რუსთავს პირდაპირი ხელშეკრულებებით.

## II. ხელშეკრულებათა დადების წესი

4. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველო და რუსთავის საქალაქო სავაჭრო განყოფილება ყოველწლიურად, არა უგვიანეს ნოემბრისა, წარუდგენენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს განაცხადს ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების მომავალი წლისათვის მიწოდების შესახებ ასორტიმენტისა და მიწოდების ვადების აღნიშვნით, გარეუბნის ზონის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო, წარმოების წლიური გეგმის პროექტის ზემდგომი ორგანოებისათვის დაწესებულ ვადებში წარდგენასთან ერთად, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს და რუსთავის საქალაქო სავაჭრო განყოფილებას წარუდგენენ გარეუბნის ზონის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების წარმოების გეგმის პროექტებს.

მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს და თბილისის საქალაქო აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს და რუსთავის საქალაქო სავაჭრო განყოფილებას შორის შეთანხმებული იქნება რაოდენობა, ასორტიმენტი და მიწოდების ვადები არა უგვიანეს 30 დღისა, თბილისის საქალაქო აღმასკომის ვაჭრობის სამმართველო და რუსთავის საქალაქო სავაჭრო განყოფილება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს წარუდგენენ გეგმას (უწყისს) ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების განაწილებისა, საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მიხედვით, მყიდველ მსხვილ მაღაზიებსა, რესტორნებსა, სასადილოებსა, ხილბოსტნეულის კომბინატებსა და ბაზებს შორის მიწოდების კვარტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლური ვადების აღნიშვნით ჯგუფური ასორტიმენტითა [illegible] ლური გამოხატულებით.

ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების მიწოდების განაწილების გეგმის ასლებს ან ამონაწერებს თბილისის საქალაქო აღმასკომის ვაჭრობის სამმართველო და რუსთავის საქალაქო სავაჭრო განყოფილება უგზავნიან მიმწოდებლებსა და მყიდველებს, რომლებიც წარმოადგენენ მათ შორის პირდაპირი ხელშეკრულებების დადების საფუძველს.

5. წლიური ხელშეკრულებანი დაიდება ბოსტნეულისა და კარტოფილის მიწოდების გეგმის დამტკიცების შემდეგ 30 დღის განმავლობაში. მოკლევადიანი და ერთჯერადი ხელშეკრულებანი დაიდება იმ დროიდან 10 დღის განმავლობაში, როდესაც მხარეებს ეცნობათ, რომ საჭიროა ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების მიწოდება განსაზღვრული პერიოდისათვის.

6. ხელშეკრულებებს დადებენ:

ა) როგორც მიმწოდებლები — გარეუბნის რაიონების ყველა საბჭოთა მეურნეობა და ზოგიერთი კოლმეურნეობა;

ბ) როგორც მყიდველები — ხილბოსტნეულის ბაზები, მაღაზიები, სასადილოები და რესტორნები, ხილბოსტნეულის კომბინატები, სხვა ორგანიზაციათა ბაზები, რომელთა სიას დაამტკიცებენ თბილისის საქალაქო აღმასკომის ვაჭრობის სამმართველო და რუსთავის საქალაქო სავაჭრო განყოფილება.

7. მიმწოდებელი მოვალეა ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების მიწოდების გეგმის (უწყისის) ასლის ან ამონაწერის მიღებიდან ხუთი დღის ვადაში გაუგზავნოს მყიდველს ორ ცალად ხელმოწერილი პროექტი ხელშეკრულებისა და მისაწოდებელი პროდუქციის სპეციფიკაცია.

ხელშეკრულებებთან დადებულ სპეციფიკაციაში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) მისაწოდებელი ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების დაწვრილებითი დასახელება და გაშლილი ასორტიმენტი;

ბ) შინაკვარტალური, შინათვიური და დეკადური ვადები მიწოდებისა.

მყიდველი ხელშეკრულების პროექტის მიღებიდან არა უგვიანეს 5 დღისა ხელს მოაწერს ხელშეკრულებას და მის სპეციფიკაციას, ამასთან ხელშეკრულების ერთ ცალს სპეციფიკაციის დართვით უბრუნებს მიმწოდებელს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთუ ხელშეკრულების ირგვლივ თავი იჩინა უთანხმოებამ, მყიდველი იმავე ვადაში შეადგენს უთანხმოების ოქმს, რომელშიც გააკეთებს შენიშვნას ხელშეკრულებაზე ხელმოწერის წინ და გაუგზავნის ამ ოქმს მიმწოდებელს ხელმოწერილ ხელშეკრულებასთან ერთად.

თუ მიმწოდებელი 10 დღის ვადაში არ მოაგვარებს დავას მყიდველთან და წინასახელშეკრულებო დავას არ გადასცემს სახელმწიფო არბიტრაჟს, მყიდველის წინადადება მიღებულად ჩაითვლება.

ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების ასორტიმენტის და მიწოდების ვადების ირგვლივ მიმწოდებელსა და მყიდველს შორის წამოჭრილ უთანხმოებას მიმწოდებელი 3 დღის ვადაში გადასცემს განსახილველად შესაბამისად საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, თბილისის საქალაქო აღმასკომის ვაჭრობის სამმართველოს და რუსთავის საქალაქო სავაჭრო-განყოფილებას, რომელთა გადაწყვეტილება სავალდებულოა მხარეებისათვის.

8. ხელშეკრულების პირობები, რომლებიც მიწოდების ამ ძირითად წესებს ეწინააღმდეგებიან, ძალადაკარგულად ითვლება.

იმ ბოსტნეულზე, კარტოფილზე, ხილზე, ყურძენსა და ბაღჩეულ კულტურებზე, რომლებსაც საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები გამოყოფენ ხანგრძლივ შესანახად ქალაქ თბილისისა და რუსთავისათვის, თბილისის საქალაქო აღმასკომის ვაჭრობის სამმართველო, რუსთავის საქალაქო სავაჭრო განყოფილება, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო დაამტკიცებენ ტიპობრივ ხელშეკრულებას, რომელიც სავალდებულოა თბილხილბოსტანვაჭრობისა, რუსთავვაჭრობისა, სხვა სავაჭრო ორგანიზაციებისა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისათვის.

## III. რაოდენობა და ასორტიმენტი

9. ჩასაბარებელი ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების რაოდენობა და ასორტიმენტი განისაზღვრება ხელშეკრულებებში განაწილების გეგმით (უწყისით) გათვალისწინებული რაოდენობისა და ასორტიმენტის შესაბამისად (მუხ. 4).

ეროვნული ბიბლიოთეკა

10. ჩასაბარებელი ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნის და ბაღჩეული კულტურების გაშლილი ასორტიმენტი დაზუსტდება ყოველთვიური შესათანხმებელ სპეციფიკაციებში, რომლებიც ხელშეკრულებას დაერთვის, როგორც მისი განუყრელი ნაწილი. ყოველთვიური სპეციფიკაციების შეთანხმების ვადები დაწესდება ხელშეკრულებაში.

სპეციფიკაციის გარშემო წამოჭრილი უთანხმოებანი გაფორმდება და გადაიჭრება იმ წესით, რაც გათვალისწინებულია ამ ძირითადი წესების მე-7 მუხლით.

11. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია პროდუქციის ჩაბარება სპეციფიკაციით გათვალისწინებულ ვადებში მიმწოდებლებისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით (მოუსავლიანობა ან ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების დაღუპვა სტიქიური უბედურების შედეგად), მიმწოდებელს არ ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა მყიდველის წინაშე უკეთუ აღნიშნული მიზეზები დადასტურებულია რაიაღმასკომის განსაკუთრებული აქტებით.

## IV. საქონლის ხარისხი, ტარა. შეფუთვა მარკირება

12. მიწოდებული ბოსტნეული, კარტოფილი, ხილი, ყურძენი და ბაღჩეული კულტურები ხარისხის მხრივ უნდა აკმაყოფილებდეს რესპუბლიკური ტექნიკური პირობების მოთხოვნებს.

მიწოდება ისეთი პროდუქციისა, რომელზედაც არ არსებობს დამტკიცებული ტექნიკური პირობები, აგრეთვე არასტანდარტული პროდუქციისა, არ დაიშვება.

13. ბოსტნეული, კარტოფილი, ხილი, ყურძენი და ბაღჩეული კულტურები ჩაბარებულ უნდა იქნას საქონლური ხარისხების მიხედვით დახარისხებული სახით აღების ადგილებში ან საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების ქვედამხარისხებელ საწყობებში.

თვის ბოლოკი, სტაფილო და გამოხშირული ჭარხალი უნდა იყოს შეკრული კონებად კონაში იმდენი ცალის რაოდენობით, რაც გათვალისწინებულია რესპუბლიკური ტექნიკური პირობების მოთხოვნებით და ჩაწყობილი ყუთებში, თვითეულში კონების ერთეულების ერთნაირი რაოდენობით.

მწვანე ხახვს და ყოველგვარ მწვანილს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ჩააბარებენ კონებად დაფასოებული სახით

მუზ. 84

ისე, რომ კონაში იყოს 200 გრამი და მეტი, მაგრამ არა უმეტეს 1 კილოგრამისა. მისაწოდებელი დაფასოებული ხახვის [illegible] გათვალისწინებული იქნება პირდაპირი ხელშეკრულებებით.

საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს ქაღალდით ან ცელოფანით უზრუნველყოფენ მყიდველები.

14. საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიერ მიწოდებული ბოსტნეული, კარტოფილი, ხილი და ყურძენი ჩაწყობილი უნდა იყოს შესაბამის სტანდარტული ხის, ლითონის ან რბილ ინვენტარულ ტარაში:

ა) სტაფილო, ყვავილოვანი კომბოსტო, კიტრი და ბადრიჯანი — № 1 ყუთებში, ადრეული და საგვიანო კარტოფილი და ჭარხალი — ინვენტარულ ყუთებში № 1, რბილ ტარაში ან კონტეინერებში;

ბ) დახურული და ღია გრუნტის პამიდორი, მწვანილი, კურკოვანი ხილი და ყურძენი — № 38 ყუთებში სახელმწიფო სტანდარტი № 8416—57;

გ) თეთრთავიანი კომბოსტო — № 43 ყუთებში სახელმწიფო სტანდარტი № 8416 — 57 ან ინვენტარულ ტარაში;

დ) მწვანე ხახვი — № 59 ყუთებში სახელმწიფო სტანდარტი № 3583—47 (უსახურავოდ) ან ინვენტარულ ტარაში.

თავიანი ხახვი და ნიორი — რბილ ტარაში.

ტარა უნდა იყოს დამარკული კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის დასახელების და ტარის წონის აღნიშვნით.

15. მიმწოდებელი საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები მოვალენი არიან იქონიონ ბრუნვაში ინვენტარული საბრუნავი ტარის სულ ცოტა 3 კომპლექტი, რომელთაგან ერთი კომპლექტი მუდამ უნდა იმყოფებოდეს საბჭოთა მეურნეობაში ან კოლმეურნეობაში პროდუქტების ჩასაწყობად, მეორე — შეფუთული საქონლით ტრანსპორტირების პროცესში, მესამე (შესაცვლელი) — ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში. ტარა უკანვე უბრუნდება საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობას მათ მიერ პროდუქციის მიტანის დროს.

ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების გადასაზიდად საჭირო ტარით უზრუნველყოფა ეკისრება თბილხილბოსტანვაჭრობას, რომელიც საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებს გადასცემს ტარას საპრეისკურანტო ფასში, ხოლო ინვენტარულ ტარას — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან შეთანხმებულ ფასებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნის გადასაზიდად განკუთვნილი მთელი ტარა წარმოადგენს ინვენტარულ, საბრუნავ ტარას.

მიმწოდებლის მიერ პროდუქციით მიწოდებული ტარა ჩაიწერება სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებში (ფაქტურაში) ცალკე სტრიქონად, ამასთან აღინიშნება ტარის დასახელება, ნომერი პრეისკურანტის მიხედვით, რაოდენობა და ფასი (შეთანხმებული სასაწინდრო ფასი).

მყიდველის მიერ დაბრუნებულ ტარას თან ახლავს მყიდველის ზედნადები ორ ცალად იმავე რეკვიზიტების აღნიშვნით.

ინვენტარული ტარის დაზიანება და გატეხვა, რაც აღმოჩენალი იქნება ჩაბარებისა და მიღების დროს, აღინიშნება ზედნადებებში და დადასტურდება მხარეთა ხელმოწერით.

დაზიანებული ტარის რემონტისა და დანაკლისი დეტალების ღირებულება გადახდება დამნაშავე მხარეს.

მხარეები ხელშეკრულებით მოვალენი არიან აწარმოონ ინვენტარული ტარის მიღებისა და დაბრუნების რაოდენობრივი აღრიცხვა, ყოველთვიურად შეამოწმონ პირველი რიცხვის მდგომარეობის მიხედვით ტარის მოძრაობა, ამასთან აღნიშნული შემოწმება უნდა მოხდეს არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო 20 რიცხვისა.

შემოწმებამდე მიმწოდებელი ვალდებულია არა უგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო 15 რიცხვისა აცნობოს მყიდველს თავისი ცნობები საანგარიშო თვეში ინვენტარული ტარის მოძრაობის შესახებ.

უკეთუ მიმწოდებელმა 15 დღის ვადაში არ წარმოადგინა ცნობები ინვენტარული ტარის მოძრაობის შესახებ, მყიდველს უფლება ეძლევა აცნობოს მიმწოდებელს თავისი მონაცემები.

ის მხარე, რომელმაც მიიღო ცნობები ტარის მოძრაობის შესახებ, მოვალეა 5 დღის ვადაში შეატყობინოს თავისი საწინააღმდეგო აზრი ან დაადასტუროს ამ ცნობების სისწორე.

ცნობების შეუთანხმებლობის დროს მოხდება შემოწმება მხარეთა შეთანხმებით დაწესებულ ვადებში, არა უგვიანეს ორი დეკადის ვადისა.

ტარის დაუბრუნებლობისათვის სანქციების გამო მთელი ანგარიშსწორება წარმოებს ზემოაღნიშნული თვიური ცნობების მიხედვით.

დასაბრუნებელი ინვენტარული (საბრუნავი) ტარის რაოდენობა და მისი დაბრუნების ვადები დაწესდება პირდაპირი ხელშეკრულებებით.

მუზ. 84
ეროვნული ბიბლიოთეკა

## V. ბოსტნეულის, კარტოფილის ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების მიწოდების ვადები და წესი

16. ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების მიწოდება წარმოებს მხარეთა შორის შეთანხმებული კვირის გრაფიკით. გრაფიკის შედგენის ვადა და მისი შეთანხმების წესი გათვალისწინებული იქნება პირდაპირი ხელშეკრულებებით.

იმ შემთხვევაში, თუ გრაფიკი არ იქნა შეთანხმებული დაწესებულ ვადებში ერთერთი მხარის მიზეზით, რის შედეგადაც მიწოდება შეუძლებელი გახდა, დამნაშავე მხარეს ეკისრება პასუხისმგებლობა, როგორც პროდუქციის ნაკლმიწოდებისათვის ან მისი მიღებისაგან უარის თქმისათვის.

ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების მიწოდების უფრო გარკვეული ორგანიზაციის მიზნით, მხარეები მოვალენი არიან შეათანხმონ და დააზუსტონ მიტანის დრო ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებისაგან შეკვეთების მიღების გზით, რომლებიც მიცემულ უნდა იქნას მიწოდების წინა დღის 12 საათამდე.

შეკვეთები გადაეცემა ტელეფონით, წერილობითი ფორმით უშუალოდ საბჭოთა მეურნეობას და კოლმეურნეობას ან იმ საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის წარმომადგენელთა მეშვეობით, რომელმაც საქონელი მიიტანა.

მაღაზიების, სასადილოებისა და რესტორნების მიერ გადაცემული შეკვეთები უნდა შეიტანონ როგორც მათ, ისე საბჭოთა მეურნეობებმაც და კოლმეურნეობებმაც განსაკუთრებულ ჟურნალში, რომლის ფორმას დაამტკიცებენ სოფლის მეურნეობის სამინისტრო, სახალხო მეურნეობის საბჭო და თბილისის საქალაქო აღმასკომის ვაჭრობის სამმართველო, რუსთავის საქალაქო სავაჭრო განყოფილება, ამასთან აღინიშნება თარიღი, საათი, შეკვეთის მიმღები და გადამცემი პირის გვარი, აგრეთვე პროდუქციის რაოდენობა, ასორტიმენტი, მიტანის დღე და დაახლოებით საათი.

მაღაზიებში, სასადილოებში, რესტორნებში, ბაზებსა და კომბინატებში ამ დროს უნდა იმყოფებოდეს მუშაკი ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების მისაღებად.

პროდუქციის მიწოდება უნდა წარმოებდეს საბჭოთა მეურნეობე-ბისა და კოლმეურნეობების მიერ, როგორც წესი, მაღაზიების, სასა-დილოების, რესტორნების მუშაობის დაწყებამდე.

იმ პერიოდში, როდესაც წარმოებს ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების მასობრივი შეტანა ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვადებში, საბჭოთა მეურნე-ობები და კოლმეურნეობები მოვალენი არიან მიიტანონ პროდუქცია მთელი დღეღამის განმავლობაში, ხოლო მაღაზიებმა, სასადილოებმა, რესტორნებმა, ბაზებმა და საწყობებმა უნდა უზრუნველყონ მისი მიღება.

17. ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების მიტანა ხდება ამ მიზნისათვის სპეციალურად მოწყო-ბილი ავტომანქანებით, რომლებსაც გამოყოფს საბჭოთა მეურნეობა და კოლმეურნეობა, ან საამისოდ დაქირავებული ავტოტრანსპორტით მიმწოდებლის ხარჯზე მათი აღებიდან არა უგვიანეს შემდეგი ვადე-ბისა:

ადრეული კარტოფილი — 10 საათი, ყვავილოვანი კომბოსტო — 6 საათი, ადრეული კომბოსტო — 10 საათი, საკვალსათბურო-სასათ-ბურო და გრუნტის მწვანილი — 6 საათი, ძირხვენები — 10 საათი, კიტრი, პამიდორი და ბადრიჯანი — 6 საათი, ყურძენი, კურკოვანი ხილი — 6 საათი, ბაღჩეული კულტურები — 16 საათი.

შორეული საბჭოთა მეურნეობებიდან და კოლმეურნეობებიდან ნებადართულია გაიგზავნოს ბოსტნეული, კარტოფილი, ხილი, ყურ-ძენი და ბაღჩეული კულტურები ბაზებისა და კანტორების სახელზე რკინიგზის ვაგონებით.

პროდუქციის გადმოტვირთვის დაგვიანების შემთხვევაში ეს უკანასკნელი რაოდენობის მიხედვით ითვლება ჩაბარებულად სატ-რანსპორტო დოკუმენტების თანახმად.

ვაგონებით შემოსული პროდუქციის მიღების დღედ და საათად ითვლება ის მომენტი, როდესაც ხელმოწერილ იქნა მიღება-ჩაბარების აქტი ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით.

საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიერ ბოსტნეუ-ლით, კარტოფილით, ხილით, ყურძნითა და ბაღჩეული კულტურებით დატვირთული და მაღაზიების, სასადილოების, რესტორნების, ბაზე-ბისა და საწყობების სახელზე გაგზავნილი ავტომანქანების გადმო-ტვირთვა და საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობებისათვის დაბრუნებული ტარის დატვირთვა წარმოებს ტვირთმიმღების ძალე-ბითა და საშუალებებით.

მყიდველები მოვალენი არიან აწარმოონ ტრანსპორტის გადმოტვირთვა ერთიანი ტარიფებით დაწესებულ ვადებში, აგრეთვე [illegible] კეთონ აღნიშვნები საგზურებსა და სხვა დოკუმენტებში, ტრანსპორტის მოსვლა-წასვლის დროის შესახებ და იკისრონ პასუხისმგებლობა ამ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის დადგენილი წესით.

უკეთუ მყიდველმა უსაფუძვლოდ განაცხადა უარი გრაფიკის მიხედვით ან შეთანხმებული განაცხადით მიტანილი პროდუქციის მიღებაზე, რაც დადასტურებულ უნდა იქნას მიმღების აღნიშვნით სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებზე, — პროდუქცია შეიტანება მყიდველის საწყობში, ბაზაში.

იმ შემთხვევაში, თუ მიმღებმა არ გააკეთა სატრანსპორტო დოკუმენტებში აღნიშვნა პროდუქციის მიღებაზე თავისი უარის შესახებ, რაზედაც დოკუმენტებში გაკეთდება აღნიშვნა, უარის ფაქტი დამოწმდება ტვირთის მიმტანი შოფერის ხელმოწერით, რომელიც წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ გადახდეს მყიდველს საჯარიმო სანქციები და ანაზღაურდეს მიყენებული ზარალი.

## VI. ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების მიღება რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით

18. მოტანილი პროდუქციის მიღება და ჩაბარება ხარისხისა და რაოდენობის მიხედვით წარმოებს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, ხოლო პროდუქციის იმ ნაწილისა, რომელიც მიტანილია გადასამუშავებლად და ხანგრძლივ შესანახად — სავაჭრო ორგანიზაციების საწყობებში, კომბინატებსა და ბაზებში.

არასტანდარტული, დაუხარისხებელი ან ტარაში ჩაუწყობელი პროდუქცია არ მიიღება და დაუბრუნდება საბჭოთა მეურნეობას, რაზედაც გაკეთდება სათანადო აღნიშვნა სასაქონლო-სატრანსპორტო ზედნადებში.

იმ შემთხვევაში, თუ მიმღები არ ეთანხმება მოტანილი პროდუქციის ხარისხს, რაც აღნიშნულია საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის თანმხლებ დოკუმენტებში, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოები მოვალენი არიან მიიღონ პროდუქცია პასუხსაგებ შესანახად და იმავდროულად გამოიწვიონ საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის წარმომადგენელი.

იმ შემთხვევაში, თუ არ გამოცხადდა საბჭოთა მეურნეობის, კოლმეურნეობის წარმომადგენელი ადრეულ ხილბოსტნეულისა და კენკ-

რის ხარისხის შესამოწმებლად 8 საათის განმავლობაში და საგვიანო ხილბოსტნეულისა და კარტოფილის ხარისხის შესამოწმებლად 24 საათის განმავლობაში, — პროდუქციის ხარისხს გამოარკვევს საქონლის ექსპერტიზების ბიუროს წარმომადგენელი, რომელიც შეადგენს სათანადო აქტს, რაც უდავო დოკუმენტია ანგარიშსწორებისათვის.

ექსპერტის გამოწვევის ხარჯებს გადაიხდის დამნაშავე მხარე.

ამ შემთხვევებში პროდუქციის დახარისხება წარმოებს მაღაზიის, სასადილოს, რესტორნის, საწყობისა და ბაზის ძალებით, ამასთან ფაქტიურ ხარჯებს გადაიხდის მიმწოდებელი საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა.

კარტოფილის, ბოსტნეულის და მწვანილის შეკვეთისა და საბჭოთა მეურნეობების და კოლმეურნეობების მიერ მათი ვაჭრობის ან საზოგადოებრივი კვების ერთ საწარმოში მიტანის მინიმალური ნორმები წესდება შემდეგი:

ა) ადრეული კარტოფილი — ავტომანქანა 3 წერტში;

საგვიანო კარტოფილი და თავიანი ხახვი—ავტომანქანა 1 წერტში;

ბ) თეთრთავიანი ახალი ადრეული კომბოსტო — ავტომანქანა — 3 წერტში;

იგივე საგვიანო—ავტომანქანა 1 წერტში

გ) კიტრი, პამიდორი, ბადრიჯანი ასორტიმენტულად — 3 წერტში;

დ) დანარჩენი ბოსტნეული და ყოველგვარი მწვანილი ასორტიმენტულად (მწვანე ხახვი, სალათა, მჟაუნა, ისპანახი, კამა, „სვეკოლნიკი“ და სხვა არა ნაკლებ 4 სახელწოდებისა—ავტომანქანა 5 წერტში.

**შენიშვნა:** საფუძვლად მიიღება მანქანა გაზ-51

## VII. ფასები და ანგარიშსწორების წესი

19. მიწოდებული ბოსტნეული, კარტოფილი, ხილი, ყურძენი და ბაღჩეული კულტურები ანაზღაურდება ქ. თბილისისა და რუსთავის საცალო ფასებში დაწესებული სავაჭრო ფასჩამოკლების გამოქვითვით.

იმ შემთხვევაში, თუ საბჭოთა მეურნეობამ და კოლმეურნეობამ მიიტანეს პროდუქცია მაღაზიებში ან საზოგადოებრივი კვების საწარმოებში მისი გადაფასების წინადღით 14 საათის შემდეგ, ანგარიშსწორება პროდუქციისათვის საბჭოთა მეურნეობასთან, კოლმეურნეობასთან იწარმოებს შემდეგი დღის საცალო ფასებში.

საწყობებსა და ბაზებში გადაფასების წინადღით შემოსულ[illegible] ლი პროდუქცია ანაზღაურდება შემდეგი დღის საცალო ფა[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროდუქციის გადმოტვირთვის, დატვირთვისა და დროებითი შენახვისათვის საბითუმო ორგანიზაციათა ხარჯების დასაფარავად საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები აძლევენ მიმღებთ, სავაჭრო ფასჩამოკლების გარდა, დამატებით ფასჩამოკლებას საბითუმო ვაჭრობისათვის 2 პროცენტის ოდენობით 1 აგვისტომდე და 4 პროცენტის ოდენობით 1 აგვისტოდან 10 ნოემბრამდე მიმდინარე რეალიზაციის პროდუქციის საცალო ფასიდან. იმ კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების მიწოდების დროს, რომლებიც გამოყოფილია ხანგრძლივი შენახვისა და გადამუშავებისათვის, საბჭოთა მეურნეობები დამატებით დაუკლებენ მყიდველს ფასს საცალო ფასის 14 პროცენტის ოდენობით.

20. დასაბრუნებელი ინვენტარული ტარისათვის მყიდველი გადაუხდის მიმწოდებელს საწინდარს დაწესებული ოდენობით.

ტარის საწინდრის თანხა გამოიწერება გაცემული პროდუქციის თვითეულ ანგარიშში ცალკე სტრიქონად.

მყიდველის მიერ ინვენტარული ტარის დაბრუნების დროს საწინდრის თანხას დააბრუნებს მიმწოდებელი წარდგენილი ანგარიშების თანახმად.

საწინდრის ღირებულების გარდა, მყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს ტარის ამორტიზაციის ხარჯებს ტარით მიწოდებულ ყოველ ტონა პროდუქციაში ექვსი მანეთის ოდენობით.

21. ანგარიშსწორება ყველა შემთხვევაში წარმოებს საგადამხდელო მოთხოვნების აქცეპტის წესით უშუალოდ მიმწოდებელსა და მომხმარებელს შორის.

მიმწოდებელი საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა მოვალეა მეორე დღეს მაგრამ არა უგვიანეს სამი სამუშაო დღისა პროდუქციის გაგზავნის (ჩაბარების) შემდეგ, გაუგზავნოს მყიდველებს-გადამხდელებს ანგარიშები ფაქტურების (ზედნადების) და სატრანსპორტო ქვითრების თანდართვით.

22. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშის განაღდების ვადა 15 დღეზე მეტს გადასცილდა, მიმწოდებელს უფლება აქვს გადაიყვანოს სხვაქალაქელი არაწესიერი გადამხდელი ანგარიშსწორების სააკრედიტივო ფორმაზე დავალიანების დაფარვამდე, იმავქალაქელი გადამხდელი — იმავე ვადით — პროდუქციის წინასწარ ანაზღაურებაზე საგადამხდელო დავალებებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## VIII. ქონებრივი პასუხისმგებლობა

23. ხელშეკრულებით ნაკისრებ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის ან არასათანადოდ შესრულებისათვის მიმწოდებელი საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა გადაუხდის მყიდველს:

ა) ნაკლმიწოდებისათვის ან ხელშეკრულებაში აღნიშნული კერძო ვადებთან შედარებით მიწოდების ვადის გადაცილებისათვის — საუპიროს ნაკლმიწოდებული ან მიწოდების ვადაგასული ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების ღირებულების 25 პროცენტის ოდენობით;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ასორტიმენტის (დასახელება, ხარისხიანობა, დაფასოება) დარღვევისათვის — ჯარიმას ასორტიმენტის მხრივ ნაკლმიწოდებული პროდუქციის ღირებულების 3 პროცენტის ოდენობით.

24. ხელშეკრულებით ნაკისრებ ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის ან არასათანადოდ შესრულებისათვის მყიდველი — მაღაზია, სასადილო, რესტორანი, კომბინატი, ბაზა გადაუხდის მიმწოდებელ საბჭოთა მეურნეობასა და კოლმეურნეობას:

ა) პროდუქციის მიღებაზე უსაფუძვლოდ უარის თქმისათვის — საუპიროს იმ პროდუქციის ღირებულების 25 პროცენტის ოდენობით, რომლის მიღებაზედაც მყიდველმა უარი განაცხადა;

ბ) მიმწოდებელი საბჭოთა მეურნეობისათვის, კოლმეურნეობისათვის განაცხადის ან განრიგის არა თავის დროზე გაგზავნისათვის იმ ვადებში, რომლებიც გათვალისწინებულია ბოსტნეულის, კარტოფილის, ხილის, ყურძნისა და ბაღჩეული კულტურების მიწოდების შესახებ დადებული ხელშეკრულებებით, — ჯარიმას 100 მანეთის ოდენობით;

გ) მიმწოდებლის ანგარიშის აქცეპტზე უსაფუძვლოდ სრული ან ნაწილობრივი უარის თქმისათვის ჯარიმას იმ თანხის 3 პროცენტის ოდენობით და საურავს 0,01 პროცენტის ოდენობით გადასახდელის ვადის გადაცილების ყოველ დღეში, რომლის აქცეპტზე მყიდველმა დაუსაბუთებლად განაცხადა უარი;

დ) პროდუქციის გადმოტვირთვისა და დაბრუნებული ტარის დატვირთვის დროს საავტომობილო ტრანსპორტის გაცდენისათვის დაწესებულ ნორმებზე ზევით, — ჯარიმას ერთიანი ტარიფებით დაწესებული ოდენობით;

ე) ტარის დაუბრუნებლობის დროს დაწესებულ ვადებში — ჯარიმას ტარის ერთი ერთეულისათვის;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლითონის ტარისა და კონტეინერისათვის — ხუთ-ხუთ მანეთს დღეში;

ხის ყუთებისა და ტომრებისათვის — თითო მანეთს დღეში;

თუ მყიდველმა განაცხადა, რომ მას ტარა დაეკარგა, ჯარიმის შემდგომი დარიცხვა შესწყდება და მყიდველს გადახდება დაუბრუნებელი ტარის ორმაგი ღირებულება: ეს ტარა ჩამოეწერება მყიდველს და მას დაუბრუნდება ამ ტარის საწინდრის ღირებულება.

25. ამ ძირითადი წესებით გათვალისწინებული სანქციების გამოანგარიშება წარმოებს საცალო ფასების საფუძველზე სავაჭრო ფასჩამოკლების დაქვითვით.

26. ამ ძირითადი წესებით დადგენილ ვადებთან შედარებით ხელშეკრულების დადების ვადის გადაცილებისათვის დამნაშავე მხარე გადაუხდის მეორე მხარეს ჯარიმას დღეში 300 მანეთის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს 3000 მანეთისა.

აღნიშნული ჯარიმა შეფარდებული იქნება იმ შემთხვევებში, როდესაც ამა თუ იმ მხარეს დაწესებულ ვადაში არ მიუღია რაიმე ზომები, რაც საჭიროა ხელშეკრულების დასადებად (ხელშეკრულების პროექტის; სპეციფიკაციის გაუგზავნელობა, ხელმოწერილი ხელშეკრულების სპეციფიკაციის და სხვა დანართების დაუბრუნებლობა, რომლებიც შეადგენენ ხელშეკრულების განუყრელ ნაწილს).

27. საურავის, საუპიროსა და ჯარიმის გადახდევინების მიუხედავად, თვითეულ მხარეს უფლება აქვს მოთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზარალის ანაზღაურება იმ ნაწილში, რაც არ არის დაფარული საურავის, საუპიროსა და ჯარიმის გადახდევინებით.

საურავის, საუპიროსა და ჯარიმის გადახდა და ზარალის ანაზღაურება არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების შესრულებისაგან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

## 85 საქართველოს სს რესპუბლიკაში სამონადირეო მეურნეობის წარმოების გაუმჯობესების შემდგომი ზომების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ მთელ რიგ ღონისძიებათა განხორციელების, ბრაკონიერობისა და მავნე მტაცებელთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შედეგად, რესპუბლიკის სამონადირეო მეურნეობა რამდენადმე გაუმჯობესდა.

მაგრამ სასარგებლო სანადირო ფაუნის მარაგი ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. უკანასკნელ დროს ბრაკონიერობა თუმცა შემცირდა, მაგრამ ცალკეულ რაიონებში იგი მეტად გავრცელებულია, საკმარისი არ არის რესპუბლიკის სატყეო დაცვის, მონადირეთა საზოგადოებრიობის და ადგილობრივი ორგანოების მონაწილეობა სანადირო ფაუნის გადიდებისა და ბრაკონიერობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

აღკვეთილთა დაცვა და მათში ბიოტექნიკური ღონისძიებების ორგანიზაცია არადამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

რესპუბლიკის სანადირო სავარგულების ნაწილი, რომლებიც ბუნებრივი პირობების მიხედვით გამოსადეგია სანადირო მეურნეობათა მოსაწყობად, — ჯერ კიდევ არ არის მიწერილი შესაბამის ორგანიზაციებზე, რაც იწვევს გაუპიროვნებას ამ სავარგულების ექსპლოატაციაში.

მონკავშირის მონადირეთა რაიონული საზოგადოებების უმეტესობას დღემდეც არ ჩაუტარებია საჭირო სანადირო სამეურნეო ღონისძიებანი მათზე მიწერილ სანადირო სავარგულებში და მიწერა არსებითად ფორმალურ ხასიათს ატარებს, რის შედეგადაც ამ სავარგულებში ჩაშლილია სასარგებლო სანადირო ფაუნის დაცვისა და კვლავწარმოების ღონისძიებათა შესრულება.

რესპუბლიკის სამონადირეო მეურნეობაში სახელმწიფოებრივი წესრიგის დამყარების, მონადირეთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 11 მაისის № 478 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურენობის მთავარ სამმართველოს:

ა) გააძლიეროს ფაუნის დაცვა აღკვეთილებსა და სატყეო სანადირო სავარგულებში ეგერთა სამსახურის და უმცროს ტყის მცველთა ძალებით, ამასთან დააკისროს ამ უკანასკნელებს პასუხისმგებლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა მათთვის მიჩენილ ნაკვეთებზე ბრაკონიერობის ყველა შემთხვევის გამოვლინებისათვის;

ბ) გაითვალისწინოს სატყეო მეურნეობების საწარმოო გეგმებით ბუდობრივი და დაცვითი პირობების გაუმჯობესება სასარგებლო ვარეული ნადირისა და ფრინველისათვის, ჯაგნარებისა და შალდამეპის აღდგენა ჭალის ტყეებში, რომლებიც წარმოადგენენ ფაუნის ძვირფას სახეობათა ბინადრობისა და გამრავლების ადგილს;

გ) ჩაატაროს 1960—1965 წლების პერიოდში რესპუბლიკის სანადირო სავარგულების სანადირო-ეკონომიური გამოკვლევა და მოწყობა საოპერაციო სახსრების ხარჯზე;

დ) 1960 წლის დამლევამდე მიამაგროს თავისუფალი სანადირო სავარგულები მონადირეთა საზოგადოებებს, სამომხმარებლო კოოპერაციას, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა დაწესებულებებს.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს საჭირო შემთხვევებში შეიტანოს ცალკეული სატყეო მეურნეობების შტატში მონადირეობის მცოდნეთა თანამდებობანი.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს, საქართველოს მონადირეთა კავშირს, იმ ორგანიზაციებსა და უწყებებს, რომლებზედაც მიწერილია სანადირო მეურნეობანი, მას შემდეგ, რაც დამტკიცებული იქნება სამონადირეო მეურნეობათა ეგერებისათვის ფორმის ტანსაცმლის აღწერილობა, მისი გაცემის ნორმები და ტარების ვადები, უზრუნველყონ კუთვნილებისამებრ სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობების აღკვეთილებისა და მიწერილი სამონადირეო მეურნეობების ეგერები ფორმის ტანსაცმლით, რომლის ღირებულება გადახდილ იქნას ნაწილ-ნაწილ ტარების ვადის განმავლობაში.

გამოუყონ სამსახურებრივი მიწის ნაკვეთები სამონადირეო მეურნეობათა ეგერებს იმ წესითა და იმ ნორმების მიხედვით, რაც დადგენილია სატყეო მეურნეობების უმცროსი და უფროსი ტყის მცველებისათვის.

4. დაევალოს საქართველოს მონადირეთა კავშირის გამგეობას 1960 წლის დამლევამდე დასახოს და განახორციელოს კონკრეტული ღონისძიებანი, რათა მონადირეთა რაიონულმა საზოგადოებებმა შეასრულონ იმ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებანი, რომ-

ლებიც დადებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოსთან მიწერილი სამონადირეო მეურნეობების შესახებ.

5. გამოცხადდეს სახელმწიფო სამონადირეო აღკვეთილად ორკილომეტრიანი ზონა მდინარე ივრის ნაპირებზე საგარეჯოს რაიონის სოფელ დუზაგრამიდან აზერბაიჯანის სსრ საზღვრამდე და გადაეცეს იგი უშუალო გამგებლობაში საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს, რომლებმაც გააძლიეროს აღკვეთილში ეგერთა სამსახური და ტყის დაცვა.

6. დაწესდეს საქართველოს სსრ მთელ ტერიტორიაზე ნადირობისათვის 3 დღე კვირაში — ხუთშაბათი, შაბათი და კვირა, აგრეთვე უქმე დღეები იმ ანგარიშით, რომ დაცულ იქნას სანადიროდ ნებადართულ გარეულ ნადირსა და ფრინველზე ნადირობის არსებული წესები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 17 თებერვლის № 117 დადგენილების თანახმად. ის მოქალაქეები, რომლებიც ინადირებენ კვირის ყველა სხვა დანარჩენ დღეებში, ჩაითვალოს ნადირობის წესებისა და ვადების დამრღვევებად.

7. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის თავმჯდომარეებს, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს მიმდინარე წლის დამლევამდე ჩაატარონ მონადირეთა აქტივის, ტყის დაცვის, სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობების მუშაკთა და თევზდაცვის ინსპექტორების შეკრებები მშრომელთა დეპუტატების სასოფლო საბჭოების თავმჯდომარეების, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, მილიციის, სასამართლოსა და პროკურატურის მუშაკთა მონაწილეობით, რომლებზედაც მოისმინონ მოხსენებანი სამონადირეო მეურნეობის მდგომარეობისა და მისი შემდგომი გაუმჯობესების ზომების შესახებ.

8. უფლება მიენიჭოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სატყეო მეურნეობის, ნაკრძალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს გამოაცხადოს ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც ეს საჭიროა სასარგებლო გარეული ნადირისა და ფრინველის სულადობის შენარჩუნებისა და კვლავწარმოებისათვის,—

მუჯ. 85
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნადირობის აკრძალვა განსაზღვრული ვადით როგორც მთლიანად რაიონში, ისე მის ცალკეულ ნაწილებშიც.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. პირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 12 სექტემბერი, № 702

## 86 მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლმმართველობების გამსხვილებისა და სახლმმართველობათა მუშაკების შრომის ანაზღაურების შესახებ

სახელმწიფო საბინაო ფონდის მოვლა-პატრონობის, მისი ექსპლუატაციის მოწესრიგების, კადრების დამაგრებისა და საბინაო მეურნეობის მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 5 თებერვლის № 5 საოქმო გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს წინადადება, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან, საქათრველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლმმართველობათა გამსხვილების შესახებ, წარმოდგენილი გაანგარიშების თანახმად.

დაევალოს ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს შესაბამისად გადაანაწილოს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლმმართველობებს შორის პერსონალის რაოდენობა და ხელფასის ფონდი 1959 წლისათვის.

დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს განახორციელონ 1959 წლის 1 ოქტომბრიდან სახლმმართველობათა

საპარლამენტო ბიბლიოთეკა

გამსხვილება, ამასთან იქონიონ მხედველობაში მათი პასუხისმგებლობის გაძლიერება საცხოვრებელი სახლების მოვლა-პატრონობის, რემონტისა და შენახვისათვის, აგრეთვე მეურნეობის უფრო ეკონომიურად გაძღოლისათვის.

2. დამტკიცდეს საშტატო ნორმატივები საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლმმართველობებისა და საერთო საცხოვრებლებისათვის, № 1 დანართის თანახმად.

3. დაწესდეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლმმართველობების და საერთო საცხოვრებლების ადმინისტრაციულ-სამმართველო მუშაკთა და მომსახურე პერსონალის თანამდებობრივი განაკვეთები, №№ 2 და 3 დანართების თანახმად.

4. შემოღებულ იქნას დებულება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლმმართველობების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოების შესახებ საცხოვრებელი ფონდის რემონტის გეგმის შესრულებისა, საცხოვრებელი სახლების ტექნიკურად წესიერ მდგომარეობაში შენახვისა და სხვა მაჩვენებლებისათვის, № 4 დანართის თანახმად.

5. შემოღებულ იქნას სახლმმართველობათა რემონტის მუშებისათვის თვიური სატარიფო განაკვეთები იმ განაკვეთების შესაბამისად, რაც გათვალისწინებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 23 აგვისტოს № 1548 დადგენილებით მეორე ჯგუფის მშენებლობათა მშენებელი მუშებისათვის, აგრეთვე დებულება მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლმმართველობებში გეგმურ-გამაფრთხილებელ რემონტსა და საბინაო ფონდის ექსპლუატაციაზე დასაქმებული მუშების შრომის დროებრივ-პრემიული ანაზღაურების შესახებ რემონტის დროულად და ხარისხიანად წარმოებისათვის, სახლის მოწყობილობის, შენობათა კონსტრუქციების წესიერი მდგომარეობისა და საცხოვრებელი სახლების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების ზუსტად დაცვისათვის, № 5 დანართის თანახმად.

6. ახალი საშტატო ნორმატივები და შრომის ანაზღაურების პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია ამ დადგენილების მე-2, 3, 4 და 5 მუხლებით, შემოღებულ იქნას სამოქმედოდ 1959 წლის 1 ოქტომბრიდან.

7. მიღებულ იქნას წარმოდგენილი გაანგარიშება, რომელიც ადასტურებს, რომ სახლმმართველობების მუშაკთა შრომის ანაზღაურების ახალი პირობები განხორციელებული იქნება ხელფასის იმ ფონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დის ფარგლებში, რომელიც სახლმმართველობებს დაუწესდათ 1959 წლისათვის.

8. იმასთან დაკავშირებით, რომ სახლმმართველობათა შტატებით გათვალისწინებულია ინჟინრებისა და ზედამხედველი ტექნიკოსების თანამდებობანი, დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს გადასინჯოს შტატები იმ მხრივ, რომ შემცირდეს ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფები, რომლებიც ამჟამად მოქმედებენ ქ. თბილისის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებთან.

9. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას ერთი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ დადგენილებათა სია, რომლებიც ძალადაკარგულად ითვლება ამ დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 14 სექტემბერი, № 703

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 12 სექტემბრის № 703
დადგენილების დანართი № 1

## საშტატო ნორმატივები

### საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლმმართველობების და საერთო საცხოვრებლების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალისა

| თანამდებობათა დასახელება | ნორმატივები |
|---|---|
| **სახლმმართველობები** | |
| სახლმმართველი | 1 — სახლმმართველობაზე, რომლის საცხოვრებელი ფართობი 1500 კვ. მეტრს აღემატება |
| ინჟინერი | 1 — სახლმმართველობაზე, რომლის საცხოვრებელი ფართობი 15000 კვ. მეტრს აღემატება |
| ტექნიკოს-ზედამხედველი | 1 — სახლმმართველობაზე, რომლის საცხოვრებელი ფართობი 7500 კვ. მეტრს აღემატება |
| | 2 — სახლმმართველობაზე, რომლის საცხოვრებელი ფართობი 25000 კვ. მეტრს აღემატება |
| | 3 — სახლმმართველობაზე, რომლის საცხოვრებელი ფართობი 45000 კვ. მეტრს აღემატება |
| | 4 — სახლმმართველობაზე, რომლის საცხოვრებელი ფართობი 65000 კვ. მეტრს აღემატება |
| უფროსი ბუღალტერი | 1 — სახლმმართველობაზე, რომლის საცხოვრებელი ფართობი 35000 კვ. მეტრს აღემატება |
| ბუღალტერი | 0,5 — სახლმმართველობაზე, რომლის საცხოვრებელი ფართობი არის 1500-ზე მეტი 5000 კვ. მეტრამდე.<br>1 — სახლმმართველობაზე, რომლის საცხოვრებელი ფართობი 5000 კვ. მეტრზე მეტია 35000 კვ. მეტრამდე, აგრეთვე სახლმმართველობაზე, რომლის საცხოვრებელი ფართობი 50000 კვ. მეტრზე მეტია. |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| თანამდებობათა დასახელება | ნორმატივები |
|---|---|
| მოანგარიშე | 1 — ბინის დამქირავებელთა ყოველ 800 პირად ანგარიშზე |
| საქმისმწარმოებელი-პასპორტისტი | 1 — სახლმმართველობაზე, რომლის საცხოვრებელი ფართობი 13000 კვ. მეტრზე მეტია<br>2 — სახლმმართველობაზე, რომლის საცხოვრებელი ფართობი 30000 კვ. მეტრზე მეტია<br>3 — სახლმმართველობაზე, რომლის საცხოვრებელი ფართობი 55000 კვ. მეტრზე მეტია |
| აგენტი-მეკუჭნავე | 1 — სახლმმართველობაზე, რომლის საცხოვრებელი ფართობი 24000 კვ. მეტრზე მეტია |
| საერთო საცხოვრებლები | |
| კომენდანტი (საერთო საცხოვრებლის გამგე) | 1 — საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებ ყოველ 300—400 კაცზე |
| შესანახი კამერის გამგე | 1 — საერთო საცხოვრებლებში მცხოვრებ ყოველ 250—300 კაცზე |

შენიშვნა: 1. იმ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში, სადაც საცხოვრებელი ფონდი 1500 კვადრატულ მეტრზე ნაკლებია, სახლმმართველობები არ მოეწყობა. ამ საცხოვრებელი ფონდის მართვას განახორციელებენ კომუნალური მეურნეობის განყოფილებები (კანტორები, კომბინატები).

2. სახლმმართველობებისა და საერთო საცხოვრებლების შტატებს დაამტკიცებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის დაწესებული რაოდენობის ფარგლებში, ამ საშტატო ნორმატივების შესაბამისად.

3. სახლმმართველობების საწარმოო და უმცროსი მომსახურე პერსონალის რაოდენობა დაწესდება შრომის გეგმების ფარგლებში.

4. სახლმმართველობების საშტატო ნორმატივების დაწესების დროს საცხოვრებელი ფართობის ოდენობა გამოიანგარიშება № 2 დანართის № 1 შენიშვნის შესაბამისად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 12 სექტემბრის № 703
დადგენილების დანართი № 2

# თანამდებობრივი განაკვეთები

## მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლმმართველობებისა და საერთო საცხოვრებლების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის მუშაკებისა

| | თანამდებობრივი განაკვეთები სახლმმართველობათა კატეგორიებით სამომსახურეო საცხოვრებელი ფართობის ოდენობის მიხედვით | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | I | II | III | IV | V | VI |
| | 50-ზევით | 35-ზევით 50-მდე | 20-ზევით 35-მდე | 10-ზევით 20-მდე | 5-ზევით 10-მდე | 1,5-ზევით 5-მდე |
| **ა. თბილისი, ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქები, საოლქო ცენტრი, ქალაქები, რომელთა მოსახლეობა 50 ათას კაცს აღემატება** | | | | | | |
| სახლმმართველი | 1000—1200 | 900—1000 | 800—900 | 700—800 | 550—700 | 500—550 |
| ინჟინერი | 1000—1100 | 800—900 | 700—850 | 700—800 | — | — |
| ტექნიკოსი | 650—700 | 650—700 | 650—700 | 600—650 | 600—650 | — |
| უფროსი ბუღალტერი | 650—700 | 650—700 | — | — | — | — |
| ბუღალტერი | 600 | — | 550—600 | 550—600 | 550—600 | 500—550 |
| მოანგარიშე | 400—450 | 400—450 | 400—450 | 400—450 | — | — |
| საქმისმწარმოებელი-პასპორტისტი | 350 | 350 | 350 | 350 | — | — |
| აგენტი-მეკუპნავე | 400 | 400 | 400 | — | — | — |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | თანამდებობრივი განაკვეთები სახლმმართველობათა კატეგორიებით სამომსახურეო საცხოვრებელი ფართობის ოდენობის მიხედვით | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | I | II | III | IV | V | VI |
| | 50-ზევით | 35-ზევით 50-მდე | 20-ზევით 35-მდე | 10-ზევით 20-მდე | 5-ზევით 10-მდე | 1,5-ზევით 5-მდე |
| **ბ. დანარჩენი ქალაქები და დასახლებული პუნქტები** | | | | | | |
| სახლმმართველი | — | 700—800 | 650—700 | 600—650 | 500—600 | 450—500 |
| ინჟინერი | — | 650—700 | 650—700 | 600—650 | — | — |
| ტექნიკოსი | — | 500—600 | 500—600 | 500—600 | 500—600 | — |
| უფროსი ბუღალტერი | — | 500—600 | — | — | — | — |
| ბუღალტერი | — | — | 500—550 | 450—500 | 450—500 | 400—450 |
| მოანგარიშე | — | 350—400 | 350—400 | 350—400 | — | — |
| საქმისმწარმოებელი-პასპორტისტი | — | 350 | 350 | 350 | — | — |
| აგენტი-მეკუჭნავე | — | 400 | 400 | — | — | — |

**გ. ყველა ქალაქისა და დასახლებული პუნქტისათვის, საერთო საცხოვრებლის ფართობის ოდენობის დამოუკიდებლად**

საერთო საცხოვრებლის კომენდანტი (გამგე) . . . . . 450—500

შესანახი კამერის გამგე . . . . . . . . . . 350—400

ეროვნული ბიბლიოთეკა

შენიშვნა: 1. სახლმმართველობების საცხოვრებელი ფართობის ოდენობის გამოკვევის დროს მხედველობაში მიიღება იმ საცხოვრებელი ოთახების ფართობი, რომლებიც ბინის დამქირავებლებს უკავიათ ბინის დაქირავების ხელშეკრულებით, აგრეთვე იმ არასაცხოვრებელი სადგომების ფართობი, რომლებიც აღებული აქვთ იჯარით დაწესებულებებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს. ამასთან, იჯარით გაცემული სადგომების ფართობის სამი კვადრატული მეტრი უთანაბრდება საცხოვრებელი ოთახების ერთ კვადრატულ მეტრს.

2. სახლმმართველობებს მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთების მხრივ შესაბამის კატეგორიებს მიაკუთვნებენ, აგრეთვე სახლმმართველობის სამომსახურეო საცხოვრებელი ფართობის მოცულობის შეცვლასთან დაკავშირებით მათ მუშაკებს თანამდებობრივი განაკვეთების მიხედვით სხვა კატეგორიაში გადაიყვანენ საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომი.

თანამდებობრივ განაკვეთებს დააწესებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ხელფასის იმ ფონდის ფარგლებში, რომელიც გამოანგარიშებული იქნება საშუალო განაკვეთებიდან სქემის მიხედვით.

3. სახლმმართველობებში 70 ათას კვ. მეტრზე მეტი საცხოვრებელი ფართობის მოცულობით, რომელთა შტატები ინდივიდუალური წესით მტკიცდება, სახლმმართველის და უფროსი ბუღალტრის თანამდებობრივი განაკვეთები დაწესდება პირველი კატეგორიის სახლმმართველობების შესაბამის მუშაკთა განაკვეთების 10 პროცენტით მეტი, ხოლო მთავარი ინჟინრის თანამდებობრივი განაკვეთი — 1000 — 1200 მანეთის ოდენობით.

თანამდებობრივი განაკვეთი ინჟინერს, უკეთუ სახლმმართველობის შტატში არის მთავარი ინჟინრის თანამდებობა, დაუწესდება 750—850 მანეთის ოდენობით თვეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

მუხ./88

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 12 სექტემბრის № 303
დადგენილების დანა[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თანამდებობრივი განაკვეთები

## მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლმმართველობების და საერთო საცხოვრებლების მომსახურე პერსონალისა

| | თვიური თანამდებობრივი განაკვეთები მანეთობით | |
|---|---|---|
| | თბილისი, ავტონომიური რესპუბლიკების დედაქალაქები, საოლქო ცენტრი, ქალაქები, რომელთა მოსახლეობა 50 ათას კაცს აღემატება | დანარჩენი ქალაქები და დასახლებული პუნქტები |
| უფროსი მეეზოვე | 450 | 400 |
| I კატეგორიის ქუჩების მეეზოვე | 400 | 350 |
| II კატეგორიის ქუჩების მეეზოვე | 360 | 310 |
| დამლაგებელი | 310 | 310 |
| მელიფტე | 300 | 300 |
| უფროსი ცეცხლფარეშები და ოპერატორები გაზიფიცირებულ საქვაბეებში | 500 | 450 |
| ცეცხლფარეში | 400 | 350 |
| უფროსი მეცეცხლური | 375 | 350 |
| მეცეცხლური | 360 | 3.5 |

შენიშვნა: 1. ცეცხლფარეშის თანამდებობა დაწესდება საქვაბეებში, რომელთაც იძულებითი ცირკულაცია აქვთ, ხოლო მეცეცხლურის თანამდებობა— ისეთ საქვაბეებში, რომელთაც ბუნებრივი ცირკულაცია აქვთ.

2. ამ სქემით გათვალისწინებული თანამდებობრივი განაკვეთების შემოღების შემდეგ უქმდება ცალკეული ქალაქების მეეზოვეებისათვის დაწესებული ჯილდო წელთა ნამსახურობისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

პარლამენტის ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 12 სექტემბრის № 703
დადგენილების დანართი № 4

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლმმართველობების ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაჯილდოების შესახებ

ეს დებულება შემოღებულია იმ მიზნით, რომ გაძლიერდეს ხელმძღვანელ, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა მატერიალური დაინტერესება ადგილობრივი საბჭოების სახელმწიფო საცხოვრებელი ფონდის შენახვით და სახლებში მცხოვრებთა მომსახურების გაუმჯობესებით.

1. ჯილდო მიეცემათ მუშაობის შემდეგი მაჩვენებლებისათვის:

ა) საცხოვრებელი სახლების შენახვა ტექნიკურად წესიერ მდგომარეობაში;

ბ) საცხოვრებელი ფონდის რემონტის გეგმის შესრულება;

გ) ელექტროგანათების, ცენტრალური და საღუმელე გათბობის, წყალსადენ-საკანალიზაციო მოწყობილობათა, გაზმოწყობილობის, ვენტილაციის, ლიფტების, ცხელი წყალმომარაგების სისტემების წესიერი მდგომარეობა;

დ) სანიტარულ-ტექნიკური და ხანძარსაწინააღმდეგო წესების დაცვა;

ე) საექსპლუატაციო ხარჯების შემცირება, ბინისა და საიჯარო ქირის ვადაგასული დავალიანების უქონლობა.

2. დაჯილდოება წარმოებს კვარტალის განმავლობაში მუშაობის შედეგების მიხედვით.

3. დაჯილდოებული იქნებიან:

ა) სახლმმართველები;

ბ) ინჟინრები;

გ) ზედამხედველი ტექნიკოსები;

დ) უფროსი ბუღალტრები;

ე) ბუღალტრები.

4. პრემიები გაიცემა შემდეგი ოდენობით:

სახლმმართველებს, ინჟინრებსა და ზედამხედველ ტექნიკოსებს თვიური განაკვეთის 50 პროცენტამდე.

უფროს ბუღალტრებსა და ბუღალტრებს თვიური განაკვეთის 25 პროცენტამდე.

5. პრემიებს დაუმტკიცებენ:

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახლმმართველებსა და ინჟინრებს — მშრომელთა დეპუტატების საქალაქო ან რაიონული საბჭოების აღმასკომები.

დანარჩენ მუშაკებს — სახლმმართველები.

პრემიების დარიცხვა წარმოებს საცხოვრებელი ფონდის მდგომარეობის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების მიერ სპეციალურად გამოყოფილი იმ კომისიების აქტების საფუძველზე, რომლებშიაც შეყვანილ უნდა იქნან საცხოვრებელი სახლების ექსპლუატაციის ხელშემწყობი საზოგადოებრივი კომისიის წარმომადგენლები.

6. ამ დებულების თანახმად პრემიები გაიცემა სახლმმართველობის მუშაკთა ხელფასის ფონდის ეკონომიის ხარჯზე.

ამ დებულების გამოცემის შემდეგ უქმდება ყველა წინათ მოქმედი დებულებანი სახლმმართველობების მუშაკთა დაჯილდოების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 12 სექტემბრის № 703
დადგენილების დანართი № 5

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლმმართველობებში საცხოვრებელი ფონდის გეგმურ-გამაფრთხილებელ რემონტსა და ექსპლუატაციაზე დასაქმებულ მუშათა შრომის დროებრივ-პრემიული ანაზღაურების შესახებ

1. შრომის ანაზღაურების დროებრივ-პრემიული სისტემა შემოღებულია იმ მიზნით, რომ წახალისებულ იქნან მუშები რემონტის დროულად და ხარისხიანად წარმოებისათვის, სახლის მოწყობილობის, შენობათა კონსტრუქციების წესიერად შენახვისა და საცხოვრებელი სახლების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების ზუსტად დაცვისათვის.

2. ამ დებულების შემოღება ითვალისწინებს სამუშაოთა განსაზღვრული მოცულობის მიმაგრებას მიმდინარე და გეგმურ-გამაფრთხილებელ რემონტზე დასაქმებული თვითეული მუშისათვის მისი სპეციალობის მიხედვით (ბინების რაოდენობა, სახურავების ფართობი, სანიტარული მოწყობილობა და ა. შ.).

3. მუშათა შრომის ასანაზღაურებლად მათი კვალიფიკაციის მიხედვით წესდება სატარიფო თანრიგი ერთიანი სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარის საფუძველზე, რომელიც დამტკიცებულია მშენებელი მუშებისათვის.

4. მუშათა თვიური სატარიფო განაკვეთების ოდენობა მათი თანრიგების მიხედვით, აგრეთვე დაჯილდოების ძირითადი მაჩვენებლები და პრემიების ოდენობა დაწესებულია შემდეგით:

| მუშათა პროფესიები | მუშათა თანრიგი | თვიური სატარიფო განაკვეთი | თვიური პრემიის ოდენობა სატარიფო განაკვეთის %%-ით | დაჯილდოების მაჩვენებლები |
|---|---|---|---|---|
| 1. ზეინკლები ცენტრალური გათბობის, წყალსადენის, კანალიზაციის და გაზის რემონტისა და მათი ექსპლუატაციის ზედამხედველობის დარგში | VI<br>V<br>IV | 630<br>530<br>450 | 30-მდე<br>30-მდე<br>30-მდე | სახლის მოწყობილობისა და საეზოე ქსელის სწორად შენახვა, წყლის გაჟონების უქონლობა, ბინების თბომომარაგებისა და ცხელი წყალმომარაგების შეუფერხებლობა, სახლებში მცხოვრებთა საჩივრების უქონლობა, და მიმაგრებული ბინების შემოვლის გრაფიკის დაცვა |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| მუშათა პროფესიები | მუშათა თანრიგი | თვიური სატარიფო განაკვეთი | თვიური პრემიის ოდენობა სატარიფო განაკვეთის %%-ით | დაჯილდოების მაჩვენებლები |
|---|---|---|---|---|
| 2. ელექტრომონტიორები გასანათებელი ძალოვანი ქსელის, ტუმბოების მოტორებისა და ლიფტების რემონტის და ზედამხედველობის დარგში | VI<br>V<br>IV | 630<br>530<br>450 | 30-მდე<br>30-მდე<br>30-მდე | ელექტროქსელის მაგისტრალური, ჯგუფური ხაზებისა და ძალოვანი დანადგარების, ასამუშავებელი და საზომი ხელსაწყოების, ჩამიწებისა და ჩანულების წესიერი მდგომარეობა. ისეთი უბნების დროზე აღმოჩენა და გამორთვა, რომლებსაც შეუძლიათ ხანძრის გამოწვევა. ელექტრომოწყობილობის სუფთად შენახვა, მოტორების, ტუმბოების, მიმტუმბების და სალიფტო მეურნეობის წესიერად შენახვა, სახლებში მცხოვრებთა საჩივრების უქონლობა და ბინების შემოვლის ყოველთვიური გრაფიკის დაცვა. |
| 3. მხურავები, სახურავების წყალსადინარი მილების, შენობათა ფასადების ლითონის გადახურვების რემონტის და ექსპლუატაციის დარგში | VI<br>V<br>IV | 610<br>515<br>430 | 30-მდე<br>30-მდე<br>30-მდე | სახურავში წყლის გაუდინრობა. სახურავების დროზე გაწმენდა და შეღებვა. წყალსადინარი მილების, ლითონის გადახურვის, ლავგარდნების, სარტყლების, გვირგვინების, საქვეების წესიერად შენახვა, სისუფთავის დაცვა სხვენებზე. სახურავების დროზე გაწმენდა თოვლისაგან. სახურავებისა და წყალსადინარი მილების დაუზიანებლობა გაწმენდის დროს. სამერცხულების წესიერი მდგომარეობა, სახლებში მცხოვრებთა მხრივ საჩივრების უქონლობა. მასალებისა და ინსტრუმენტისადმი ფრთხილი დამოკიდებულება |
| 4. ხუროები-დურგლები შენობათა ხის კონსტრუქციების რემონტისა და მეთვალყურეობის დარგში | VI<br>V<br>IV | 610<br>515<br>430 | 20-მდე<br>20-მდე<br>20 მდე | შენობათა ყველა ხის ნაწილის და მოწყობილობათა წესიერად შენახვა, კარებისა და ფანჯრების კიბის გალიების დათბუნება. სახლებში მცხოვრებთა მხრივ საჩივრების უქონლობა, |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| მუშათა პროფესიები | მუშათა თანრიგი | თვიური სატარიფო განაკვეთი | თვიური პრემიის ოდენობა სატარიფო განაკვეთის %%-ით | დაჯილდოების მაჩვენებლები |
|---|---|---|---|---|
| 5. მებათქაშეები-მღებავები მემინეები შენობათა რემონტისა და მათი მდგომარეობისადმი მეთვალყურეობის დარგში | VI<br>V<br>IV | 610<br>515<br>430 | 20-მდე<br>20-მდე<br>20-მდე | მასალებისა და ინსტრუმენტისადმი ფრთხილი დამოკიდებულება<br>ლესილის წესიერად შენახვა და ლესილისა და ნაძერწი დეტალების არასაიმედო უბნების დროზე მოშორება, კიბის გალიების დროზე შეღებვა. კიბის გალიების სიოებში და საერთო სარგებლობის ადგილებში ჩამტვრეული მინების უქონლობა, სახლებში მცხოვრებთა მხრივ საჩივრების უქონლობა, მასალებისა და ინსტრუმენტისადმი ფრთხილი დამოკიდებულება. |
| 6. მელუმელეები-კალატოზები სათბობი ღუმელების, ქვაბების, კიბის მარშებისა და კედლების ამოკირვის რემონტისა და მათი მდგომარეობისადმი მეთვალყურეობის დარგში | VI<br>V<br>IV | 610<br>515<br>430 | 30-მდე<br>30-მდე<br>30-მდე | სათბობი ღუმელების, ქვაბების ამოკირვის, საკვამლე მილების, გაზსადენების, ქვის საეზოე ნაგებობების წესიერად შენახვა, სახლებში მცხოვრებთა მხრივ საჩივრების უქონლობა |

5. სახლმმართველს უფლება ეძლევა ჩამოართვას მუშებს ნაწილობრივ ან მთლიანად პრემიები სამუშაოს უხარისხოდ შესრულებისათვის ან სამუშაოთა დასამთავრებლად დაწესებული ვადების დარღვევისათვის, მუშებზე მიმაგრებული მოწყობილობის, შენობათა კონსტრუქციების არაწესიერად შენახვისა და საცხოვრებელი შენობების ტექნიკური ექსპლუატაციის წესების დარღვევისათვის.

პრემიების ჩამორთმევის შესახებ გამოიცემა ბრძანება მიზეზების აღნიშვნით.

6. მუშებს პრემიებს დაუმტკიცებენ სახლმმართველები საცხოვრებელი სახლების ექსპლუატაციის ხელშემწყობ საზოგადოებრივ კომისიასთან შეთანხმებით და მიეცემათ ფაქტიურად ნამუშევარი დროისათვის თვეში ერთხელ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

## 87 მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკთა საშტატო ნორმატივებისა და შრომის ანაზღაურების შესახებ

წარმოებულ სამუშაოთა გეგმის შესრულებისა და მათი ხარისხისათვის მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების პასუხისმგებლობის გაძლიერების, ამ ორგანიზაციების მუშაკთა შტატებისა და შრომის ანაზღაურების მოწესრიგების და ადმინისტრაციულ-სამმართველო და სახაზო პერსონალის რაოდენობის შემცირების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 5 თებერვლის № 5 საოქმო გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სარემონტო-სამშენებლო ტრესტებისა და კანტორების ადმინისტრაციულ-სამმართველო, სახაზო, საწარმოო და სამეურნეო პერსონალის საშტატო ნორმატივები, №№ 1, 2 და 3 დანართების თანახმად.

2. დაწესდეს მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სარემონტო-სამშენებლო ტრესტებისა და კანტორების ადმინისტრაციულ-სამმართველო, სახაზო და საწარმოო პერსონალისათვის, აგრეთვე ტრანსპორტის მუშაკებისათვის თანამდებობრივი განაკვეთები №№ 4, 5 და 6 დანართების თანახმად, და სახაზო ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთების ერთიანი ზოლობრივი კოეფიციენტები, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1957 წლის 17 აპრილის № 428 დადგენილებით.

3. შემოღებულ იქნას მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის დებულება დაჯილდოების შესახებ, დამტკიცებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 6 აპრილის № 1320 დადგენილებით, იმ ცვლილებათა გათვალისწინებით, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 2 ივლისის № 710 დადგენილებიდან.

4. შემოღებულ იქნას სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების მუშებისათვის:

ა) საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 23 აგვის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის № 1548 დადგენილებით მეორე ჯგუფის მშენებლობებ[illegible] გათვალისწინებული სატარიფო ცხრილი და განაკვეთები;

ბ) მშენებლობაში დასაქმებულ მუშათა პროფესიების სატარიფო-საკვალიფიკაციო ცნობარი, რომელიც დამტკიცებულია 1955 წელს სსრ კავშირის სახმშენის მიერ;

გ) მშენებლობათა მეორე ჯგუფისათვის სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოთა ერთიანი ნორმები და შეფასებანი, რომლებიც დამტკიცებულია 1955 წელს სსრ კავშირის სახმშენის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხების სახელმწიფო კომიტეტის და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს მიერ;

დ) განაკვეთების და შეფასებათა ერთიანი ზოლობრივი კოეფიციენტები, რომლებიც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 24 აგვისტოს № 1551 დადგენილების 21-ე მუხლით მშენებლობაში დასაქმებული მუშებისათვის.

5. დაწესდეს, რომ შენობათა კაპიტალური რემონტის სამუშაოებზე ნორმების და შეფასებათა (რუსეთის სფსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს გამოცემა, 1958 წელს) საერთო ნაწილის 23-ე მუხლის შესაცვლელად, ისეთ სადგომებში სამუშაოთა შესრულების დროს, სადაც დადგმულია დიდი მოწყობილობა, ავეჯი და სხვა საგნები, რომლებიც ხელს უშლიან სამუშაოთა ნორმალურ წარმოებას, ორგანიზაციის ხელმძღვანელს, შესაბამისი აქტების საფუძველზე, უფლება ენიჭება გაადიდოს დროის ნორმები და შეფასებანი 15 პროცენტამდე, ნაცვლად ნორმების ზემოაღნიშნულ საერთო ნაწილში გათვალისწინებული 25 პროცენტისა, ხოლო სრულიად გააუქმოს დანამატი სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების შესრულებისათვის საექსპლუატაციოდ გადაცემულ კიბის გალიებში.

6. ამ დადგენილების 1, 2, 3, 4 და 5 მუხლებით გათვალისწინებული ახალი საშტატო ნორმატივები და შრომის ანაზღაურების პირობები შემოღებულ იქნას 1959 წლის 1 ოქტომბრიდან.

7. დაევალოთ საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს შეუფარდონ სარემონტო-სამშენებლო კანტორების შტატები ამ დადგენილებით დამტკიცებულ საშტატო ნორმატივებს და უზრუნველყონ აღნიშნული ვადისათვის ყველა საჭირო ღონისძიების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნული ორგანიზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციების მუშაკების გადაყვანას შრომის ანაზღაურების ახალ პირო-
ბებზე.

8. მიღებულ იქნას წარმოდგენილი გაანგარიშება, რომელიც ადას-
ტურებს, რომ სარემონტო-სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკთა
შრომის ანაზღაურების ახალი პირობები განხორციელებული იქნება
აღნიშნული ორგანიზაციების 1959 წლის ხელფასის ფონდის ფარგ-
ლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 12 სექტემბერი, № 704

საქართველოს სსრ მინისტრთა [illegible]
1959 წლის 12 სექტემბრის [illegible]
დადგენილების დანართი № 1

# საშტატო ნორმატივები

## საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სარემონტო-სამშენებლო ტრესტების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალისა

| თანამდებობათა დასახელება | კატეგორიები შტატების მიხედვით გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა წლიური მოცულობის კვალობაზე (მილ. მანეთობით) | | |
|---|---|---|---|
| | I<br>30 მილ. მანეთზე ზევით | II<br>20 მილ მანეთზე ზევით 30 მილ. მან-მდე | III<br>10 მილ. მანეთზე ზევით 20 მილ. მან-მდე |
| | საშტატო ერთეულების რაოდენობა | საშტატო ერთეულების რაოდენობა | საშტატო ერთეულების რაოდენობა |
| ტრესტის მმართველი | 1 | 1 | 1 |
| მთავარი ინჟინერი — მმართველის მოადგილე | 1 | 1 | 1 |
| მთავარი მექანიკოსი | 1 | 1 | 1 |
| იურისკონსულტი | 0—1 | — | — |
| უფროსი ინსპექტორი კადრებისა და სპეცმუშაობის დარგში | 1 | 1 | — |
| ინსპექტორი კადრებისა და სპეცმუშაობის დარგში | — | — | 1 |
| მდივანი-მემანქანე | 1 | 1 | 1 |
| მეურნეობის გამგე | 1 | 0—1 | — |
| შიკრიკი-დამლაგებელი | 1 | 1 | 1 |
| **საგეგმო-საწარმოო განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი— მთავარი ინჟინრის მოადგილე | 1 | 1 | 1 |
| უფროსი ინჟინერი | 1 | 1 | 0—1 |
| ინჟინერი | 2 | 1 | 1 |
| უფროსი ეკონომისტი | 0—1 | — | — |
| ეკონომისტი | 1 | 1 | 1 |
| ტექნიკოსი | 1 | 0—1 | — |

| თანამდებობათა დასახელება | კატეგორიები შტატების მიხედვით გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა წლიური მოცულობის კვალობაზე (მილ. მანეთობით) | | |
|---|---|---|---|
| | I 30 მილ. მანეთ-ზა ზევით | II 20 მილ. მანეთზე ზევით 30 მილ. მან-მდე | III 10 მლ. მანეთზე ზევით 20 მილ. მან-მდე |
| | საშტატო ერთეულების რაოდენობა | საშტატო ერთეულების რაოდენობა | საშტატო ერთეულების რაოდენობა |
| **ბუღალტერია** | | | |
| მთავარი (უფროსი) ბუღალტერი | 1 | 1 | 1 |
| უფროსი ბუღალტერი | 1 | 1 | 1 |
| ბუღალტერი | 2 | 1–2 | 1 |
| მოანგარიშე-მოლარე | 1 | 1 | 1 |
| **მომარაგების განყოფილება** | | | |
| განყოფილების უფროსი | 1 | 1 | 1 |
| საქონელმცოდნე | 1 | 1 | 1 |
| მოანგარიშე-მეკარტოთეკე | 1 | 1 | — |
| საწყობის გამგე | 1 | 1 | 1 |
| ს უ ლ | 22–24 | 18–21 | 16–17 |

შენიშვნა: 1. სარემონტო-სამშენებლო ტრესტების სამუშაოთა წლიური მოცულობა გამოირკვევა სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა ღირებულებით დაწესებულ ფასებში (მოწყობილობის, საპროექტო სამუშაოების, წარმოებითი და დამხმარე საწარმოების პროდუქციის ღირებულების ჩაუთვლელად).

2. პირველი კატეგორიის სარემონტო-სამშენებლო ტრესტებში იურისკონსულტის თანამდებობა შემოღებული იქნება თუ სამუშაოთა მოცულობა 36 მილიონ მანეთზე მეტია, ხოლო უფროსი ეკონომისტის თანამდებობა—თუ სამუშაოთა მოცულობა 32 მილიონ მანეთზე მეტია.

მეორე კატეგორიის სარემონტო-სამშენებლო ტრესტებში უფროსი მექა-ნიკოსის თანამდებობა შემოღებული იქნება, თუ სამუშაოთა მოცუ-ლობა 23 მილიონ მანეთზე მეტია, მეურნეობის გამგის თანამდებობა — თუ სამუშაოთა მოცულობა 26 მილიონ მანეთზე მეტია და ბუღალტრის მეორე თანამდებობა — თუ სამუშაოთა მოცულობა 27 მილიონ მანეთზე მეტია წელიწადში.

მესამე კატეგორიის სარემონტო-სამშენებლო ტრესტებში უფროსი ინჟინრის თანამდებობა შემოღებულ იქნება, თუ სამუშაოთა მოცულობა 13 მილიონ მანეთზე მეტია.

3. მეორე და მესამე კატეგორიის ტრესტების შტატში, რომელთა შემადგენლობაში არ იქნება სარემონტო-სამშენებლო კანტორები, შეიძლება შეტანილ იქნას დამატებით მოანგარიშე-ანგარიშმსწორებლის თანამდებობა 250 მუშაზე ერთი მოანგარიშე-ანგარიშმსწორებლის ანგარიშით და მეტაბელის თანამდებობა — 300 მუშაზე ერთი მეტაბელის ანგარიშით.
4. ახალ სარემონტო-სამშენებლო ტრესტებს მოაწყობს და საშტატო ნორმატივების მხრივ კატეგორიებს მიაკუთვნებენ, აგრეთვე ტრესტებს საშტატო ნორმატივების მხრივ უფრო მაღალკატეგორიებში გადაიყვანს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.
5. სარემონტო-სამშენებლო ტრესტების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატებს დაამტკიცებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ამ საშტატო ნორმატივების შესაბამისად ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შრომის გეგმისა და დაწესებული რაოდენობის ფარგლებში, ხელფასები და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების ნორმების გათვალისწინებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 12 სექტემბრის № 704
დადგენილების დანართი № 2

# საშტატო ნორმატივები

## საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სარემონტო-სამშენებლო კანტორების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალისა

| თანამდებობათა დასახელება | კატეგორიები შტატების მიხედვით გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა წლიური მოცულობის (მილ. მანეთობით) კვალობაზე | | | |
|---|---|---|---|---|
| | I 7,5-დან 10-მდე | II 5-დან 7,5-მდე | III 3-დან 5-მდე | IV 1-დან 3-მდე |
| | საშტატო ერთეულების რაოდენობა | საშტატო ერთეულების რაოდენობა | საშტატო ერთეულების რაოდენობა | საშტატო ერთეულების რაოდენ. |
| კანტორის უფროსი | 1 | 1 | 1 | 1 |
| მთავარი ინჟინერი — კანტორის უფროსის მოადგილე | 1 | 1 | 1 | — |
| ინჟინერი | 1 | 0—1 | — | 1 |
| ტექნიკოსი | 0-1 | — | — | — |
| ეკონომისტი | 1 | 0-1 | — | — |
| მთავარი (უფროსი) ბუღალტერი | 1 | 1 | 1 | — |
| ბუღალტერი | 1—2 | 1 | 1 | 1 |
| მოანგარიშე-მოლარე | 1 | 1 | 1 | 1 |
| მომარაგების გამგე | 1 | 1 | — | — |
| საწყობის გამგე | 1 | — | — | — |
| აგენტი-მეკუპნავე | — | — | 1 | 1 |
| მდივანი-მემანქანე | 1 | 1 | — | — |
| შიკრიკი-დამლაგებელი | 1 | 1 | 0—1 | — |
| ს უ ლ | 11- 13 | 8—10 | 6—7 | 5 |

შენიშვნა: 1. სარემონტო-სამშენებლო კანტორების წლიური მოცულობა გამოირკვევა სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა ღირებულებით დაწესებულ ფასებში (მოწყობილობის, საპროექტო სამუშაოების, წარმოებითი და დამხმარე საწარმოთა პროდუქციის ღირებულების ჩაუთვლელად).

2. პირველი კატეგორიის სარემონტო-სამშენებლო კანტორებში ტექნიკოსის თანამდებობა შემოღებული იქნება, თუ სამუშაოთა მოცულობა 8 მილიონ მანეთზე მეტია წელიწადში, ხოლო ბუღალტრის მეორე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანამდებობა — თუ სამუშაოთა მოცულობა 9 მილიონ მა[illegible]ტია წელიწადში.

მეორე კატეგორიის სარემონტო-სამშენებლო კანტორებში ინჟინრის თანამდებობა შემოღებული იქნება, თუ სამუშაოთა მოცულობა 6 მილიონ მანეთზე მეტია წელიწადში, ხოლო ეკონომისტის თანამდებობა — თუ სამუშაოთა მოცულობა 6,5 მილიონ მანეთზე მეტია.

მესამე კატეგორიის სარემონტო-სამშენებლო კანტორებში დამლაგებელ-შიკრიკის თანამდებობა შემოღებული იქნება, თუ სამუშაოთა მოცულობა 4 მილიონ მანეთზე მეტია წელიწადში.

3. სარემონტო-სამშენებლო კანტორების შტატში დამატებით წესდება მოანგარიშე-ანგარიშმსწორებლის თანამდებობა შემდეგი ანგარიშით: ერთი მოანგარიშე-ანგარიშმსწორებელი 250 მუშაზე. მეტაბელის თანამდებობა დაწესდება 300 მუშაზე ერთი მეტაბელის ანგარიშით.
4. ახალი სარემონტო-სამშენებლო კანტორების მოწყობა ხდება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებით.
5. სარემონტო-სამშენებლო კანტორებს საშტატო ნორმატივების მიხედვით კატეგორიებს მიაკუთვნებს, აგრეთვე მოქმედ კანტორებს გადაიყვანს საშტატო ნორმატივების მხრივ უფრო მაღალ კატეგორიებში საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრი, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქში — ასსრ მინისტრთა საბჭოები და ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი.
6. სარემონტო-სამშენებლო კანტორების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატებს დაამტკიცებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები, ამ საშტატო ნორმატივების შესაბამისად ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა დაწესებული შრომის გეგმებისა და რაოდენობის ფარგლებში, ხელფასების და ადმინისტრაციულ-სამეურნეო ხარჯების ნორმების გათვალისწინებით.
7. სარემონტო-სამშენებლო კანტორები შეიძლება შეიქმნას პირველი კატეგორიის სარემონტო-სამშენებლო ტრესტების შემადგენლობაში მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებთან ან კომუნალური მეურნეობის განყოფილების, კომუნალური საწარმოების, საქალაქო საბინაო სამმართველოების, აგრეთვე მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომების ადგილობრივი მეურნეობის კომბინატების უშუალო დაქვემდებარებაში.

   მეორე და მესამე კატეგორიის სარემონტო-სამშენებლო ტრესტებში სარემონტო-სამშენებლო კანტორები არ შეიქმნება.
8. უკეთუ სარემონტო-სამშენებლო სამუშაოთა წლიური მოცულობა ერთ მილიონ მანეთზე ნაკლებია, სარემონტო-სამშენებლო კანტორები არ შეიქმნება, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ნებართვით,

მუს. 87

თუ წლიური მოცულობა 200 ათას მანეთზე მეტია, შეი[illegible] წყოს სამეურნეო ანგარიშის სამუშაოთა წარმოების უ[illegible] შტატით:

| | | |
|---|---|---|
| სამუშაოთა მწარმოებელი | — 1 | ერთეული |
| ათისთავი | — 1 | „ |
| ბუღალტერი | — 1 | „ |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 12 სექტემბრის № 704
დადგენილების დანართი № 3

## საშტატო ნორმატივები

**მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სარემონტო-სამშენებლო ტრესტების და კანტორების სახაზო, საწარმოო და სამეურნეო პერსონალისა**

| თანამდებობათა დასახელება | ნორმატივები |
|---|---|
| უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი (უბნის უფროსი) | ერთი 200 მუშაზე |
| სამუშაოთა მწარმოებელი | ერთი 100 მუშაზე |
| ოსტატი-ათისთავი | ერთი 50 მუშაზე |
| ნორმადარი | ერთი 300 მუშაზე |
| ობიექტისპირა საწყობის მეკუჭნავე | საწყობების რაოდენობისა და ტერიტორიული განლაგების მიხედვით |

## დამხმარე წარმოებანი

**(კარიერები, წარმოებითი საწარმოები, სახელოსნოები და მასალების დამზადება-გადამუშავების წარმოებანი)**

| | |
|---|---|
| სახელოსნოს (წარმოების) გამგე ან უფროსი ოსტატი | დაწესდება იმ შემთხვევაში, თუ სახელოსნოს ეყოლება 50-ზე მეტი მუშა |
| ოსტატი | „ „ 30 „ „ |

№ 4
ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ტრანსპორტი

| | |
|---|---|
| გარაჟის გამგე — მექანიკოსი | დაწესდება 1 იმ შემთხვევაში, თუ არის 15-ზე მეტი მანქანა |
| ცხენის პარკის გამგე | დაწესდება 1 იმ შემთხვევაში, თუ არის 10-ზე მეტი ცხენი |
| ტრანსპორტის გამგე | დაწესდება 1 იმ შემთხვევაში, თუ არის 6-ზე მეტი ავტომანქანა და იმავდროულად 10-ზე მეტი ცხენი |

**შენიშვნა:** 1. სარემონტო-სამშენებლო ტრესტებისა და კანტორების სახაზო პერსონალის რაოდენობის დაწესების დროს სათვალავში მიიღება მხოლოდ ძირითადი წარმოების მუშათა რაოდენობა. იმ შემთხვევაში, როდესაც დამხმარე წარმოებებისათვის არ არის დაწესებული სახაზო, საწარმოო და სამეურნეო პერსონალის საშტატო ნორმატივებით გათვალისწინებული თანამდებობანი, სახაზო პერსონალის რაოდენობის დასაწესებლად გაანგარიშებაში შედიან ძირითადი და დამხმარე წარმოებათა მუშები.

2. სახაზო, საწარმოო და სამეურნეო პერსონალის შტატებს დაამტკიცებენ ტრესტის მმართველი ან მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები სახაზო და საწარმოო პერსონალის ან საშტატო ნორმატივების მიხედვით ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა შრომის გეგმისა და რაოდენობის ფარგლებში, რაც ზემდგომი ორგანიზაციის მიერ დამტკიცებულია სარემონტო-სამშენებლო ტრესტისათვის ან კანტორისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 12 სექტემბრის № 704
დადგენილების დანართი № 4

# თანამდებობრივი განაკვეთები

## მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სარემონტო-სამშენებლო ტრესტების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალისა

| | თანამდებობრივი განაკვეთები სარემონტო-სამშენებლო ტრესტების კატეგორიების მიხედვით გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა წლიური მოცულობის კვალობაზე (მილიონ მანეთობით) | | |
|---|---|---|---|
| | 30-ზე ზევით | 20-ზე ზევით 30-მდე | 10-ზე ზევით 20-მდე |
| ტრესტის მმართველი | 1700—2000 | 1500—1700 | 1400—1600 |
| მთავარი ინჟინერი—ტრესტის მმართველის მოადგილე | 1700—2000 | 1500—1700 | 1400—1600 |
| მთავარი მექანიკოსი | 1000—1100 | 900—1000 | 850—950 |
| იურისკონსულტი | 700—750 | — | — |
| უფროსი ინსპექტორი კადრებისა და სპეცმუშაობის დარგში | 700 | 700 | — |
| ინსპექტორი კადრებისა და სპეცმუშაობის დარგში | — | — | 600 |
| საგეგმო-საწარმოო განყოფილების გამგე — მთავარი ინჟინრის მოადგილე | 1100—1250 | 1100—1200 | 1000—1100 |
| უფროსი ინჟინერი | 900—1000 | 850—900 | 800—850 |
| ინჟინერი | 750—850 | 750—850 | 750—850 |
| ტექნიკოსი | 600—650 | 600—650 | — |
| უფროსი ეკონომისტი | 800—900 | — | — |
| ეკონომისტი | 700—800 | 700—800 | 700—800 |
| მთავარი ბუღალტერი | 1000—1100 | 950—1050 | 850—950 |
| უფროსი ბუღალტერი | 700—800 | 650—700 | 600—700 |
| ბუღალტერი | 550—600 | 550—600 | 550—600 |
| მოანგარიშე-მოლარე, მოანგარიშე-ანგარიშმსწორებელი | 450 | 450 | 450 |
| მეტაბელე | 350—400 | 350—400 | 350—400 |
| მომარაგების განყოფილების უფროსი | 1000—1100 | 850—1000 | 800—850 |
| საქონელმცოდნე | 600 | 600 | 600 |
| საწყობის გამგე | 600—650 | 550—600 | 500—550 |
| ობიექტისპირა საწყობის მეკუჭნავე | 400—450 | 400—450 | 400—450 |
| მეურნეობის გამგე | 500—600 | 500—600 | — |
| მდივანი-მემანქანე | 450 | 450 | 450 |
| შიკრიკი-დამლაგებელი | 310 | 310 | 310 |

შენიშვნა: სარემონტო-სამშენებლო ტრესტებს მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთების მიხედვით შესაბამის კატეგორიებს მიაკუთვნებს, აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტრესტებს, სამუშაოთა შესასრულებელი, მოცულობის შეცვლასთან დაკავშირებით, ერთი კატეგორიიდან მეორეში გადაიყვანს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ამასთან თანამდებობრივ განაკვეთებს დააწესებს ხელფასის იმ ფონდის ფარგლებში, რომელიც გამოანგარიშებული იქნება საშუალო განაკვეთებიდან სქემის მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 12 სექტემბრის № [illegible]
დადგენილების დანართი № 5

# თანამდებობრივი განაკვეთები

## მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სარემონტო-სამშენებლო კანტორების ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალისა

| | თანამდებობრივი განაკვეთები სარემონტო-სამშენებლო ტრესტების კატეგორიების მიხედვით გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა წლიური მოცულობის კვალობაზე (მილიონ მანეთობით) | | | |
|---|---|---|---|---|
| | I<br>7,5-ზე ზევით 10-მდე | II<br>5-ზე ზევით 7,5-მდე | III<br>3-ზე ზევით 5-მდე | IV<br>1-ზე ზევით 3-მდე |
| კანტორის უფროსი | 1300—1400 | 1200—1300 | 1000—1200 | 900—1000 |
| მთავარი ინჟინერი — კანტორის უფროსის მოადგილე | 1300—1400 | 1200—1300 | 1000—1200 | — |
| ინჟინერი | 750—850 | 750—850 | — | 750—850 |
| ტექნიკოსი | 600—650 | — | — | — |
| ეკონომისტი | 700—750 | 650—700 | — | — |
| მთავარი (უფროსი) ბუღალტერი | 800—850 | 750—800 | 650—750 | — |
| ბუღალტერი | 550—600 | 550—600 | 550—600 | 550—600 |
| მოანგარიშე-მოლარე მოანგარიშე-ანგარიშსწორებელი | 450 | 450 | 450 | 450 |
| მეტაბელე | 350—400 | 350—400 | — | — |
| მომარაგების გამგე | 800—900 | 800—900 | — | — |
| საწყობის გამგე | 500 | — | — | — |
| ობიექტისპირა საწყობის მეკუჭნავე | 400—450 | 400—450 | 400—450 | 400—450 |
| აგენტი-მეკუჭნავე | — | — | 450 | 450 |
| მძღოლი-მემანქანე | 450 | 450 | — | — |
| შიკრიკი-დამლაგებელი | 310 | 310 | 310 | — |

შენიშვნები: 1. სარემონტო-სამშენებლო კანტორებს მუშაკთა თანამდებობრივი განაკვეთების მიხედვით შესაბამის კატეგორიებს მიაკუთვნებს, აგრეთვე კანტორებს, სამუშაოთა შესასრულებელი მოცულობის შეცვლასთან დაკავშირებით, ერთი კატეგორიიდან, მეორეში გადაი-

ყვანს საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის მინისტრ[illegible], ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ავტონომიურ ოლქ[illegible] ასსრ მინისტრთა საბჭოები და ავტონომიური ოლქის საოლქო აღმასრულებელი კომიტეტი.

2. სამეურნეო ანგარიშის სამუშაოთა წარმოების უბნებისათვის, რომლებიც მოეწყობა იმ დროს, თუ სამუშაოთა მოცულობა 200 ათასი მანეთიდან ერთ მილიონ მანეთამდეა, თვიური თანამდებობრივი განაკვეთები დაუწესდება:

| | |
|---|---|
| სამუშაოთა მწარმოებელს | 800—900 მანეთი |
| ათისთავს | 600—750 „ |
| ბუღალტერს | 550—600 „ |

3. თანამდებობრივ განაკვეთებს დააწესებენ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომები ხელფასის ფონდის ფარგლებში, რომლებიც გამოანგარიშებული იქნება საშუალო განაკვეთებიდან სქემის მიხედვით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე დ. ქიტიაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 12 სექტემბრის № 704
დადგენილების დანართი № 6

## ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲐᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘ

**მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სარემონტო-სამშენებლო ტრესტების და კანტორების სახაზო, საწარმოო პერსონალის და ტრანსპორტის მუშაკებისა**

| თანამდებობათა დასახელება | თვიური თანამდებობრივი განაკვეთები (მანეთობით) |
|---|---|
| **I. სახაზო პერსონალი** | |
| უფროსი სამუშაოთა მწარმოებელი (უბნის უფროსი) | 900—1100 |
| სამუშაოთა მწარმოებელი | 800— 900 |
| ოსტატი-ათისთავი | 600— 750 |
| ნორმადარი | 550— 650 |
| **II. დამხმარე წარმოებანი** | |
| (კარიერები, წარმოებითი საწარმოები, სახელოსნოები და მასალათა დამზადება-გადამუშავების წარმოებანი) | |
| სახელოსნოს (წარმოების) გამგე ან უფროსი ოსტატი | 700—800 |
| ოსტატი | 600—700 |
| **ტრანსპორტი** | |
| გარაჟის გამგე—მექანიკოსი | 650—750 |
| ცხენის პარკის გამგე | 450—500 |
| ტრანსპორტის გამგე | 650 |

**შენიშვნა:** თანამდებობრივ განაკვეთებს დააწესებენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები ხელფასის ფონდის ფარგლებში, რომელიც გამოანგარიშებული იქნება საშუალო განაკვეთებიდან სქემის მიხედვით, ხოლო სახაზო პერსონალის ინჟინერ-ტექნიკური მუშაკებისათვის,—დაწესებული სატარიფო ზოლობრივი კოეფიციენტების გათვალისწინებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **Დ. ᲥᲘᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.**

## 88 საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტრო-სა და მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებისათვის სამრეწველო პროდუქციის დაგეგმვის წესის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს 1960 წლიდან რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის გეგმით ადგილობრივი მრეწველობის პროდუქციის წარმოების მოცულობა მთლიანად საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროსათვის, ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქისა და ქალაქ თბილისის გამოკლებით, ამასთან რესპუბლიკის დანარჩენ ქალაქებსა და რაიონებს შორის სამრეწველო პროდუქციის წარმოების დავალებათა განაწილება დაეკისროს საქართველოს სსრ ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 12 სექტემბერი, № 705

## 89 ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის მუშა-მოსამსახურეებისათვის ნისიად მიყიდვის შესახებ

იმ მიზნით, რომ შეიქმნას მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის შეძენის უკეთესი პირობები და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 12 აგვისტოს № 915 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ნება დაერთოს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მოაწყოს ქალაქ თბილისში, რუსთავში, ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, სტალინირში, ფოთში, ჭიათურაში, ტყიბულში, ტყვარჩელსა და გორში უმაღლესი, პირველი და მეორე კლასის რადიოლებისა და რადიომიმღებების, ფოტოაპარატების (ღირებულებით 400 მანეთიდან), ველოსიპედების, „ტულის“ და „კიროვის“ მარკის მოტოროლერების, მ-1მ და კ-58 მოტოციკლების, „მოსკოვის“ მარკის ნავის მოტორების,

„ტულის“ მარკის საკერავი მანქანების, ლითონის კორპუსიანი მაჯის საათების, აგრეთვე შალის ქსოვილებისაგან შეკერილი ტანსაცმლის (ღირებულებით 700 მანეთიდან) და აბრეშუმის ქსოვილებისაგან შეკერილი ტანსაცმლის (ღირებულებით 400 მანეთიდან) მიყიდვა ნისიად მუშებისა და მოსამსახურეებისათვის.

წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს, საჭიროების შემთხვევაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ აღნიშნულ სიას დაემატოს ხანგრძლივი სარგებლობის სხვა ისეთი საქონელი, რომელიც საკმაო რაოდენობით მოიპოვება.

2. დაწესდეს, რომ მყიდველები მათ მიერ ამ დადგენილების შესაბამისად ნისიად შეძენილ საქონელს მიიღებენ მას შემდეგ, რაც გადაიხდიან მისი ღირებულების სულ ცოტა 25 პროცენტს, ხოლო საქონლის ღირებულების დანარჩენ ნაწილს — როგორც წესი, — 6 თვის განმავლობაში, მაგრამ არა უმეტეს 12 თვისა.

საქონლის ნისიად მიყიდვის დროს გადახდეს მყიდველებს საქონლის საცალო ფასის 1—2 პროცენტი სავაჭრო ორგანიზაციების სასარგებლოდ.

3. დამტკიცდეს ინსტრუქცია ქალაქებში მუშებისა და მოსამსახურეებისათვის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ.

4. მუშა-მოსამსახურეთა მოხერხებულობისათვის საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, მათი წერილობითი დავალების საფუძველზე, დაუკავებენ ხელფასიდან მუშას ან მოსამსახურეს მათ მიერ ნისიად შეძენილი საქონლისათვის მორიგ გადასახდელთა თანხებს და გადაურიცხავენ მათ შესაბამის სავაჭრო ორგანიზაციებს.

5. დაწესდეს, რომ საქონლის ნისიად გაყიდვის დროს საცალო ვაჭრობის ორგანიზაციები და საწარმოები საცალო საქონელბრუნვის ანგარიშში შეიტანენ იმ ფულად თანხებს, რომლებიც მათ ფაქტიურად მიიღეს მყიდველებისაგან ნისიად გაყიდული საქონლის ღირებულების ანაზღაურების ანგარიშში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 12 სექტემბერი, № 717

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 1[illegible] სექტემბრის № 717 დადგენილებით

## ინსტრუქცია

### ქალაქებში მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ

1. საქონლის მიყიდვა ნისიად წარმოებს იმ მაღაზიებში, რომლებსაც სპეციალურად გამოყოფენ ამ მიზნისათვის სავაჭრო ორგანიზაციები.

2. ნისიად გაიყიდება საქონელი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული ნომენკლატურით.

3. საქონელი ნისიად მიეყიდებათ მუშებს, მოსამსახურეებსა (მათ შორის ოფიცერთა შემადგენლობისა და ზევადიანი სამსახურის სერჟანტთა შემადგენლობის სამხედრო მოსამსახურეებს) და პენსიონერებს, რომლებიც ღებულობენ მუდმივ ხელფასს ან პენსიას და მუდმივად ცხოვრობენ იმ ქალაქში, სადაც მაღაზია იმყოფება.

იმ პირებს, რომლებიც იმყოფებიან დროებით სამუშაოზე ან მუდმივად არ არიან გაწერილი, აგრეთვე საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს საქონელი ნისიად არ მიეყიდებათ.

4. საქონლის გაყიდვა ნისიად წარმოებს მას შემდეგ, რაც მყიდველი წარადგენს სამუშაო ადგილიდან გაცემულ ცნობას საშუალო თვიური ხელფასის ოდენობის შესახებ, რასაც იგი მუდმივად იღებს.

ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად გაყიდვის დროს საქონლის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მყიდველის ხელფასის თანხას, რომელსაც იგი ღებულობს ნისიად გაყიდული საქონლის ღირებულების გადახდის განაწილვადების ხანგრძლივობის შესაბამის პერიოდში.

5. მყიდველები მათ მიერ ნისიად შეძენილ საქონელს მიიღებენ მას შემდეგ, რაც გადაიხდიან მისი ღირებულების სულ ცოტა 20—25 პროცენტს. საქონლის ღირებულების დანარჩენ ნაწილს მყიდველები გადაიხდიან, როგორც წესი, 6 თვის განმავლობაში, არა უგვიანეს 12 თვისა.

ნისიად გასაყიდი თვითეული საქონლის კრედიტის ვადებს და პირვანდელი შესატანის ოდენობას დააწესებს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო.

6. საქონლის ნისიად გაყიდვის დროს მყიდველს გადახდება საქონლის საცალო ფასის 1—2 პროცენტი სავაჭრო ორგანიზაციის სასარგებლოდ, მათ შორის, როდესაც გადასახდელები განაწილვადებულია:

6 თვემდე ჩათვლით — 1 პროცენტი

7-დან 9 თვემდე ჩათვლით — 1,5 პროცენტი

10-დან 12 თვემდე ჩათვლით — 2 პროცენტი

7. ნისიად გაყიდული საქონლის საცალო ფასების შეცვლის დროს ანგარიშსწორება იწარმოებს გაყიდვის მომენტისათვის მოქმედ ფასებში.

8. საქონლის ნისიად ყიდვის დროს მყიდველი შეავსებს 2 ცალ საგადამხდელო დავალებას საწარმოსადმი (ორგანიზაციისადმი, დაწესებულებისადმი), სადაც იგი მუშაობს იმის შესახებ, რომ დაუკავდეს ხელფასიდან ნისიად ნაყიდი საქონლის მორიგ გადასახდელთა თანხა და გადაერიცხოს იგი შესაბამის ორგანიზაციას.

საგადამხდელო დავალების პირველ ეგზემპლარს მაღაზია გაუგზავნის საწარმოს (ორგანიზაციას, დაწესებულებას), სადაც მუშაობს მუშა-მოსამსახურე, რომელმაც ნისიად იყიდა საქონელი, ხოლო საგადამხდელო დავალების მეორე ეგზემპლარი რჩება მაღაზიაში აღრიცხვისათვის.

საწარმოთა და დაწესებულებათა მთავარი და უფროსი ბუღალტრები მოვალენი არიან დაუკაონ ხელფასიდან იმ პირს, რომელმაც ხელი მოაწერა საგადამხდელო დავალებას, მორიგი შესატანი ყოველთვიურად, ხოლო რაიმე მიზეზით სამუშაოდან დათხოვნის დროს დაუკაონ მას დავალიანების დარჩენილი დაუფარავი ნაწილი მთლიანად და გადაურიცხოს ეს თანხა სათანადო სავაჭრო ორგანიზაციას.

9. ნისიად ნაყიდ საქონელზე ვრცელდება სარგებლობის საგარანტიო ვადები და გამოცვლის წესი, რომლებიც დაწესებულია საცალო ქსელში ნაღდ ანგარიშზე ნაყიდი ასეთივე საქონლისათვის.

10. მუშა-მოსამსახურეებისათვის საქონლის ნისიად მიყიდვის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება მოსახლეობას საგაზეთო განცხადებების, საცნობარო ფურცლების მეშვეობით, საინფორმაციო მასალების დაგზავნით საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, აგრეთვე სარეკლამო პლაკატების გამოკვრით ყველა იმ მაღაზიის ვიტრინებში, რომლებიც გამოყოფილია საქონლის ნისიად ვაჭრობისათვის.

11. საქონლის ნისიად გაყიდვის ოპერაციების აღრიცხვისა და ანგარიშსწორების წესს დაადგენს საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრო.

12. ერთ მყიდველს ნისიად ერთსადაიმავე დროს მიეცემა მხოლოდ ერთი საგანი.

---

## 90 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა მედლებით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 27 აგვისტოს № 1025 დადგენილება „საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა მედლებით დაჯილდოების შესახებ“ დაეგზავნოს სახელმძღვანელოდ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 29 ივნისის № 740, 1945 წლის 16 ივნისის № 761 და 1945 წლის 21 დეკემბრის № 1663 დადგენილებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ფირაძაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 28 სექტემბერი, № 763

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა № 1025

**1959 წლის 27 აგვისტო**

მოსკოვი, კრემლი

### საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა მედლებით დაჯილდოების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. განსაკუთრებით წარჩინებულ მოსწავლეთა დასაჯილდოებლად, რომლებიც ამთავრებენ საღამოს (ცვლების) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლას ან საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ სკოლას საწარმოო სწავლებით, დაწესდეს ოქროსა და ვერცხლის მედლები „საუკეთესო წარმატებებისათვის სწავლაში, შრომაში და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“.

2. დამტკიცდეს დებულება „საუკეთესო წარმატებებისათვის სწავლაში, შრომაში და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“ მედლების შესახებ.

3. დამტკიცდეს „საუკეთესო წარმატებებისათვის სწავლაში, შრომაში და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“ მედლების ნიმუშები და აღწერილობა.

4. დაევალოს სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ყოველწლიურად დაამზადოს საჭირო რაოდენობის ოქროსა და ვერცხლის მედლები „საუკეთესო წარმატებებისათვის სწავლაში, შრომაში და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების განაცხადების თანახმად.

5. დაწესდეს, რომ ამ დადგენილების შესაბამისად უნდა წარმოებდეს საშუალო ათწლიანი სკოლებისა და მუშა და სოფლის ახალგაზრდობის სკოლების კურსდამთავრებულთა დაჯილდოება მედლებით მანამ, ვიდრე მოხდებოდეს მათი რეორგანიზაცია საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითს პოლიტექნიკურ სკოლებად საწარმოო სწავლებით და საღამოს (ცვლების) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებად.

6. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს 1944 წლის 21 ივნისის № 750, 1945 წლის 30 მაისის

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 1247 და 1945 წლის 10 დეკემბრის № 3062 დადგენილებებისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1950 წლის 21 თებერვლის № 782 დადგენილების მე-2 მუხლი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ნ. ხრუშჩოვი.**

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **გ. სტეპანოვი.**

ა ს ლ ი

დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა
საბჭოს 1959 წლის 27 აგვისტოს
№ 1025 დადგენილებით

## დ ე ბ უ ლ ე ბ ა

### „საუკეთესო წარმატებებისათვის სწავლაში, შრომაში და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“ მედლების შესახებ

1. ოქროს მედლით „საუკეთესო წარმატებებისათვის სწავლაში, შრომაში და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“ დაჯილდოვდებიან:

ა) საღამოს (ცვლების) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულნი, რომლებსაც აქვთ წლიური შეფასებანი ყველა საგანში XI კლასისათვის, აგრეთვე ყველა საგამოცდო შეფასება „5“, რომლებიც წარმატებით ასრულებდნენ საწარმოო დავალებებს, გამოირჩეოდნენ სანიმუშო ყოფაქცევით და საზოგადოებრივ მუშაობაში აქტიური მონაწილეობით;

ბ) საწარმოო სწავლებიანი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლების კურსდამთავრებულნი, რომლებსაც აქვთ წლიური შეფასებანი ყველა საგანში XI კლასისათვის, აგრეთვე ყველა საგამოცდო შეფასება „5“, რომლებმაც მიაღწიეს საუკეთესო წარმატებებს საწარმოო სწავლებასა და მწარმოებლურ შრომაში, რომლებიც წარმატებით დაეუფლნენ პროფესიას, გამოირჩეოდნენ სანიმუშო ყოფაქცევით და საზოგადოებრივ მუშაობაში აქტიური მონაწილეობით.

2. ვერცხლის მედლით „საუკეთესო წარმატებებისათვის სწავლაში, შრომაში და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“ დაჯილდოვდებიან:

ა) საღამოს (ცვლების) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულნი, რომლებსაც აქვთ წლიური შეფასებანი

მუს/90

XI კლასისათვის, აგრეთვე საგამოცდო შეფასება „5“ ყველა საგანში, გარდა ორისა, რომელთა მიხედვით შეფასება არ უნდა იყოს „4“-ზე ნაკლები, რომლებიც წარმატებით ასრულებდნენ საწარმოო დავალებებს, გამოირჩეოდნენ სანიმუშო ყოფაქცევით და საზოგადოებრივ მუშაობაში აქტიური მონაწილეობით;

ბ) საწარმოო სწავლებიანი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო შრომითი პოლიტექნიკური სკოლების კურსდამთავრებულნი, რომლებსაც აქვთ წლიური შეფასებანი XI კლასისათვის, აგრეთვე საგამოცდო შეფასება „5“ ყველა საგანში, გარდა ორისა, რომელთა მიხედვით შეფასება არ უნდა იყოს „4“-ზე ნაკლები, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს საწარმოო სწავლებასა და მწარმოებლურ შრომაში, წარმატებით დაეუფლნენ პროფესიას, თავი გამოიჩინეს სანიმუშო ყოფაქცევით და საზოგადოებრივ მუშაობაში აქტიური მონაწილეობით.

3. საღამოს (ცვლების) საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების და საწარმოო სწავლებიანი საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულებისათვის ოქროს ან ვერცხლის მედლების მიკუთვნება წარმოადგენს სწავლასა და შრომაში მათი წარმატებების საზოგადოებრივ აღიარებას. „საუკეთესო წარმატებებისათვის სწავლაში, შრომაში და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“ ოქროსა და ვერცხლის მედლებით დაჯილდოებულთ ენიჭებათ, სხვა თანაბარი პირობების დროს, სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში შესვლის უპირატესობრივი უფლება.

4. ოქროსა და ვერცხლის მედლებს „საუკეთესო წარმატებებისათვის სწავლაში, შრომაში და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“ მიაკუთვნებს სკოლის პედაგოგიური საბჭო და გადასცემს დაჯილდოებულთ (საშუალო სკოლის დამთავრების განსაკუთრებული ნიმუშის ატესტატთან და პროფესიული კვალიფიკაციის მიკუთვნების მოწმობასთან ერთად) სკოლის დირექტორი გამოსაშვები გამოცდების დამთავრების შემდეგ გამართულ საზეიმო აქტზე. ამასთან, სკოლის პედაგოგიური საბჭოს მუშაობაში მონაწილეობას უნდა იღებდნენ იმ საწარმოს ადმინისტრაციისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, სადაც მოსწავლეები გადიოდნენ საწარმოო სწავლებას და მუშაობდნენ.

„საუკეთესო წარმატებებისათვის სწავლაში, შრომაში და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“ მედლების მიკუთვნება შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ ერთხმად იქნა მიღებული სკოლის პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება. უკეთუ პედაგოგიური საბჭოს

ერთი ან რამდენიმე წევრი წინააღმდეგია კურსდამთავრებულის დაჯილდოებისა, საკითხი განსახილველად გადაეცემა სახალხო განათლების რაიონულ (საქალაქო) განყოფილებას, რომელიც მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას.

„საუკეთესო წარმატებებისათვის სწავლაში, შრომაში და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“ მედლების მიკუთვნების სისწორისადმი კონტროლს განახორციელებენ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სამინისტროები, სახალხო განათლების სამხარეო, საოლქო, რაიონული, საქალაქო განყოფილებები.

---

ა ს ლ ი

დამტკიცებულია სსრ კავშირის მინისტრთა
საბჭოს 1959 წლის 27 აგვისტოს
№ 1025 დადგენილებით

**აღწერილობა ოქროსა და ვერცხლის მედლებისა „საუკეთესო წარმატებებისათვის სწავლაში, შრომაში და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“**

ოქროსა და ვერცხლის მედლებს „საუკეთესო წარმატებებისათვის სწავლაში, შრომაში და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“ აქვს 40 მმ დიამეტრის, 2 მმ სისქის სწორი წრის სახე.

მედლის პირველ გვერდზე გაშლადი სხივების ფონზე გამოსახულია გადაშლილი წიგნი, დაფნის ტოტით მოარშიებული ქვემოდან და მარჯვნიდან. მედალის ზედა ნაწილში, გაშლადი სხივების ცენტრში, ამოზნექილი ხუთქიმიანი ვარსკვლავი. მედლის წრეწირზე გაკეთებულია წარწერა: „საუკეთესო წარმატებებისათვის სწავლაში, შრომაში და სანიმუშო ყოფაქცევისათვის“, ფერსო წერტილებისაგან და კარბა.

მედლის მეორე მხარეზე გამოსახულია შესაბამისი მოკავშირე რესპუბლიკის ღერბი 21 მმ დიამეტრისა და მის ქვემოთ რესპუბლიკის შემოკლებული დასახელება.

მედლებზე წარწერები შესრულდება მოკავშირე რესპუბლიკის ეროვნულ ენაზე; გამოსახულება და წარწერები ამოზნექილია.

ოქროს მედალი — ტომპაკური მოოქრული; ვერცხლის მედალი — მელქიორული მოვერცხლილი.

## 91 სასოფლო-სამეურნეო არტელის საკასო ოპერაციების წარმოების წესების, ბუღალტრისა და სარევიზიო კომისიის დებულებათა დამტკიცების შესახებ

კოლმეურნეობებში საკასო ოპერაციათა წარმოების მხრივ სათანადო წესრიგის დამყარების, ბუღალტრის როლისა და პასუხისმგებლობის გაძლიერების და სასოფლო-სამეურნეო არტელის სარევიზიო კომისიების მუშაობის გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ფინანსთა სამინისტროს და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორის მიერ წარმოდგენილი წესები კოლმეურნეობებში საკასო ოპერაციების წარმოებისა, დებულებანი სასოფლო-სამეურნეო არტელის ბუღალტრისა და სარევიზიო კომისიის შესახებ.

2. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს:

ა) შეიმუშაოს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს კანტორასთან შეთანხმებით, დაამტკიცოს კოლმეურნეობებში სასაწყობო ოპერაციათა წარმოების წესები, აგრეთვე მატერიალურად პასუხისმგებელი პირის—მეკუჭნავის ვალდებულების ფორმა;

ბ) ერთი თვის ვადაში დაბეჭდოს და კოლმეურნეობებს დაუგზავნოს ამ დადგენილების პირველ და მეორე მუხლებში აღნიშნული დოკუმენტები.

3. რჩევა მიეცეთ საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა გამგეობებს:

ა) ამ დადგენილებით დამტკიცებული წესები საკასო ოპერაციების წარმოებისა და დებულებანი სასოფლო-სამეურნეო არტელის ბუღალტრისა და სარევიზიო კომისიის შესახებ განიხილონ კოლმეურნეობათა წევრების საერთო კრებებზე და შეიტანონ სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებაში ამ დადგენილებიდან გამომდინარე სათანადო ცვლილებები;

ბ) ჩაატარონ საჭირო მოსამზადებელი მუშაობა საკასო ოპერაცი-ების წარმოების ახალ წესებზე გადასასვლელად 1960 წლის 1 იანვრი-დან.

4. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბ-ჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომსა და რაი-აღმასკომებს ჩაატარონ კოლმეურნეობათა გამგეობებისა და სარე-ვიზიო კომისიების თავმჯდომარეების, ბუღალტრებისა და საანგარი-შო დარგის სხვა მუშაკების ზონალური თათბირები, საკასო ოპერა-ციების წარმოების წესების, სასოფლო-სამეურნეო არტელის ბუ-ღალტრისა და სარევიზიო კომისიის დებულებათა განსამარტებლად და ყოველგვარი დახმარების გასაწევად კოლმეურნეობებისათვის სა-კასო ოპერაციების წარმოებისა და სარევიზიო კომისიების მუშაო-ბის ახალ წესზე გადასვლის საქმეში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჭავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჟირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 28 სექტემბერი, № 769

დამტკიცებულია საქართველოს [illegible]
მინისტრთა საბჭოს [illegible]
28 სექტემბრის № 769
დადგენილებით

# წ ე ს ე ბ ი

## სასოფლო-სამეურნეო არტელში საკასო ოპერაციების წარმოებისა

1. ფულად სახსრებს კოლმეურნეობა ინახავს თავის ანგარიშებზე სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებში.

კოლმეურნეობის სალაროში ნაღდი ფულის გარდამავალი ნაშთის ოდენობას და გადაუდებელი საჭიროებისათვის ამონაგებიდან ნაღდი ფულის ხარჯვის წესს ყოველწლიურად დაადგენს კოლმეურნეობის გამგეობა სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის იმ დაწესებულებასთან შეთანხმებით, რომელიც მომსახურებას უწევს კოლმეურნეობას, იმის გათვალისწინებით, თუ რა მანძილი არსებობს კოლმეურნეობასა და ბანკს შორის და ნამდვილად რამდენი სჭირდება კოლმეურნეობას ნაღდი ფული გადაუდებელი ხარჯებისათვის.

სალაროში ნაღდი ფულის ნაშთის დაწესებულ ოდენობაზე ზედმეტ ფულად თანხებს კოლმეურნეობა შეიტანს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში შესაბამის ანგარიშებზე ჩასარიცხავად.

კოლმეურნეობის მიერ ბანკიდან მიღებული, მაგრამ დაუხარჯავი ფული შეიტანება სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებაში მისი მიღებიდან ხუთი დღის განმავლობაში.

2. ნაღდი ფულის მიღება კოლმეურნეობის სალაროში წარმოებს სალაროს შემოსავლის ორდერებით, რომლებსაც ხელს აწერენ ბუღალტერი (მთავარი, უფროსი) და მოლარე ან საამისოდ რწმუნებული პირები.

ფულის მიღებაზე გაიცემა ქვითარი ბუღალტრისა და მოლარის ხელმოწერით.

3. ნაღდი ფულის გაცემა კოლმეურნეობის სალაროდან წარმოებს მხოლოდ სალაროს გასავლის ორდერებით და საგადასახადო უწყისებით. ფულის გაცემის დოკუმენტებს ხელს უნდა აწერდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ბუღალტერი (მთავარი, უფროსი).

სალაროს გასავლის ორდერებში აღინიშნება მათი შედგენის საფუძველი და ჩამოთვლილი იქნება ის დოკუმენტები, რომლებიც მათ ერთვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალაროს გასავლის ორდერი შეიძლება განაღდებულად მხოლოდ მისი შედგენის დღეს.

4. სალაროს გასავლის ორდერებს, ამ ორდერებით ფულის გაცემის შემდეგ ხელს აწერს მოლარე, ხოლო მათთან დართულ დოკუმენტებს გააბათილებს მოლარე შტამპის დასმით ან წარწერით „განაღდებულია“, და აღნიშნავს თარიღს.

მოლარე ნაღდ ფულს მისცემს იმ პირს, რომელიც აღნიშნულია გასავლის ორდერში და ფულის გაცემის უწყისში. თუ ფულის გაცემა მინდობილობით ხდება, მაშინ ბუღალტერი ორდერის ტექსტში ან მოლარე უწყისში აღნიშნავს იმ პირის გვარს, სახელს და მამის სახელს, რომელსაც ფული მიეცა. მინდობილობა რჩება მოლარეს და დაერთვის სალაროს გასავლის ორდერს.

5. სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერები და მათი ქვითრები უნდა იყოს დაწერილი მელნით ნათლად და გარკვეულად. არავითარი წაშლა, გადაფხეკა ან გასწორება, თუნდაც შენიშვნაგაკეთებულიც კი, ამ დოკუმენტებში არ დაიშვება.

6. სალაროს შემოსავლის ან გასავლის ორდერის მიღების დროს მოლარე მოვალეა შეამოწმოს:

ა) სალაროს შემოსავლისა და გასავლის ორდერის გაფორმების სისწორე;

ბ) არის თუ არა ორდერზე კოლმეურნეობის თავმჯდომარის და ბუღალტრის ან საამისოდ რწმუნებულ პირთა ხელმოწერა და ნამდვილია თუ არა იგი;

გ) არის თუ არა ყველა დანართი, რომლებიც ჩამოთვლილია ორდერში.

იმ შემთხვევაში, თუ დაცული არ არის ამ მოთხოვნებიდან თუნდაც ერთი მათგანი, მოლარე დააბრუნებს ორდერს მის სათანადოდ გაფორმებისათვის.

7. ნაღდი ფულის შემოსავლისა და გაცემის აღსარიცხავად კოლმეურნეობაში წარმოებს ერთი დადგენილი ფორმის მიხედვით დანომრილი და ზონარგაყრილი, სათანადოდ დალუქული საკასო წიგნი. საკასო წიგნის ფურცლების რაოდენობას დაამოწმებენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე და ბუღალტერი (მთავარი, უფროსი) ხელმოწერით.

სალაროს წიგნში ჩანაწერს აკეთებს მოლარე თვითეული ორდერით ან მისი შემცვლელი დოკუმენტით ფულის მიღების ან გაცემისთანავე. ყოველდღიურად, სამუშაო დღის ბოლოს, მოლარე გამოიანგარიშებს მთელი დღის ოპერაციის შედეგს, გამოიყვანს ფულის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაშთს სალაროში შემდეგი რიცხვისათვის და გადასცემს ბუღალტე-რიას სალაროს შემოსავლისა და გასავლის დოკუმენტებს წიგნში ხელწერილ ქვეშ. ოპერაციების მცირე რაოდენობის დროს შეიძლება საკასო ანგარიშების ჩაბარება შემდეგაც, მაგრამ არა უგ-ვიანეს სამი დღისა.

საკასო წიგნის სწორად წარმოების კონტროლი ეკისრება კოლმე-ურნეობის ბუღალტერს (მთავარს, უფროსს).

ბუღალტრის მითითებანი საკასო წიგნის წარმოების წესის შესა-ხებ მოლარისათვის სავალდებულოა.

8. ბუღალტერს და საანგარიშო დარგის სხვა მუშაკებს, რომლებ-საც უფლება აქვთ ხელი მოაწერონ საკასო დოკუმენტებს, არ შეუძ-ლიათ მოლარის მოვალეობის შესრულება.

9. სალაროდან ნაღდი ფულის გაცემა, რაც არ იქნება დადასტუ-რებული სალაროს გასავლის ორდერით, აკრძალულია. ამნაირად გაცემული თანხები დანაკლისად ითვლება და გადახდება მოლარეს. სალაროში აღმოჩენილი ნაღდი ფული, რომელიც არ არის გაფორმე-ლებული სალაროს შემოსავლის ორდერებით, ითვლება სალაროს ნამეტად და ჩაირიცხება კოლმეურნეობის შემოსავალში.

10. კოლმეურნეობის ნაღდი ფული და ფასიანი ქაღალდები ინა-ხება ცეცხლგამძლე კარადებში, რკინის სკივრებში ან რკინით შემო-ჭედილ ხის ყუთებში, რომლებიც სალაროს მუშაობის დამთავრების შემდეგ დაიკეტება გასაღებით და დაილუქება მოლარის ლუქის ბეჭ-დით. აკრძალულია ისეთი ფულის და ფასეულობათა შენახვა სალა-როში, რომლებიც კოლმეურნეობას არ ეკუთვნის.

11. მოლარეს ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა მის მიერ შესანახად მიღებული ყოველგვარი ფასეულობის სრულად დაცვისათვის და ყოველგვარი ზარალისათვის, რაც კოლმეურნეობას მოუვიდა მისი გულგრილი, დაუდევარი, გაუფრთხილებელი ან გან-ზრახი მოქმედებით.

მოლარეს ეკრძალება მისთვის მინდობილი სამუშაოს გადაბარება სხვა პირისათვის.

12. სამუშაოზე დანიშვნის დროს მოლარე კოლმეურნეობას აძ-ლევს თანდართული ფორმის მიხედვით ვალდებულებას მატერია-ლური პასუხისმგებლობის შესახებ.

მოლარის დროებით შეცვლის შემთხვევაში, მისი მოვალეობის შესრულება ეკისრება სხვა პირს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ან მისი მოადგილის წერილობითი მითითებით. ეს პირი იძლევა აღნიშ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნული ფორმით ვალდებულებას მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ.

13. საკასო დისციპლინის სისტემატურად დარღვევაში დამნაშავე პირები მიეცემიან პასუხისგებაში დადგენილი წესით.

14. კოლმეურნეობაში საკასო ოპერაციების წარმოების წესების დაუცველობისათვის პასუხისმგებლობა ეკისრებათ კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, ბუღალტერს (მთავარს, უფროსს) და მოლარეს.

## მოლარის ვალდებულება

მე, ქვემორე ამისა ხელის მომწერი მოლარე ______________________
(გვარი სახელი, მამის სახელი)

ვკისრულობ მატერიალურ პასუხისმგებლობას

______________________________________________
(კოლმეურნეობის, რაიონის, ოლქის დასახელება)

ჩემთვის მონდობილი ფულადი თანხებისა და სხვა ფასეულობებისათვის.

იმ შემთხვევაში, თუ მე გულგრილობის, დაუდევრობის ან გაუფრთხილებლობის გამო მივაყენებ ზარალს

______________________________________________
(კოლმეურნეობის, რაიონის, ოლქის დასახელება)

ვკისრულობ ავანაზღაურო იგი სრული ოდენობით.

ვკისრულობ ზუსტად შევასრულო საკასო ოპერაციების წარმოების წესები და პასუხისმგებელი ვარ მათ დარღვევაზე.

„ ——— „ —————————— 19 ——— წ. ______________________
(ხელმოწერა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს 1959 წლის
28 სექტემბრის № 769
დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სასოფლო-სამეურნეო არტელის ბუღალტრის (მთავარი, უფროსი) შესახებ

1. კოლმეურნეობაში საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებას სათავეში უდგას ბუღალტერი (მთავარი, უფროსი). კოლმეურნეობის ბუღალტერს ეკისრება საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების ორგანიზაცია, ხელმძღვანელობა და მათი მდგომარეობის კონტროლი კოლმეურნეობის საზოგადოებრივი მეურნეობის ყველა დარგში.

2. ბუღალტერი დაინიშნება კოლმეურნეობის წევრთაგან ან დაქირავებულ კერძო პირთაგან კოლმეურნეობის წევრთა (რწმუნებულთა) საერთო კრების მიერ კოლმეურნეობის გამგეობის წარდგენით ბუღალტრის განთავისუფლება სამუშაოდან წარმოებს კოლმეურნეობის წევრთა (რწმუნებულთა) საერთო კრებაზე კოლმეურნეობის გამგეობის წარდგენით და სოფლის მეურნეობის რაიონულ ინსპექციასთან შეთანხმებით.

3. კოლმეურნეობის ბუღალტრის მიერ საქმეების მიღება მისი დანიშვნის დროს და საქმეების ჩაბარება მისი დათხოვნის დროს გაფორმდება აქტებით, რომლებიც შედგება მას შემდეგ, რაც მოხდება მატერიალური და ფულადი აღრიცხვა-ანგარიშგების მდგომარეობის შემოწმება სარევიზიო კომისიისა და სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციის წარმომადგენლის მონაწილეობით.

4. ბუღალტერი (მთავარი, უფროსი) აწარმოებს აღრიცხვას იმ ფორმებისა და ინსტრუქციების შესაბამისად, რომლებიც დამტკიცებულია სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ სსრ კავშირის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით, მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების, კანონების, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მთავრობათა დადგენილებებისა და განკარგულებების შესაბამისად და ადმინისტრაციულად ემორჩილება კოლმეურნეობის გამგეობას და თავმჯდომარეს.

5. კოლმეურნეობის ბუღალტრის (მთავარი, უფროსი) მოვალეობაში შედის:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) სწორი დოკუმენტბრუნვის ორგანიზაცია, საბუღალტრო დოკუმენტაციის დადგენილი წესებისა და ფორმების დაცვა, აღრიცხვის სწორად დაყენებისა და წარმოების უზრუნველყოფა, ანგარიშგების შედგენა და წარდგენა დაწესებულ ვადებში სსრ კავშირის ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს და საქართველოს სსრ სტატისტიკური სამმართველოს მიერ დამტკიცებული ფორმების მიხედვით, აგრეთვე ანგარიშებისა და ბალანსების ანალიზი და მონაწილეობა კოლმეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმის შედგენაში;

ბ) ტრაქტორების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ავტომობილებისა და სხვა ტექნიკის მუშაობის, ძირითად დარგების მიხედვით კოლმეურნეობათა საწარმოო საქმიანობის და დამხმარე საწარმოების აღრიცხვის, აგრეთვე წარმოების საშუალებათა, პროდუქციის, თესლის, საკვების, მასალებისა და ფულადი სახსრების აღრიცხვის ორგანიზაცია;

გ) ნატურალური და ფულადი შემოსავლის, სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების შესაბამისად შექმნილი ფონდების აღრიცხვის, საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულების, კოლმეურნეთა შრომისა და გამომუშავების აღრიცხვის, აგრეთვე, კოლმეურნეობის წევრებთან ანგარიშსწორების ორგანიზაცია;

დ) სავალდებულო და სხვა გადასახდელთა სწორად, დროულად დარიცხვა და შეტანა ბიუჯეტში, საკრედიტო განაცხადების დროულად წარდგენა ბანკისათვის, სესხთა დაბრუნება დანიშნულ ვადაში, ანგარიშსწორების განხორციელება მიმწოდებლებთან და მყიდველებთან, აგრეთვე განუყოფელი ფონდების სახსრების გადარიცხვა კაპიტალდაბანდებათა ანგარიშზე; ბანკში მიღებული სესხისა და ნაღდი ფულის მიზნობრივი დანიშნულებით გამოყენებისადმი კონტროლი, საფინანსო და საკრედიტო ოპერაციების აღრიცხვა;

ე) ჩანაწერების დროულად და სწორად შეტანა კოლმეურნეობის მიწების აღრიცხვის ზონარგაყრილ წიგნში;

ვ) ძირითად საშუალებათა, პროდუქტების, თესლის, საკვებისა და სხვა მატერიალურ ფასეულობათა, ფულადი სახსრების, ვალების და ვალდებულებათა ინვენტარიზაციის ჩატარება დაწესებულ ვადებში, აგრეთვე მატერიალურად პასუხისმგებელ პირთა შეცვლის დროს და ინვენტარიზაციის შედეგების ზუსტად ასახვა საბუღალტრო აღრიცხვაში;

ზ) კოლმეურნეობის ხელშეკრულებათა და ვალდებულებათა შესრულებისადმი, აღრიცხვა-ანგარიშგების წიგნებისა და დოკუმენტების შენახვისადმი კონტროლი;

თ) პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების აღრიცხვის ორგანიზაცია და მისი თვითღირებულების გამოანგარიშება;

ი) პროდუქციის, თესლის, საკვების და სხვა მატერიალური ფასეულობათა სწორად ხარჯვისა და რეალიზაციისადმი კონტროლის განხორციელება;

კ) კოლმეურნეობის სალაროში, საწყობებში, ფერმებში, ბრიგადებში, დამხმარე საწარმოებში აღრიცხვის წარმოების სისწორის შემოწმება და დახმარების გაწევა ბრიგადირებისა, ფერმების და დამხმარე საწარმოების გამგეებისა, მეკუჭნავეებისა და კოლმეურნეობის სხვა თანამდებობის პირებისათვის აღრიცხვის წარმოების, აგრეთვე კოლმეურნეობის თვითეული საანგარიშო დარგის მუშაკის მოვალეობათა განსაზღვრის საქმეში.

6. ბუღალტერი მოვალეა დროზე აცნობოს კოლმეურნეობის გამგეობას, რომ დადგა კოლმეურნეობის ვალდებულებით გადასახდელთა შეტანის ვადები, აგრეთვე კოლმეურნეობისადმი დებიტორული დავალიანების შექმნის შემთხვევები; დებიტორთა მხრივ გადასახდელების დაგვიანების შემთხვევაში დროზე გააფორმოს სასარჩელო განცხადებანი დავალიანების გადახდევინების შესახებ სასამართლოს მეშვეობით.

7. ბუღალტრის მოთხოვნები საფინანსო ოპერაციების გაფორმების, დოკუმენტების წარდგენის და დროულად აღრიცხვის წესის შესახებ სავალდებულოა კოლმეურნეობის ყველა თანამდებობის პირისათვის (ბრიგადირი, მეკუჭნავე, მოლარე, ფერმის ან დამხმარე საწარმოს გამგე), აგრეთვე იმ პირებისათვის, რომლებიც ანგარიშქვეშ იღებენ სახსრებს, კოლმეურნეობის გამგეობის წევრებისა და თავმჯდომარის ჩათვლით.

8. კოლმეურნეობის ბუღალტერი ხელს აწერს ყველა სახის საბუღალტრო და ოპერატიულ ანგარიშგებას. გარდა ამისა, იგი ხელს აწერს ფულადი სახსრების, პროდუქტების და კოლმეურნეობის სხვა ფასეულობათა შემოსავალ-გასავლის დოკუმენტებს, აგრეთვე საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან, კოლმეურნეებთან და სხვა პირებთან ანგარიშსწორების დოკუმენტებს. ბუღალტრის ხელმოუწერლად აღნიშნულ დოკუმენტებს ძალა არა აქვთ.

ყოველგვარ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, რომლებიც დადებულია კოლმეურნეობის მიერ პროდუქციისა და მასალების ყიდვის, გაყიდვის და გადამუშავების, სამუშაოთა შესრულების და მომსახურების გაწევის შესახებ, წინასწარ ვიზა უნდა გაუკეთოს კოლმეურნეობის ბუღალტერმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

9. იმ შემთხვევაში, თუ მიღებულ იქნა შესასრულებლად კოლმეურნეობის თავმჯდომარის ან გამგეობის უკანონო განკარგულება, კოლმეურნეობის ბუღალტერი მოვალეა განკარგულების შესრულებამდე წერილობით მიაქციოს კოლმეურნეობის თავმჯდომარის ან გამგეობის ყურადღება მიცემული განკარგულების უკანონობას ან უმართებულობას. თუ კოლმეურნეობის თავმჯდომარისაგან ან გამგეობისაგან მიიღებს გაცემული განკარგულების წერილობით დადასტურებას, მაშინ ბუღალტერი შეასრულებს მას და დაუყოვნებლივ აცნობებს ამას კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიას და სოფლის მეურნეობის რაიონულ ინსპექციას, ხოლო საჭირო შემთხვევებში — რაიონულ პროკურორსაც კი.

უკეთუ კოლმეურნეობის ბუღალტრისათვის განმეორებით მიცემული წერილობითი განკარგულება იწვევს სასამართლო პასუხისმგებლობას, ბუღალტერი არ შეასრულებს ამ განკარგულებას და დაუყოვნებლივ აცნობებს ამას სოფლის მეურნეობის რაიონულ ინსპექციას და პროკურორს.

კოლმეურნეობის ბუღალტერს, რომელმაც სარევიზიო კომისიას, სოფლის მეურნეობის რაიონულ ინსპექციას და პროკურორს არ აცნობა კოლმეურნეობის თავმჯდომარის ან გამგეობის უკანონო განკარგულებანი, ეკისრება პასუხისმგებლობა მათი შესრულებისათვის კოლმეურნეობის იმ თავმჯდომარის ან გამგეობის თანაბრად, რომელმაც უკანონო განკარგულება გასცა.

10. კოლმეურნეობის ბუღალტერს არ შეიძლება დაეკისროს ისეთი მოვალეობანი, რომლებიც დაკავშირებულია უშუალო მატერიალურ პასუხისმგებლობასთან ფულადი სახსრებისა და მატერიალური ფასეულობისათვის.

კოლმეურნეობის ბუღალტერს ეკრძალება ფულადი სახსრების და მატერიალურ ფასეულობათა უშუალოდ მიღება კოლმეურნეობისათვის ჩეკებით ან სხვა დოკუმენტებით.

11. კოლმეურნეობის ბუღალტერი მოვალეა კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის ან სხვა ორგანოების მოთხოვნით, რომელთაც აქვთ კოლმეურნეობის მუშაობის შემოწმების უფლება, წარუდგინოს მათ წიგნები და დოკუმენტები, აძლიოს საჭირო ცნობები და განმარტებანი კოლმეურნეობის სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის საკითხებზე.

12. საფინანსო-სახელშეკრულებო დისციპლინის დარღვევისათვის, აღრიცხვის ჩამორჩენილობისათვის, არასწორი ანგარიშგებისა და ცნობების წარდგენისათვის, აგრეთვე ამ დებულებით დაკისრებულ

მოვალეობათა შეუსრულებლობისათვის ან დარღვევისათვის კოლმეურნეობის ბუღალტერს ეკისრება დისციპლინარული, მატერიალური, ხოლო განსაკუთრებულ შემთხვევებში—სასამართლო პასუხისმგებლობაც.

13. ბუღალტრის არყოფნის დროისათვის (მივლინება, შვებულება, ავადმყოფობა) იმ კოლმეურნეობებში, სადაც არ არის დადგენილი წესით გაფორმებული ბუღალტრის მოადგილე, კოლმეურნეობის გამგეობა დანიშნავს სხვა პირს, რომელზედაც გადადის ბუღალტრის უფლება-მოვალეობანი.

14. კოლმეურნეობაში საბუღალტრო აღრიცხვასა და ანგარიშგებაზე დასაქმებული მუშაკები ემორჩილებიან კოლმეურნეობის ბუღალტერს და მისი თანხმობის გარეშე არ შეიძლება გამოყენებულ იქნან რაიმე სხვა სამუშაოზე. კოლმეურნეობის ბუღალტრის მოთხოვნით და დოკუმენტბრუნვის გრაფიკის შესაბამისად, მატერიალურად პასუხისმგებელი პირები მოვალენი არიან წარუდგინონ მას შესაბამისი დაწესებული ანგარიშები პირველადი დოკუმენტების დართვით.

დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 28 სექტემბრის № 769 დადგენილებით

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## სასოფლო-სამეურნეო არტელის სარევიზიო კომისიის შესახებ

1. სარევიზიო კომისიას აირჩევს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების შესაბამისად კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება და დაამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი.

სარევიზიო კომისიის შემადგენლობაში შეიძლება არჩეულ იქნან მხოლოდ მოცემული კოლმეურნეობის წევრები.

სარევიზიო კომისიაში არ შეიძლება არჩეულ იქნან კოლმეურნეობის გამგეობის წევრები, მოლარე, მეკუჭნავეები, ბუღალტერი, მეურნეობის დარგების ან დამხმარე საწარმოთა გამგეები და სხვა პირები, რომელთა საქმიანობას ამოწმებს სარევიზიო კომისია, აგრეთვე მათი ახლობელი ნათესავები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეს აირჩევს სარევიზიო კომისიის წევრთა შემადგენლობიდან კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება.

3. სარევიზიო კომისიის ძირითადი ამოცანებია: კონტროლი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვისადმი, კოლმეურნეობის მიერ სახელმწიფოს წინაშე ვალდებულებათა შესრულებისადმი, საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულებისადმი; ბრძოლა სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის; კოლმეურნეობის გამგეობის მიერ შესრულებული სამეურნეო-საფინანსო ოპერაციების კანონიერების და აღრიცხვა-ანგარიშგების ორგანიზაციის სისწორის შემოწმება.

4. თავის საქმიანობაში სარევიზიო კომისია ხელმძღვანელობს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით, აგრეთვე კანონებით, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მთავრობათა დადგენილებებითა და განკარგულებებით.

5. სარევიზიო კომისია თავისი მუშაობის შესახებ ანგარიშს აბარებს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას.

6. კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიას ეკისრება.

ა) კონტროლი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დაცვისადმი;

ბ) კოლმეურნეობის გამგეობის, ხოლო საჭირო შემთხვევებში — ბრიგადების, მეურნეობის ცალკეული დარგების ან დამხმარე საწარმოების, ფერმების, საწყობების, ნავთობსაწყობების, სახელოსნოებისა და სხვათა მთელი სამეურნეო-საფინანსო საქმიანობის რევიზიების ჩატარება კვარტალში ერთხელ მაინც;

გ) რძის წველადობის, კვერცხის შეგროვების, მატყლის პარსვის და სხვათა საკონტროლო შემოწმების განხორციელება.

დ) ცალკეულ ანგარიშვალდებულ პირთათვის ნაღდი ფულისა და დოკუმენტების, საკოლმეურნეო დუქანში საქონლის და საკოლმეურნეო ბაზარში პროდუქციის გაყიდვისაგან ამოგებული ფულის რაოდენობის მოულოდნელი შემოწმება, აგრეთვე კოლმეურნეობის სალაროში ფულადი სახსრების ყოველთვიური შემოწმება;

ე) საკვების, საწვავისა და საცხები მასალების სახეზე არსებული რაოდენობისა და ხარჯვის ყოველთვიური შემოწმება.

ვ) ქონების, მატერიალურ ფასეულობათა და დაუმთავრებელი მშენებლობის ინვენტარიზაციის ჩატარებაში მონაწილეობის მიღება.

7. რევიზიების ჩატარების დროს შემოწმებულ უნდა იქნას:

სახელმწიფოსათვის პროდუქციის მიყიდვის გეგმის შესრულება, ნატურალურ სესხთა დაბრუნება, გადასახდელები ბიუჯეტ[illegible] ბისა და სარემონტო ტექნიკური სადგურებისადმი, აგრეთ[illegible] მწიფოს წინაშე სხვა ვალდებულებათა და კოლმეურნეობის საწარმოო-საფინანსო გეგმის შესრულება;

დებიტორული დავალიანების დროულად გადახდევინება და საკრედიტორო დავალიანების დაფარვა;

ფულადი სახსრები და სხვა მატერიალური ფასეულობანი, მათი შემოსავალში გატარების და ხარჯვის სისწორე, აგრეთვე საკოლმეურნეო პროდუქციის შენახვის მდგომარეობა;

ბანკში მიღებული კრედიტების გამოყენება მიზნობრივი დანიშნულებით;

პირუტყვის, თესლის, შენობების, ავტომობილების, ტრაქტორების, კომბაინების, სასოფლო-სამეურნეო მანქანების, ინვენტარისა და კოლმეურნეობის სხვა ქონების სახეზე არსებული რაოდენობა, მათი შენახვა და მოვლა-პატრონობა;

კოლმეურნეობის ავტოსატრაქტორო პარკის, დამხმარე და სხვა საწარმოების მუშაობა;

საკოლმეურნეობათაშორისო საწარმოებთან ურთიერთანგარიშსწორება;

შესრულებულ სამუშაოთა აღრიცხვის, ანაზღაურების გამოანგარიშებისა და კოლმეურნეებთან ანგარიშსწორების სისწორე;

კოლმეურნეთათვის ავანსების დროულად მიცემა;

კოლმეურნეობაში აღრიცხვა-ანგარიშგების ორგანიზაცია და მდგომარეობა.

8. რევიზიის შედეგებს და თავის წინადადებებს კოლმეურნეობის გამგეობის და სხვა თანამდებობის პირთა მუშაობის შესახებ სარევიზიო კომისია გააფორმებს აქტით, გააცნობს მას გამგეობის წევრებს და სხვა თანამდებობის პირებს და მოახსენებს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას.

9. მტაცებლობის, გაფლანგვისა და სხვა ბოროტმოქმედებათა გამოვლინების დროს სარევიზიო კომისია კოლმეურნეობის გამგეობის მეშვეობით მიიღებს ზომებს კოლმეურნეობისათვის მიყენებული ზარალის გადასახდევინებლად, დამნაშავე პირთა პასუხისგებაში მისაცემად და საჭირო შემთხვევებში აცნობებს ამას საგამომძიებლო ორგანოებს.

10. კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიას უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს შესამოწმებლად თანამდებობის პირებისაგან საჭირო დოკუმენტები, მიიღოს სიტყვიერი და წერილობითი განმარტებები და ცნობები მუშაობის შესახებ, ხოლო საჭირო შემთხვევებში მოიწვიოს რევიზიებში მონაწილეობისათვის სპეციალისტები სოფლის მეურნეობის რაიონული ინსპექციიდან და სხვა კვალიფიციური მუშაკები — კოლმეურნეობის არაწევრები;

ბ) დაესწროს კოლმეურნეობის გამგეობის სხდომებს სათათბირო ხმის უფლებით;

გ) შეიტანოს გამგეობაში წინადადებანი გამოვლინებულ დარღვევათა და ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ, ხოლო საჭირო შემთხვევებში მოითხოვოს გამგეობისაგან კოლმეურნეობის წევრთა რიგგარეშე საერთო კრების მოწვევა;

დ) დაათვალიეროს კოლმეურნეობის საწყობები, ფერმები და სხვა საწარმოები;

ე) მიიღოს კოლმეურნეობის წევრებისაგან საჩივრები კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარის, წევრების და სხვა თანამდებობის პირთა არასწორი მოქმედების შესახებ და ამ საჩივრების გამო, კოლმეურნეობის გამგეობის, კოლმეურნეთა საერთო კრების მეშვეობით, მიიღოს საჭირო ზომები.

11. სარევიზიო კომისიას არ შეუძლია ჩაერიოს კოლმეურნეობის გამგეობის ოპერატიულ საქმიანობაში.

12. სარევიზიო კომისიის წევრებს ეკრძალებათ მონაწილეობა ისეთი დოკუმენტების შედგენაში, რომლებიც შეეხება გაფლანგვების, მტაცებლობისა და კოლმეურნეობის ფულადი სახსრების, ინვენტარის, პროდუქტებისა და მასალების დანაკლისის ჩამოწერას.

13. სარევიზიო კომისიის წევრთა შრომის ანაზღაურება რევიზიებსა და შემოწმებაზე დახარჯული დროისათვის იწარმოებს იმ ოდენობით, რასაც კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება დაადგენს.

---

## 92 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის მუშაობის გაუმჯობესების შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 23 ივლისის № 824 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარ ამოცანად ჩაითვალოს აქტიური ზემოქმედება საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებზე მათი მუშაობის გაუმჯობესების, სამეურნეო გეგმების შესრულებისა და სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების საქმეში ისეთ ღონისძიებათა განხორციელებით, როგორიცაა:

ა) დავის გადაწყვეტის დროს საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა და ქონებრივი სანქციების განუხრელად გამოყენება გეგმურ და სახელშეკრულებო ვალდებულებათა, განსაკუთრებით სხვა ეკონომიურ ადმინისტრაციულ რაიონებში ან მოკავშირე რესპუბლიკებში ანდა საერთო-საკავშირო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად პროდუქციის მიწოდების ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის;

ბ) ბრძოლის გაძლიერება პროდუქციის ხარისხისა და კომპლექტურობის კანონმდებლობის დარღვევათა წინააღმდეგ;

გ) განხილული საქმეების მასალების სისტემატური შესწავლა და განზოგადება, აგრეთვე საკითხების დაყენება სახალხო მეურნეობის საბჭოების, სამინისტროებისა და სხვა ორგანიზაციების წინაშე საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობაში გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის შესახებ.

2. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟების კომპენტენციის გაფართოებასთან და სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოების განსახილველად ყველა იმ დავის გადაცემასთან დაკავშირებით, რომლებიც წამოიჭრება სახელმწიფო, კოოპერაციულ (გარდა კოლმეურნეობებისა) და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა, საწარმოებსა და დაწესებულებებს შორის და რომლებიც ამჟამად სასამართლოების კომპენტენციაში შედის, დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი განიხილავს:

ა) ყველა დავას, რომლებიც წამოიჭრება საქართველოს სსრ საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის ხელშეკრულებათა დადებისა და გაუქმების დროს, აგრეთვე იმავე დავას საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ან საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის, თუ მიმწოდებელი იმყოფება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, როდესაც ხელშეკრულების თანხა არ აღემატება 10 მილიონ მანეთს;

ბ) დავას, რომელიც წამოიჭრება ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოსთან ან განყოფილებასთან არა საერთო სარგებლობის

მისასვლელი ლიანდაგების ექსპლუატაციის შესახებ ხელშეკრულე-
ბათა დადების დროს, როდესაც ტვირთბრუნვა დღეღამეში [illegible] 100 ვაგონზე მეტი;

გ) დავას, რომელიც წამოიჭრება ცალკეული სახეობის პროდუქციისა და საქონლის მიწოდების იმ განსაკუთრებული პირობების შეთანხმების დროს, რომელთა დამტკიცება წარმოებს ამ დადგენილების მე-8 მუხლის წესით;

დ) ყოველგვარ დავას, რაც წამოიჭრება საქართველოს სსრ საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის ხელშეკრულებათა შესრულების და სხვა საფუძვლების გამო, როდესაც სარჩელის თანხა არ არის 1000 მანეთზე ნაკლები, აგრეთვე დავას საქართველოს სსრ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ან საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის, თუ მოპასუხე, ხოლო სათანადო შემთხვევებში — მესარჩელე იმყოფება საქართველოს სსრ ტერიტორიაზე, როდესაც სარჩელის თანხა არ აღემატება 100 ათას მანეთს;

ე) ყოველგვარ დავას, რასაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ან სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი გადასცემს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის განსახილველად.

ამ დადგენილების „ა“ და „დ“ მუხლებში აღნიშნული გამონაკლისი არ იქნება გამოყენებული, თუ მოდავე მხარეები იმყოფებიან საქართველოს სსრ ტერიტორიაზე.

3. საწარმოებსა, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის სამეურნეო დავის გადაწყვეტის საქმეში დემოკრატიული საწყისების გაძლიერების მიზნით, მიზანშეწონილად ჩაითვალოს ცალკეულ დიდ და რთულ საქმეებზე წამოჭრილი დავის განხილვა სამედიატორო სასამართლოს მიერ, რომელსაც მხარეები აირჩევენ კონკრეტული საქმის განსახილველად.

სამედიატორო სასამართლოს მიერ დავის განხილვა განხორციელდეს იმ წესების საფუძველზე, რომლებსაც დაამტკიცებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი,

4. დაწესდეს, რომ სახელმწიფო არბიტრაჟი, დაინტერესებული საწარმოებისა და დაწესებულებების მოთხოვნით ან საკუთარი ინიციატივით, მთლიანად ან განსაზღვრულ ნაწილში გაუქმებულად აღიარებს იმ ხელშეკრულებებს, რომლებიც ეწინააღმდეგებიან კანონებს, მთავრობის გადაწყვეტილებებს. სახელმწიფო გეგმებსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავალებებს, და დაავალდებულებს მხარეებს შესაბამისი ცვლილებანი შეიტანონ დადებულ ხელშეკრულებებში.

5. დაწესდეს, რომ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებში სარჩელის წარდგენამდე საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები მოვალენი არიან წაუყენონ პრეტენზია მეორე მხარეს და მიიღონ საჭირო ზომები წამოჭრილი დავის მოსაწესრიგებლად.

დაევალოთ საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელებს უზრუნველყონ პრეტენზიების დროულად განხილვა, დასაბუთებული მოთხოვნების დაკმაყოფილება და მოტივირებული პასუხის მიცემა პრეტენზიების უარყოფის დროს.

6. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟს დავის განხილვის დროს საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაობაში გამოვლინებულ არსებით ნაკლოვანებათა შესახებ აცნობონ მათ ხელმძღვანელებს ან ზემდგომ ორგანოებს, აგრეთვე საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სათანადო ზომების მისაღებად.

დაევალოთ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ხელმძღვანელებს მიიღონ საჭირო ზომები სახელმწიფო არბიტრაჟის მიერ გამოვლინებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად და აცნობონ სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებს მათ მიერ მიღებული ზომების შესახებ.

7. დაწესდეს, რომ სხვა ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონებისათვის ან მოკავშირე რესპუბლიკებისათვის ანდა საერთო-საკავშირო საჭიროებისათვის პროდუქციის მიწოდების გეგმებისა და დავალებათა საპატიო მიზეზების გარეშე შეუსრულებლობის ფაქტებს სახელმწიფო არბიტრაჟი აცნობებს შესაბამის ორგანოებს დამნაშავე პირებზე დისციპლინარული სასჯელის დასადებად ან ფულადი დანარიცხის დასაკისრებლად, ხოლო თუ არაერთგზის ექნა ადგილი საპატიო მიზეზების გარეშე აღნიშნულ მიწოდებათა შეუსრულებლობას და უხარისხო და არაკომპლექტური პროდუქციის მიწოდების შემთხვევებს, გაუგზავნოს მასალები პროკურატურას დამნაშავე პირთა სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის საკითხის გადასაწყვეტად.

8. მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, რომ შემუშავდეს და დამტკიცდეს პროდუქციის ცალკეულ სახეობათა მიწოდების განსაკუთრებული პირობები დანართის თანახმად.

დაწესდეს, რომ მიწოდების განსაკუთრებულ პირობებს შეიმუშავებენ ძირითადი მიმწოდებლები — საქართველოს სსრ სახალხო

მეურნეობის საბჭო, სამინისტროები და უწყებები ძირითად [illegible] რებლებთან შეთანხმებით და დასამტკიცებლად წარმოუ[illegible] ქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

მიწოდების განსაკუთრებული პირობების შემუშავების პროცესში წამოჭრილ უთანხმოებას გადაწყვეტს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟი, მიმწოდებელთა განცხადების თანახმად.

9. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, ადგილობრივი მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სარეწაო საბჭოს ერთი თვის ვადაში წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად საქართველოს სსრ საწარმოთა მიერ დამზადებული საქონლის მიწოდების განსაკუთრებული პირობები.

10. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟის მთავარ არბიტრს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახელმწიფო არბიტრაჟის დებულების დამტკიცების დღიდან ერთი თვის ვადაში შეიმუშაოს, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოსთან, სამინისტროებთან და უწყებებთან შეათანხმოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარმოუდგინოს პროექტი დებულებისა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის შესახებ.

11. დაწესდეს, რომ დავის გადაწყვეტის ახალი დაქვემდებარება შემოღებულია: იმ დავის მიმართ, რომელიც განხილულ უნდა იქნას სახელმწიფო არბიტრაჟის ორგანოებში, — 1959 წლის 1 ოქტომბრიდან, ხოლო იმ დავის მიმართ, რომელიც გადაცემულ უნდა იქნას სასამართლო ორგანოებიდან, — 1960 წლის 1 იანვრიდან.

12. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის კომპეტენციის გაფართოებასთან და მისი მუშაობის მოცულობის მნიშვნელოვან გადიდებასთან დაკავშირებით, გადიდდეს 1960 წლის 1 იანვრიდან მისი შტატები ორი ერთეულით— უფროსი კონსულტანტისა და მდივნისა იმ განაკვეთებით, რომლებიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო არბიტრაჟის ანალოგიური თანამდებობისათვის.

13. დაევალოთ საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭოს, სამინისტროებსა და უწყებებს გააძლიერონ მათდამი დაქვემდებარებული არბიტრაჟების მუშაობისადმი ხელმძღვანელობა იმ მიზნით,

რომ უზრუნველყოფილ იქნას მათი აქტიური გავლენა საწ[illegible] ორგანიზაციათა და დაწესებულებათა საქმიანობის გაუმჯ[illegible]

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **მ. კუჩავა.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1959 წლის 28 სექტემბერი, № 784

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1959 წლის 28 სექტემბრის № 784
დადგენილების დანართი

## ს ი ა

**საქართველოს სსრ საწარმოების მიერ დამზადებული პროდუქციის სახეობათა, რომლებზედაც შედგენილ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებულ უნდა იქნას მიწოდების განსაკუთრებული პირობები**

| პროდუქციის სახეობანი | ძირითადი მიმწოდებლები |
|---|---|
| 1. პური და პურფუნთუშის ნაწარმი | საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის საბჭო |
| 2. ადგილობრივი საშენი მასალები | საქართველოს სსრ ადგ. მეურნ. სამინისტრო და საქართველოს სარეწაო საბჭო |
| 3. სამეურნეო საქონელი | საქართველოს სსრ ადგ. მეურნ. სამინისტრო და საქართველოს სარეწაო საბჭო |
| 4. კაფეულის ნაკეთობანი | საქართველოს სსრ ადგ. მეურნ. სამინისტრო და საქართველოს სარეწაო საბჭო |
| 5. ხილბოსტნეულის კონსერვი | საქართველოს სსრ ადგ. მეურნეობის სამინისტრო |

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჩირაქაძე.**

## 93 იმ მშობელთა და მათ შემცვლელ პირთა პასუხისმგებლობის შესახებ რომლებიც არ უზრუნველყოფენ ბავშვთა და მოზარდთა გაგზავნას საქართველოს სსრ საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების სკოლებში

„საქართველოს სსრ რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების" კანონის შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს, რომ მშობლები ან მათი შემცვლელი პირები, აგრეთვე ის პირები და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, რომელთა მზრუნველობაზე იმყოფებიან ბავშვები და მოზარდები, მოვალენი არიან გაგზავნონ ის ბავშვები სკოლებში, რომლებსაც სასწავლო წლის დაწყების დროისათვის 7 წელი შეუსრულდათ, იმ დრომდე, ვიდრე ისინი სწავლების რვაწლიან კურსს დაამთავრებდნენ.

ყველა აღნიშნული პირი (მშობლები, მეურვეები, საბავშვო სახლების გამგეები და სხვ.) მოვალენი არიან გაგზავნონ ბავშვები სკოლაში ყოველ სასწავლო დღეს და არ დაუშვან, რომ მათ საპატიო მიზეზების გარეშე გამოტოვონ მეცადინეობა, აგრეთვე მოვალენი არიან შექმნან იმის საჭირო პირობები, რომ ბავშვებმა წარმატებით ისწავლონ სკოლაში და მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ-სასარგებლო, მწარმოებლურ შრომაში, მუდმივი მეთვალყურეობა გაუწიონ ბავშვების მიერ საშინაო დავალებათა შესრულებას და მათ ყოფაქცევას სკოლის გარეთ, „მოსწავლეთა წესების" შესაბამისად.

2. აეკრძალოთ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს სკოლების მოსწავლეთა მიღება სამუშაოდ სასწავლო პერიოდში ისე, თუ მათ არ ექნებათ ყოველ ცალკე შემთხვევაში განათლების საქალაქო და რაიონული განყოფილებების სპეციალური წერილობითი ნებართვა.

3. ამ დადგენილების 1 მუხლში აღნიშნულ მშობელთა ან მათ შემცვლელ პირთა მიმართ, რომლებიც არ უზრუნველყოფენ ბავშვებისა და მოზარდების გაგზავნას საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების სკოლებში, მიღებულ იქნას საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომები მშობელთა კომიტეტებისა და საამხანაგო სასამართლოების მეშვეობით.

4. ამ დადგენილების 1 მუხლში აღნიშნული მშობლები ან მათი შემცვლელი პირები, რომლებიც არ უზრუნველყოფენ ბავშვებისა და მოზარდების გაგზავნას საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი

სწავლების სკოლებში, მათ მიმართ საზოგადოებრივი ზემოქმედების ზომების გამოყენების შემდეგ, მიცემულ იქნან პასუხისგებაში კანონის თანახმად.

5. წინადადება მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო, რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებს მიიღონ საჭირო ღონისძიებანი საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების, აგრეთვე იმ პირთა მიმართ ამ დადგენილებით გათვალისწინებული ზომების განხორციელებისათვის, რომლებიც არ უზრუნველყოფენ ბავშვთა და მოზარდთა გაგზავნას საყოველთაო-სავალდებულო რვაწლიანი სწავლების სკოლებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

ქ. თბილისი, 1959 წლის 30 სექტემბერი, № 785

6. 2/109
ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველობა

წლიური ხელმოწერის ფასი 30 მან.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა

შეკვეთა № 621